კულტურა, ისტორია, სპორტი და სხვა

„დილა ამ გაზეთის გადაშლით დაიწყეთ...“ ჯოკერ ჯავრო

# საქართველოს რესპუბლიკა

სს „საქართველოს რკინიგზა“
The Georgian Railway Ltd

სნსკ
საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაცია
Georgian International Oil Corporation

ორშაბათი
24 მარტი,
2003 წელი
№77
(4456)

გაზეთი დაარსებულია 1918 წლის 25 ივლისს, აღდგენილია 1990 წელს. ფასი 50 თეთრი.

თვალსაწიერი

## ჟამი ხინანულისა

**ასეთი აღმოსავლური ლეგენდა მაქვს ოდესღაც წაკითხული: „წინასწარმეტყველი მუჰამედი ყოველ დილით გაივლიდა ხოლმე ტბის ნაპირზე. წყალში მხიარულად, ჟივილ-ხივილით, ჭყუმპალაობდნენ ბიჭუნები. მხოლოდ ერთი ხეიბარი ბიჭი იჯდა განმარტოებით და თანატოლებს სევდით სავსე თვალებით უყურებდა.**

წინასწარმეტყველმა ამ თვალების უძირო სევდას ვერ გაუძლო. „ო, ალაჰ, – შეღაღადა მან. – რატომ შვი ეს ბავშვი ხეიბრად?“

„შენ ეჭვი შეგეპარა ჩემს სამართლიანობაში?“ – ესმა ხმა ზეციდან.

მეორე დილით წინასწარმეტყველმა იხილა, რომ ბიჭი განკურნებულიყო, სხვებთან ერთად ხტუნავდა, ყურყუმალობდა და თვალებში სიხარულის სხივი ედგა.

გავიდა დღე, მეორე. მესამე დღეს წინასწარმეტყველმა დაინახა როგორ მივიდა ყოფილი ხეიბარი დილაადრიან ტბასთან, მოჭრა ლერწმები, წვერები წაუმახვილა და ფსკერზე უკუღმა, ისე ჩაარჭო, რომ მასზე წამოგებულიყვნენ ბავშვები, რომლებიც ჩქარა მოვიდნენ და წყალში ხტომას დაიწყებდნენ.

წინასწარმეტყველი მუხლებზე დაეცა: „ო, მაპატიე, დიდო ალაჰ!“

ამ ლეგენდის მორალი გამოკვეთილია: ყოვლის შემოქმედმა ღმერთმა ყველაფერი უწყის – ვინ ვინ არის, ვინ რითი სუნთქავს და გასაქანს არ აძლევს მავანთ ბოროტების ჩასადენად.

რა თქმა უნდა, ეს ასეა, მაგრამ დღეს, მესამე ათასწლეულში, მხოლოდ განგების იმედად ყოფნა, თუ ადამიანებმა, სახელმწიფოებმა არ გამოიღეს ხელი, არას გვარგებს.

მსოფლიო ის აღარ არის, რაც იყო. ახალი საუკუნის, ახალი ათასწლეულის უკვე ამოწვერილი ყლორტები ხელშესახებად განასხვავებს გუშინდელს დღევანდელისგან, ახალ ერას – ძველისგან.

ეს ცვლილება, უპირველეს ყოვლისა, იმითაც არის წარმოჩენილი, რომ სახელმწიფოთა „მარტოკაცობა“ დამთავრდა.

დღეს ძნელია, ვთქვათ, ისეთმა სახელმწიფომ, როგორიც საქართველოა, აბსოლუტურად დამოუკიდებელი პოლიტიკა აწარმოოს, იგი რომელიმე ძლიერს უნდა შეეკრას. ასეთია დღევანდელობის ლოგიკა.

საქართველომ ამერიკის შეერთებული შტატები აირჩია მეგობრად, მფარველად და მოკავშირედ!

XXI საუკუნე აყენებს ისეთი რეჟიმების შეცვლის გარდუვალობას, როგორებიც, ვთქვათ, ერაყსა და ჩრდილოეთ კორეაშია. ერაყის საათმა უკვე დაჰკრა. სადამ ჰუსეინს ამერიკის (და დიდი ბრიტანეთის) მხედრობა შეება.

ამერიკა და საქართველო მოკავშირეები არიან. საქართველო მხარს უჭერს ამერიკის საომარ მოქმედებას ერაყში.

იხ. მე-2 გვ.

პრობლემა

## სახელმწიფო ინტერესების უგულებელყოფა გადამფრენი იხვების ხარჯზე!..

### ანუ მართლაც როდის არ დაპყეფდა ჩვენს ბედს ძაღლი

იხ. მე-3 გვ.



ოპერაცია

## „თავისუფალი ერაყი“: დღე მეოთხე

**დაიწყო საავიაციო თავდასხმა სადამ ჰუსეინის მშობლიურ ქალაქ ტიკრიტზე, რომელიც ბაღდადიდან ჩრდილოეთით 130 კილომეტრზე მდებარეობს. დაბომბვის შედეგად ოთხი ადამიანი დაიღუპა, მთლიანად დაინგრა ქალაქის მუზეუმი და სასტუმრო.**

* * *

სულ მცირე 77 ადამიანი დაიღუპა და 366 მძიმედ დაიჭრა ქალაქ ბასრას დაბომბვის დროს. ეს ინფორმაცია „სი-ენ-ენ“-მა ერაყის ინფორმაციის სამინისტროზე დაყრდნობით გაავრცელა.

* * *

**ერაყის ვიცე-პრეზიდენტმა ტახა იასინ რამადანმა გაეროს გენერალური მდივანი კოფი ანანი სახალხოდ დაწყევლა, რადგან „ის ისე მოქმედებს, როგორც ამერიკის ხელისუფლების თანამშრომელი“. „მინდა ვკითხო კოფი ანანს, რატომ მიიღო გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ გაეროს ინსპექტორებს ბაღდადი დაეტოვებინათ“, – აღნიშნა ვიცე-პრეზიდენტმა. მანვე განაცხადა, რომ ანტიერაყული კოალიციის ტყვედ აყვანილ ჯარისკაცებს უახლოეს საათებში სახელმწიფო ტელევიზიის არხზე აჩვენებენ.**

* * *

ბაღდადზე სახმელეთო ჯარების შეტევა სამშაბათს დაიწყება, – იუწყება ტელეკომპანია „СКАЙ-ТВ“ ბრიტანელ სამხედრო წყაროზე დაყრდნობით. „ჩვენ არ ვაპირებთ ბასრასთან გაჩერებას, ჩვენი მთავარი მიზანი ბაღდადია“, – განაცხადა ინკოგნიტო სამხედრო პირმა.

* * *

**როგორც კი ანტიერაყული კოალიცია ბაღდადის აღების ოპერაციას დაიწყებს, სადამ ჰუსეინის ბრძანებით, ერაყის საინჟინრო ქვედანაყოფები დარბანდიხანის რაიონში მდებარე დამბას ააფეთქებენ. ამის შესახებ ირანული საააგენტო „IRNA“ იტყობინება.**

**დამბის აფეთქების შემთხვევაში ერაყის ტერიტორიის დიდი ნაწილი, აგრეთვე ირანის საზღვრისპირა რაიონები წყლით დაიფარება.**

სიტუაცია

## ფასების ზრდის საფუძველი არ არსებობს

ეკონომიკის დამოუკიდებელი ექსპერტ ლადო პაპავას აზრით, ერაყში მიმდინარე ომის გამო, საქართველოში ნავთობპროდუქტებზე ფასების ზრდის ობიექტური საფუძველი არ არსებობს, თუმცა ნავთობის ხელოვნული გაძვირება არ გამოირიცხება.

როგორც პაპავამ დღეს “ინტერპრესს“ განუცხადა, არსებობს ალბათობა იმისა, რომ “ვიღაცეებმა პირადი გამდიდრების მიზნით ნავთობის ფასების ზრდას პროვოცირება გაუკეთონ“.

ინტერ-პრესი.

გიხაროდენ!

## შამშე აბაშიძეც დაბადებულა

16 მარტს სხვა ახალშობილებს შორის ერთი ოქროსქოჩრიანი ბიჭიც შეემატა საქართველოს – ინჟინერ თეონა კაპანაძისა და ისტორიკოს ბაქარ აბაშიძის პირველი შვილი. პატარა შამშეს დაბადებამ დიდი სიხარული მოუტანა ჩვენს ოჯახს (მე მამიდა გავხდი, ჩემი მშობლები – ბებია-პაპა), სამეგობროსა და სანათესაოს მილოცვა-მილოცვაში ჩემს ძმას ლამის ყურები აახიეს.

დედა და შვილი უკვე შინ არიან და თავს კარგად გრძნობენ.



დიდი მადლობა ჩვენი სიხარულის გაზიარებისათვის.

პირველ შვილს ვულოცავ თეკოს და ბაქარს. შვილთა სიმრავლეს და ულევ სიხარულს ვუსურვებ.

**მაკა აბაშიძე,**
თბილისი.

ჩვენი ტელეფონებია: 93-34-04; 99-73-24.

ინტერპანორამა

**დღეს აშშ პრეზიდენტი ჯორჯ ბუში კონგრესს დაუსახელებს ზუსტ თანხას, რაც, ადმინისტრაციის აზრით, დაჯდება სადამ ჰუსეინის რეჟიმის წინააღმდეგ ომი. „ვაშინგტონ პოსტის“ ცნობით, საომარი ოპერაციები 80 მილიარდი დოლარი დაჯდება.**



**ერაყის ჩრდილოეთში თავი მოიყარა 450 ათასმა ლტოლვილმა. გაერო სერიოზულად არის შეშფოთებული მათი უმეტესობის ჯანმრთელობის მდგომარეობითა და სანიტარიულ-ჰიგიენური პირობებით.**



**ომის მეოთხე დღეს უფრო გამოიკვეთა ანტიერაყული კოალიციის ჯარების ტაქტიკა – შეტევისას ისინი გვერდს უვლიან მსხვილ ქალაქებს, რათა თავიდან აიცილონ მსხვერპლი მშვიდობიან მოსახლეობაში.**



გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

საქართველოს რესპუბლიკა

№ 77, ორშაბათი, 24 მარტი, 2003 წელი.

## თვალსაწიერი

# ჟამი სინანულისა

(პირველი გვერდიდან)

და პირველი, რაც მან გააკეთა, ის იყო, რომ საქვეყნოდ, ხმამაღლა გამოაცხადა ამის შესახებ. მეორე კი ის, რომ რატიფიკაცია გაუკეთა საქართველო-ამერიკის სამხედრო თანამშრომლობის ხელშეკრულებას.

მაგრამ ეს მოხდა დიდი გაჭიანურებისა და შუბების მტვრევის შემდეგ. ჩვენმა პარლამენტარებმა მაინც მოახერხეს კოცონის აგიზგიზება მაშინ, როდესაც ძალზე მშვიდად, უხმაუროდ და უპრობლემოდ შეიძლებოდა ამ დოკუმენტის მიღება, რომელიც ყველა შემთხვევაში, რამდენიც უნდა გვეხტუნა და პირი გვექაფებინა, მაინც უნდა მიგვეღო.

წამოწყებით ლევან პირველმა წამოიწყო და მერე, როგორც ყოველთვის, ჯემალ გოგიტიძემ და მისმა ამღორძინებლებმა გააგრძელეს. ეს ხელშეკრულება ლამის ბოროტების სიმბოლოდ გამოაცხადეს, ლამის სპეციალურად საქართველოს დასაღუპად გამოგონებულად წარმოაჩინეს.

მადლობა ღმერთს, ამჯერად მაინც იმარჯვა პარლამენტმა და თითქმის ერთხმად ასწია ხელი. ასეთი ერთსულოვნება სანატრელად გვექცა, მით უფრო იმ ყბადაღებული „115 ლარის“ გარშემო ატეხილი უსაშველო ღრიანცელისა და ლამის ხულიგნობამდე მისული გამოხდომების შემდეგ. რაც იმ დღეებში, მაგალითად, კობა დავითაშვილმა ენერგია დახარჯა თავგატეხილივით ყვირილსა და გაუთავებელ მისვლა-მოსვლაში, რატომ წონის ნახევარი არ დატოვა სხდომათა დარბაზში, სწორედ რომ, საკვირველია! ისე, კიდევ კარგი, ეს არ მოხდა, თორემ ზედმეტი ფუთების დაყრით შეგულიანებული, წონის მეორე ნახევრის მოსაცილებლად (რის შემდეგ ორი კაცის წონა მაინც კიდევ დარჩებოდა) სხვა სხდომებს სულაც ჩაშლიდა.

განვლილმა საპარლამენტო კვირამ თვალნათლივ დაგვანახა: დღეს რაღა ეშველება და მომავალში მაინც უნდა ჩაიდოს რაღაც მექანიზმი პარლამენტის დათხოვის შესაძლებლობისა, რათა იგი მაშინვე გაირეკოს, როგორც კი იმ კონდიციამდე მივა, როგორამდეც დღეს არის მისული.

ყველაფერს თავი დავანებოთ, დღეს, საბაზრო ეკონომიკის პირობებში, ასეთი სოლიდური ხელფასი აძლიო 235 კაცს, რომელთა ნახევარიც სისტემატურად არ დადის სამსახურში (პარლამენტარისთვის პარლამენტი სწორედაც სამსახურია), სად თქმულა, ვინ მოითმენს ამას? არადა, ხელფასს იღებს, ყველა სიკეთით სარგებლობს, თან თვალში და ყურში ეკალივით გერჭობა...

შრომის კანონმდებლობით, საწარმოს ხელმძღვანელს უფლება აქვს მუშაკი 3 დღის უმიზეზოდ გაცდენისთვის კინწისკვრით გააგდოს (ყოველ შემთხვევაში, აქამდე ასე იყო). ვითომ რატომ არ უნდა შეიძლებოდეს იმის რეგისტრაცია, ვინ რამდენი სხდომა გააცდინა და გამცდენთა რაიმე ფორმით დასჯა (კარგი, ბატონო, გაგდებით ვერ გააგდებ, ის კი არა, მერე სამეფო პენსიაც უნდა უხადო), თუნდაც ხელფასის დაქვითვით მაინც?

ამიტომ ვუჭერ მხარს პარლამენტართა რაოდენობის განახევრებას. ამ ღონისძიებით უამრავ ხარჯსაც შევამცირებთ და საკუთარ ნერვებსაც გავუფრთხილდებით.

ვინ იფიქრებდა, რომ დადგებოდა დრო და ლამის სანანებლად გვექცეოდა ჩვენი, დამოუკიდებელი საქართველოს, ჩვენ მიერვე არჩეული პარლამენტი.

ამიტომ პირადად მე ძალიან დავფიქრდები, თუ ვის მივცე ხმა შემოდგომაზე. სისულელის ჩადენის უფლება აღარ გვაქვს!

**ალეკო ასლანიშვილი.**

## კარიკატურა თემაში



— 115 ლარი გინდა?



— შენ მე მართლე გამოყვავებული ხომ არ გგონივარ?

მამუკა ვაშაკიძის ნახატი.

## ოპერაცია „თავისუფალი ერაყი“: დღე მეოთხე



**ანტიერაყული კოალიციის ბრიტანული კონტინგენტის შტაბის ოფიციალურმა წარმომადგენელმა დაადასტურა ორი ბრიტანული სამხედრო თვითმფრინავის დაკარგვის შესახებ გავრცელებული ინფორმაცია.**

**მისივე ინფორმაციით, ერთ-ერთი თვითმფრინავი ამერიკული რაკეტა „პატრიოტით“ იქნა ჩამოგდებული. „ეს ნამდვილად ტრაგიკული ინციდენტია“, — აღნიშნა მან. მანვე აღიარა მეორე ბრიტანული თვითმფრინავის დაღუპვა, თუმცა დეტალები არ დააკონკრეტა.**

* * *

ავსტრალიის რადიოსამაუწყებლო კორპორაციის (ABC) ოპერატორი პოლ მორანი გახდა პირველი უცხოელი ჟურნალისტი, რომელიც ერაყში მიმდინარე სამხედრო ოპერაციის დროს დაიღუპა. ქვეყნის ჩრდილოეთში, ქალაქ საიედ სადიკში მორანი თავის პარტნიორ ჟურნალისტთან ერთად რეპორტაჟისთვის ემზადებოდა. ამ დროს მათ მახლობლად გაჩერდა ტაქსი და იმავე მომენტში მოხდა ძლიერი აფეთქება. გარდაცვლილის კოლეგებმა და გამვლელებმა მიიღეს მსუბუქი დაზიანებები.

პოლ მორანი ბოლო ერთი წლის განმავლობაში პარიზში მუშაობდა. ის ხშირად ჩადიოდა ამ რაიონში, სადაც კომპაქტურად არიან დასახლებული ქურთები. ამავე რაიონშია განლაგებული „ალ-ქაიდასთან“ დაახლოებული ექსტრემისტული დაჯგუფება „არსარ-ალ-ისლამი“. ექსპერტთა მტკიცებით, სწორედ ეს დაჯგუფებაა პასუხისმგებელი ჟურნალისტის დაღუპვაზე. 39 წლის ჟურნალისტს ჰყავს მეუღლე და ერთი თვის ქალიშვილი.



* * *

**ჩრდილოეთ ერაყში ანტიერაყული კოალიციის ახალგაზრდა სერჟანტმა შეიარაღებული ძალების ხელმძღვანელობას კარავში ხელყუმბარა შეუგდო და ავტომატიდან ცეცხლი გაუხსნა. საპასუხო სროლის შედეგად სერჟანტი, რომელსაც არაბული გვარი აქვს, ორივე ფეხში დაიჭრა.**

**ანტიერაყული კოალიციის ბრიტანეთის ჯარებში მუსლიმანური ქვეყნებიდან წამოსული ბევრი მუსულმანი მსახურობს და ამგვარი ინციდენტიც ამერიკულ-ბრიტანულ არმიაში პირველი არ არის.**

* * *

ენ-ნაჯაფას რაიონის უდაბნოში გააფთრებული ბრძოლები მიმდინარეობს. ამერიკულ-ბრიტანულ ძალებთან შეტაკების შედეგად ერაყული პარტია „ბაას“-ის საქალაქო ორგანიზაციის ხელმძღვანელი დაიღუპა. ქალაქი ენ-ნაჯაფი ერაყიდან სამხრეთით 160 კილომეტრში მდებარეობს.

* * *

**აშშ და დიდი ბრიტანეთი ერაყელი სამხედრო ტყვეებისათვის ქვეყნის სამხრეთში ბანაკებს აგებენ. პენტაგონის მონაცემებით ერაყელ სამხედრო ტყვეთა რაოდენობამ 2 ათასს მიაღწია.**

* * *

ამერიკის 40 გემი მეოთხე ქვეითი დივიზიის ტექნიკითა და აღჭურვილობით ხმელთაშუა ზღვიდან სპარსეთის ყურეში გაემართება. ეს გადაწყვეტილება მას შემდეგ მიიღეს, რაც აშშ-მ ვერ შეძლო თურქეთისგან ამ ქვეყნის ტერიტორიის გამოყენების უფლება „ჩრდილოეთის ფრონტის“ გასახსნელად.









## კვირა

### რუბრიკას უძღვება ზურაბ ოიკაშვილი

**— რით იყო მნიშვნელოვანი გასული კვირა ქვეყნისთვის და თქვენთვის პირადად? — „კვირის“ ტრადიციულ შეკითხვას უპასუხებს ვახტანგ მაჭავარიანი.**



### ქვეყნისთვის

— მთელი მსოფლიოსთვის და, ცხადია, ჩვენი ქვეყნისთვისაც, უმნიშვნელოვანესი მოვლენაა ერაყში ომის დაწყება. ერაყის კრიზისთან დაკავშირებით მსოფლიოს სახელმწიფოები ორ ნაწილად დაიყო — ომის მხარდამჭერად და მოწინააღმდეგედ.

პირადად მე, როგორც ხელოვანი, როგორც მუსიკოსი, შინაგანად ნებისმიერი ძალადობის და პრობლემის ძალისმიერი გადაწყვეტის წინააღმდეგი ვარ, მაგრამ, ალბათ, სხვა გამოსავალი არ არსებობდა, რადგან, ვფიქრობ, რომ სადამ ჰუსეინი და მისი გარემოცვა დიდი ბოროტებაა არა მხოლოდ ერაყისთვის, არამედ მთელი მსოფლიოსთვის.

### ჩემთვის პირადად

— ივნისის დასაწყისში საქართველოს ევგენი მიქელაძის სახელობის სახელმწიფო სიმფონიურ ორკესტრთან ერთად, უცხოელი მომღერლების მონაწილეობით, უნდა შევასრულო ვაგნერის ოპერა „ტრისტანი და იზოლდა“ (საკონცერტო ვერსია). ეს ოპერა, მსგავსად ვერდის „ფალსტაფისა“, რომელიც რამდენიმე თვის წინათ შევასრულეთ, საქართველოში პირველად აჟღერდება, უფრო მეტიც, ის არ შეუსრულებია ყოფილი საბჭოთა კავშირის არც ერთ საოპერო დასს, ამდენად, საკმაოდ სერიოზული პროექტია. უკვე დავიწყე ორკესტრთან ერთად სარეპეტიციო მზადება. მაგრამ მომიხდა ურთულესი ნაბიჯის გადადგმა და შინაგანი ბარიერის გადალახვა — სამშაბათს გამართულ პრესკონფერენციაზე მასმედიის საშუალებით ხალხს ვთხოვე ფინანსური დახმარება ამ პროექტის განსახორციელებლად. ვიმედოვნებ, რომ ჩემს თხოვნას გამოეხმაურებიან ის ადამიანები, რომელთაც ძალუძთ ასეთი თანადგომის გაწევა, ალბათ, მხარს დაგვიჭერენ ორკესტრის მეგობრებიც...

## ენერგეტიკა

# „კავკასიონის“ მაღალი ძაბვის გადამცემი ხაზის აღდგენა კიდევ ორი დღით გადაიდო

**„კავკასიონის“ მაღალი ძაბვის გადამცემი ხაზის აღდგენა, რომლითაც ქართული ენერგოსისტემა რუსეთს უკავშირდება, კიდევ ორი დღით გადაიდო. როგორც „ინტერ-პრესს“ „საქრუსენერგოს“ გენერალურმა დირექტორმა შოთა მაისურაძემ განუცხადა, წაქცეული ანძის მაგივრად ენერგეტიკოსები ე.წ. დროებითი ხიდის დამონტაჟებას ცდილობდნენ, მაგრამ უშედეგოდ.**

კონსტრუქცია დროებით ხიდს ვერ უძლებს, ამიტომ იძულებულები ვართ, ანძა ხელახლა დავამონტაჟოთ. ამას კი დრო სჭირდება. აღდგენითი სამუშაოები, სავარაუდოდ სამ-ოთხ დღეში დასრულდება — განაცხადა მაისურაძემ.

მისი თქმით, „კავკასიონის“ მეშვეობით რუსეთიდან იმპორტირებული ელექტროენერგიის მიღებას ელექტროსისტემა 26 მარტისთვის შეძლებს.

21 მარტს, დღის საათებში რუსეთში ყარაჩაი-ჩერქეზეთის ტერიტორიაზე ზელინჩუკთან ახლოს „კავკასიონის“ გადამცემი ხაზის 262-ე ანძა წაიქცა, რის გამოც საქართველოში რუსეთიდან 400 მეგავატი სიმძლავრის ელექტროენერგიის იმპორტი შეწყდა. ანძის წაქცევის მიზეზად ენერგეტიკოსები კუთხოვანების დატაცებას ასახელებენ.

შოთა მაისურაძე კუთხოვანების დატაცებაში მხოლოდ მატერიალურ ინტერესს ხედავს და დივერსიის შესაძლებლობას გამორიცხავს.

კუთხოვანებს ბაზრობაზე კიბეებისთვის და სხვა სამშენებლო სამუშაოებისთვის ყიდიან, ხშირად ჯართად აბარებენ, — განაცხადა მაისურაძემ.

უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში ყარაჩაი-ჩერქეზეთის ტერიტორიაზე კუთხოვანების დატაცების ექვსი შემთხვევა გამოვლინდა.

ინტერ-პრესი.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

პრობლემა

# სახელმწიფო ინტერესების უგულებელყოფა გადამფრენი იხვების ხარჯზე!..

## ანუ, მართლაც როდის არ დაპყეფდა ჩვენს ბედს ძაღლი

**მეოცე საუკუნის გარიჟრაჟზე დიდი ილია ჭავჭავაძე ბრძანებდა – „ქვეყანა იმით კი არ არის უძლური, რომ ღარიბია, არამედ იმით, რომ მცოდნე, გონება გახსნილი, გულანთებული კაცები არ ჰყავსო“. სულ რაღაც 10 აგრონომს ნატრობდა ბრძენკაცი საქართველოსთვის, რათა ქვეყნის სასოფლო-სამეურნეო დარგი ისე განვითარებულიყო, რომ გლეხკაცს ჭირნახულით სავსე ჰქონოდა ბეღელიცა და მარანიც.**

**მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა... მრავალგზის შეიცვალა წყობა და შეიცვალა მიდგომაც. დღეს დილეტანტიზმი ურცხვად შეიჭრა პოლიტიკაშიც და ეკონომიკაშიც. არცთუ იშვიათად შეხვდებით ისეთ პარადოქსულ სიტუაციას, როდესაც სხვადასხვა ჯგუფები ადამიანებისა საოცარი გულმოდგინებით ისე ექაჩებიან „ბაგირს“ თავისკენ, რომ ჩვეულებრივ მოკვდავთათვის რთული გასარჩევია, რომელია მართალი, რომელს უფრო მეტად შესტკივა გული ქვეყნისათვის, ანუ ვინ არის ხალხისთვის და ვინ – თავისთვის.**

**დიდი ხანი არ არის, რაც მეცნიერთა და სპეციალისტთა ერთ ჯგუფსა და საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს შორის მიმდინარეობს ცხარე კამათი, სადაც მხარეები ერთიმეორეს უმტკიცებენ, რომელი მათგანის წინადადებები, დასაბუთებული მოსაზრებები და გადადგმული პრაქტიკული ნაბიჯებია ქვეყნისათვის საზიანო თუ სასარგებლო. დახარჯულია აუარებელი დრო, შექმნილია უამრავი დოკუმენტი თუ ვიდეო მასალა, სახელმწიფო კანცელარიიდან პრეზიდენტისა და სახელმწიფო მინისტრის რეზოლუციით დაშვებულია მნიშვნელოვანი დოკუმენტები, რომლებიც დიდი ხანია, უმოქმედოდაა დავალებათა შინაარსის გაუთვალისწინებლად. საქმე კი, არც მეტი და არც ნაკლები, ეხება მიწას, საქართველოს მიწას, რომელიც...**

თუმცა, მოდით, მივყვეთ თანმიმდევრობით. საუბარია საქართველოში დაცულ ტერიტორიებზე (ნაკრძალები, ეროვნული პარკები, აღკვეთილები). ერთ საინტერესო სტატისტიკას მოვიყვანთ – არსებობს ასეთი დოკუმენტური მასალა „მსოფლიო რესურსები, კაცობრიობა და გარემო, პარკების ტერიტორიები“ (ოქსფორდი, 1995 წელი). აი, რას გვამცნობს იგი: თურმე, ნუ იტყვით და, აფრიკის მთელი ტერიტორიიდან ეროვნულ პარკებს 4,6 პროცენტი უკავიათ, აზიისას – 4,4, ჩრდილოეთის და შუა ამერიკის – 11,8, ევროპისას – 9,3, აშშ – 10, კანადისას – 5, შვეიცარიისა და ავსტრიისას (სახელმწიფოები, სადაც ტურიზმია განვითარებული) – 18 და 24 პროცენტი, საქართველოსას კი – ???

პრესისა და ინფორმაციის სხვადასხვა საშუალებებით საზოგადოებას, ალბათ, არც თუ იშვიათად ესმის, რომ საქართველოს პრეზიდენტი მის გარემოცვას (იგულისხმება ყოფილი და ახლანდელი) დაუზუსტებელი, ნაჩქარევი ინფორმაციებითა და პატაკებით ხშირად შეუყვანიათ შეცდომაში და ჩაუყენებიათ უხერხულ მდგომარეობაში. 1997 წლის 7 აპრილს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოქვეყნდა საქართველოს პრეზიდენტის განცხადება, საიდანაც შევიტყვეთ, რომ საქართველო უერთდება „WWF-2000“ კომპანია „ცოცხალ პლანეტას“ (ეს არასამთავრობო ორგანიზაციაა – **ავტორთა შენიშვნა**) და გამოთქვამს მზადყოფნას „2000 წლამდე დედამიწას საჩუქრად მიუძღვნას თავისი (საქართველოს – ავტორთა შენიშვნა) ბუნებრივი ტერიტორიების 20 პროცენტზე დაკანონებული სხვადასხვა კატეგორიების დაცული ტერიტორიები“. აშკარაა, რომ მათ, ვინც პრეზიდენტს ამ განცხადების ტექსტი მოუმზადა, შეგნებულად ჩადეს არცთუ უმნიშვნელო პროვოკაციული ელემენტი – საქართველოს ტერიტორიის ჩუქება, რაც ქვეყნის უზენაესი კანონის დარღვევაა. ეს, ალბათ, იმიტომ გააკეთეს, რომ სასურველ დროს გამოეყენებინათ იგი პრეზიდენტის წინააღმდეგ.

2001 წლის 20 თებერვალს გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ აქვეყნებს საქართველოს პრეზიდენტის მორიგ განცხადებას ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის (WWF) „ტყეები სიცოცხლისათვის“ კამპანიასთან დაკავშირებით, სადაც აღნიშნულია, რომ ბოლო წლების განმავლობაში საქართველოში ნაკრძალების, ეროვნული პარკების და აღკვეთილების ტიპის დაცული ტერიტორიების ფართობები თითქმის ორჯერ გაიზარდა და საქართველოს საერთო ფართობის 4,5 პროცენტი შეადგინა (მათ შორის ტყით დაფარული ფართობის 3 პროცენტი). ადვილი მისახვედრია, რომ ეს განცხადებაც სხვის მიერ იქნებოდა მომზადებული. მაინც, პრეზიდენტისათვის რომელი მიწოდებული ციფრია სწორი – 20 თუ 4,5 პროცენტი , ამის გარკვევა მკითხველისათვის მიგვინდვია, თუ, რა თქმა უნდა, კარგად დააკვირდება ამ საკითხთან დაკავშირებით ინტერნეტში გამოქვეყნებულ რუკას, რომელსაც ამ წერილთან ერთად ვაქვეყნებთ.




1999 წლის მიწურულს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი „კოლხეთის დაცული ტერიტორიის შექმნისა და მართვის შესახებ“. ამ კანონით გათვალისწინებულია სამეურნეო მოქმედებებისათვის მისი დახურვა, აგრეთვე, ყველა წარმოების ლიკვიდაცია, რომლებიც არ არიან პარკთან დაკავშირებულნი. გათვალისწინებულია მოტორიზებული ტრანსპორტის მოძრაობის, საქონლის საძოვრად გამოყენების, სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების, წიაღისეულის მოპოვების აკრძალვა და სხვა ბევრი რამ...

კოლხეთის ეროვნული პარკი ამ კანონში მოცემული კოორდინატებით 168 ათას ჰექტარია. ერთ კვადრატულ კილომეტრზე 80 სულის სიმჭიდროვით. აქვე შევიდა 1939-1989 წლებში მელიორირებული მიწები, ზამთრის საძოვრები, ფერმები, ნავთობის მილი თავისი ტერმინალით, სოფლის მეურნეობის დანიშნულების ტორფის მარაგები, ადრე მომქმედი ტორფის კარიერი „იმნათი-2“ თავისი დანგრეული საწარმოს შენობით და სხვა. პრაქტიკულად, ჩვენმა კანონმდებლებმა და ამ კანონის შემდგენლებმა ხელ-ფეხი შეუკრეს გურიის ისედაც გაჭირვებულ, გაღატაკებულ მოსახლეობას, საგრძნობლად შეუზღუდეს სასოფლო-სამეურნეო საქმიანობა, დააპირისპირეს ხელისუფლებასთან. მაგრამ ეს კიდევ არაფერი . თურმე, ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის კანონმდებლობით საქართველო, ტერიტორიის ოფიციალური გადაცემის შემდეგ, დაკარგავს თავის სუვერენულ უფლებებს ამ ტერიტორიებზე.

1996 წლის 6 დეკემბერს გურიის მხარის ადმინისტრაციის ინიციატივით ლანჩხუთის რაიონში ჩატარდა სამეცნიერო-ტექნიკური კონფერენცია თემაზე – „გურიაში არსებული აგრომადნების მოპოვებისა და ეროვნულ მეურნეობაში მათი გამოყენების პერსპექტივები“. მონაწილეობდნენ საქართველოს სამეურნეო დაწესებულებათა წარმომადგენლები, საქართველოს პარლამენტის დეპუტატები, გურიის მხარის რაიონის გამგეობათა თავმჯდომარეები, დაინტერესებული დარგების სპეციალისტები. მიიღეს გადაწყვეტილება, რომ ადგილობრივი ნედლეულის ბაზაზე (ტორფი, საპროპელი, ცეოლითი) შექმნილიყო ორგანო-მინერალური სასუქების საწარმო, რომლის ძირითად ბაზად მიიჩნიეს გეოეკოლოგიურად უსაფრთხო იმნათის ტორფის საბადო შავი ზღვის აღმოსავლეთით 8-10 კილომეტრის დაშორებით. საერთო ფართიდან (3892 ჰექტარი) უნდა გამოყოფილიყო 1000 ჰექტარი, ანუ ყოფილი „საქსოფლნაყოფიერების“ მიერ ექსპლოატაციაში მყოფი ნაწილი დამუშავების თანამედროვე ტექნოლოგიით (დამუშავების ზოლური მეთოდის შემდგომი აღდგენით).

მოგეხსენებათ, რომ ეკოლოგიურად სუფთა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მისაღებად ნიადაგში ძირითად კომპონენტს ჰუმუსი წარმოადგენს. მისი დეფიციტი ჰექტარზე 10-14 ტონაა, სავარგულების 70-80 პროცენტი კი ღარიბია მცენარისათვის აუცილებელი სასიცოცხლო ელემენტებით, რის ერთადერთ შემავსებელ წყაროს ტორფოკომპოსტები წარმოადგენს.

დღევანდელ პირობებში ქვეყანა ძირითადად ეყრდნობა მხოლოდ ქიმიურ სასუქებს, რის გამოც აღინიშნება ნიადაგის სტრუქტურული მდგომარეობის გაუარესება, ჰუმუსის კლება, პროდუქციის ხარისხის დაცემა, მასში ნიტრატებისა და ტოქსიკური ნარჩენების დაგროვება, რაც დიდ ზიანს აყენებს ადამიანის ჯანმრთელობას, იწვევს გრუნტის წყლებისა და მდინარეების დაბინძურებას. ამის თავიდან აცილების საშუალებას საქართველოში არსებული სასარგებლო წიაღისეულთა და ნარჩენთა გამოყენება იძლევა (ტორფი, საპროპელი, ცეოლითები, დოლომიტი, მანგანუმის ნარჩენები და სხვა).

პროექტი ეკოლოგიურად სუფთა ორგანო-მინერალური გრანულებული სასუქების საწარმოს შექმნის შესახებ განიხილა და მოიწონა გურიის სამხარეო ადმინისტრაციამ. გაფორმდა თანამშრომლობის ხელშეკრულება გურიის მხარეში საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებულსა და ფირმა „ეკოტექსს“ შორის. პროექტი შეიტანეს გურიის მხარის განვითარების პროგრამაში, განიხილეს მთავრობის სხდომაზე. ინვესტორი პირადად ესაუბრა საქართველოს პრეზიდენტს, გამოქვეყნდა პუბლიკაციები პრესაში, ფირმა „ეკოტექსის“ წარმომადგენელი შეხვდა რაიონის მოსახლეობას, მაგრამ პროექტს რეალური განხორციელება არ ეწერა.

2000 წლის 20 აგვისტოს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ საქართველოს გარემოს და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრომ გამოაცხადა ტენდერი ანაკლიის ტორფის საბადოს ლიცენზირებისათვის.

იხ. მე-4 გვ.

ფინანსები

# ომის დაწყებამ ამერიკული საფონდო ინდექსები გაზარდა

***გასული კვირის განმავლობაში შეერთებული შტატების საფინანსო ბაზრების რეაქციიდან გამომდინარე თუ ვიმსჯელებთ, ბოლო პერიოდში ეკონომიკური კონიუნქტურის შესუსტებითა და საფონდო ინდექსების დაცემით დაღლილი ინვესტორები ფსონს გეოპოლიტიკურ მოვლენებზე აკეთებენ.***

ამერიკის შეერთებული შტატების ისტორიაში მართლაც მრავალი მაგალითია იმისა, რომ ქვეყნიდან შორს მომხდარი სამხედრო კონფლიქტები პოზიტიურად ასახულა ამერიკული კორპორაციების მოგებაზე. დღეისათვის ინვესტორებიდან ცოტას თუ ეპარება ეჭვი, რომ ახალი ომი ხანმოკლე და გამარჯვების მომტანი იქნება. თუმცა, სამხედრო მოქმედებების ღირებულება და გამარჯვების შემთხვევაში ერაყში აღდგენითი სამუშაოების ხარჯები სპეციალისტებში კვლავ ფართო დისკუსიის საგანი რჩება.

ჯერ კიდევ კვირის დასაწყისში, 17 მარტს, ერაყის გარშემო შექმნილი სიტუაციის გაურკვევლობის პერიოდის დამთავრების მოახლოებამ საფონდო ინდექსების მკვეთი ზრდა განაპირობა. ორშაბათს დაწყებული რალი საფონდო ბაზარზე მთელი კვირის განმავლობაში გაგრძელდა და ერაყში ანგლო-ამერიკული კოალიციის გამარჯვების იმედს დაემყარა. პარასკევის ვაჭრობის მონაცემებით, „ცისფერი კოჭების“ ინდექსი Dow Jones-ი 235.37 პუნქტით, ანუ 2.84%-ით გაიზარდა 8521.97 მაჩვენებლამდე, ხოლო Nasdaq-ი 19.07 პუნქტით, ანუ 1.36%-ით 1421.84- მდე. Dow-მ ზრდა ზედიზედ მერვე სესიაზე დააფიქსირა. ზრდის ასეთი უწყვეტი პერიოდი „ცისფერი კოჭების“ ინდექსს 1998 წლის დეკემბრის შემდეგ აღარ ჰქონია. ამ რვა სესიის განმავლობაში Dow 997.91 პუნქტით, ანუ 13.3%-ით გაიზარდა, ხოლო Nasdaq-ი 11.8%-ით.

17-21 მარტის სავაჭრო, ანუ ომის პირველი კვირის განმავლობაში Dow-ს ზრდამ 8.36% შეადგინა, რაც კვირის მონაცემებით, 1982 წლის შემდეგ, ანუ თითქმის 20 წელია, ყველაზე მაღალი მაჩვენებელია. Nasdaq-ის ზრდამ კვირის მანძილზე 6.03% შეადგინა.

ომის პირველი კვირის ბოლო დღის ვაჭრობა საკმაოდ აქტიურად წარიმართა. ბრუნვის მოცულობამ ნიუ-იორკის NYSE-ის საფონდო ბაზარზე 1.80 მლრდ ხოლო Nasdaq-ის ბირჟაზე 1.89 მლრდ აქცია შეადგინა.

* * *

საკმაოდ დაიწია ოქროსმომპოვებელი კომპანიების აქციების და თვით ამ ძვირფასი მეტალის ფასმაც, **ძვირფასი ლითონების ბაზარზე** კვირის ბოლო დღის ვაჭრობაზე ერთი უნცია ოქრო უკვე 332.25 დოლარი ღირდა.

* * *

**საერთაშორისო სავალუტო ბაზრებზე** გასული კვირა წამყვან ვალუტებთან მიმართებაში ამერიკული დოლარის კურსის გამყარებით აღინიშნა. ევრო /დოლარის კურსი ამერიკულ სესიაზე კვირის ბოლოსათვის 1.0501, ხოლო ევროპულ სესიაზე 1.0560 დონეზე განისაზღვრა, რაც ბოლო ორი თვის განავლობაში მინიმალურ მაჩვენებელს წარმოადგენს. მნიშვნელოვნად, 180 პუნქტით გაიზარდა დოლარი/შვეიცარული ფრანკის კურსიც და 1.4048 დონეზე დაფიქსირდა. დოლარი/იენის კურსი 170 პუნქტით გაიზარდა და ბოლო სამი თვის მაქსიმალურ მაჩვენებელს 121.85 მიაღწია.

* * *

გასული კვირის დასაწყისში, **ნავთობის ფიუჩერსების ბაზარზე** ვაჭრობა საკმაოდ ვოლატილურად წარიმართა. სავაჭრო სესია კოტირებების ზრდით დაიწყო. ბაზარმა იგრძნო საომარი აზბოქრება შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და ესპანეთის სამიტის შემდეგ, მაგრამ ზრდა მკვეთრი დაცემით შეიცვალა, როდესაც ბაზარზე მსხვილი სპეკულაციური ფონდების მიერ „გრძელი“ პოზიციების მასიური დახურვა დაიწყო. შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და ესპანეთის უარი გაეროში დიპლომატიური ძალისხმევის გაგრძელების თაობაზე, რომელიც პრაქტიკულად ომის დეკლარაციას წარმოადგენდა, ბევრმა ინვესტორმა აღიქვა, როგორც მოგების ფიქსაციის სიგნალი.

ორშაბათის ვაჭრობის მონაცემებით, ლონდონის საერთაშორისო ბაზარზე Brent-ის მარკის ნავთობის ფასი 29.48 დოლარამდე, ხოლო ნიუ-იორკის NYMEX-ის სასაქონლო ბირჟაზე WTI-ის მარკის ნავთობის ფასი 34.93 დოლარამდე დაეცა.

სამშაბათის ვაჭრობის მონაცემებით, ლონდონის საერთაშორისო ბაზარზე Brent-ის მარკის ნავთობის ფასი 2.23 დოლარით დაეცა ბარელზე 27.25 დოლარამდე, ხოლო ნიუ-იორკის NYMEX-ის სასაქონლო ბირჟაზე WTI-ის მარკის ნავთობის ფასი 3.26 დოლარით 31.67 დოლარამდე, რაც 8 იანვრის შემდეგ ყველაზე დაბალი მაჩვენებელია.

ოთხშაბათის ვაჭრობის მონაცემებით, ვაჭრობა ნავთობის ფიუჩერსების ბაზარზე ახალი დაცემით დასრულდა. Brent-ის მარკის ნავთობის ფასი 26.75 დოლარამდე, ხოლო WTI-ის მარკის ნავთობის ფასი ბარელზე 29.88 დოლარამდე დაეცა, რაც ზედიზედ ხუთი სავაჭრო სესიის მანძილზე ამ მარკის ნავთობის 21-პროცენტიანი, ანუ 7.95 დოლარითვარდნაა.

დარგობრივი ანალიტიკოსების ერთსულოვანი შეფასებით, ბოლო დღეების განმავლობაში მსოფლიო ბაზრებზე ნავთობის ფასების მკვეთრი დაცემა სპეკულაციური ფონდების მიერ მისი ფიუჩერსების აქტიურმა გაყიდვამ გამოიწვია. რაც განაპირობა მათმა მყარმა მოსაზრებამ, რომ ერაყში ომი ხანმოკლე იქნება და რეგიონიდან ნავთობის მიწოდების ძირეულ შეფერხებას არ გამოიწვევს.

ხუთშაბათს, ოპეკის წარმომადგენლებმა კვლავ დაადასტურეს, რომ კარტელი მზად არის დეფიციტის შექმნის შემთხვევაში გაზარდოს ნავთობის მოპოვება, მაგრამ ასევე მიანიშნეს, რომ მსოფლიო ბაზარზე დღესდღეობით ნავთობი საკმარისი რაოდენობით არის და არ არსებობს მისი მოპოვების გაზრდის აუცილებლობა.

იხ. მე-4 გვ.




გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

საქართველოს რესპუბლიკა
№ 77, ორშაბათი, 24 მარტი, 2003 წელი.

## პრობლემა

(მესამე გვერდიდან)

მონაწილეობის მისაღებად ფირმა „ეკოტექსმა“ შეიტანა განაცხადი სათანადო დოკუმენტაციით. საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროში დაადგინეს, რომ საწარმო ქვეყნისთვის მართლაც საჭიროა, ეს დასტურდება გარემოს და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 27.03.2001 წლის №11-09/43 წერილით, რომლითაც მიმართა გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარეს კახა ჩიტაიას: **„წარმოდგენილი მასალების მიხედვით საბადოს დამუშავების რენტაბელობის დასაბუთება მისაღებია. ამასთან, უნდა ვივარაუდოთ, რომ პროექტის განხორციელების შემთხვევაში როგორც მხარის ისე სახელმწიფო ბიუჯეტში არსებითი შენატანები განხორციელდება“.** მაგრამ საქმე ის გახლავთ, რომ ეს ტერიტორია კოორდინატებით ეროვნული პარკის მკაცრი დაცვის ზონაშია.

ამ საკითხზე მსჯელობა პარლამენტშიც იყო. მან მიზანშეწონილად მიიჩნია, რომ მომავალი მოწვევის პარლამენტს, ექსპერტებთან კონსულტაციების შემდეგ, განეხილა კოლხეთის ეროვნული პარკის მკაცრი დაცვის ზონიდან იმნათის ჭაობის ნაწილის გამოყოფისა და შესაბამისად „კოლხეთის დაცული ტერიტორიების შექმნისა და მართვის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის მიზანშეწონილობის საკითხი, რაც დღემდე არავის გახსენებია.

აღსანიშნავია ისიც, რომ ლანჩხუთის რაიონის მაჟორიტარმა დეპუტატმა რ. კვაჭაძემ ამ საკითხთან დაკავშირებით საქართველოს პრეზიდენტს მიმართა. **ბატონმა პრეზიდენტმა (წერილი №92/20 31.03.1999 წ.) დაავალა ვ. ლორთქიფანიძეს, ნ. ჩხობაძეს, თ. ბერუჩაშვილს და ბ. ბახტაძეს, რომ რწმუნებულებთან, რაიონის გამგეობასთან და დეპუტატთან ერთად განეხილათ და წარმოედგინათ დასკვნა.**

**მაგრამ ეს შეკრება არ შემდგარა.**

2002 წლის 21 მაისს №01-173 წერილით საქართველოს პრეზიდენტს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა ვალერიან მეტრეველმა, ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე, თხოვნით მიმართა, რომ კოლხეთის ეროვნული პარკის საერთო ფართიდან გამოეყოთ ტორფის საბადო, რათა დაგვემზადებინა ეკოლოგიურად სუფთა ორგანო-მინერალური სასუქები.

პრეზიდენტმა ბატონ ვ. მეტრეველის თხოვნას შემდეგი შინაარსის რეზოლუცია დაადო: **„მიუხედავად ჩემი არაერთი დავალებისა, ამ მეტად მნიშვნელოვანი საკითხის გადაწყვეტა ძალზე გაჭიანურდა. ქალბატონ ნინო ჩხობაძეს, განიხილეთ დაინტერესებულ მხარეთა მონაწილეობით და მიიღეთ ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე გადაწყვეტილება (მიიყვანეთ საქმე ბოლომდე). თუ საჭიროა, შემოიტანეთ შეთანხმებული წინადადება. 2002 წლის 29 მაისი №201/20“.**

განხილვა დაინტერესებულ მხარეთა მონაწილეობით არ შემდგარა. 2002 წლის 24.07 ბატონ პრეზიდენტს ქალბატონმა ნინო ჩხობაძემ მიმართა წერილით №10-17/1261, სადაც ვკითხულობთ — **„აღნიშნულ ტერიტორიაზე ტორფის ამოღება არის შეუთავსებელი რამსარის კონვენციით განსაზღვრულ ვალდებულებებთან, ვინაიდან იგი გამოიწვევს გარემოს შეუქცევად დეგრადაციას და ეკოლოგიური წონასწორობის რღვევას** (ეს კონვენცია კი არც მეტი, არც ნაკლები, იცავს გადამფრენ ფრინველებს (იხვებს), რომლებიც ხსენებულ ტერიტორიაზე წელიწადის ერთსა და იმავე დროს 10-15 დღეს ისვენებენ. — **ავტორთა შენიშვნა**). **რიგ სპეციალისტთა აზრით** (აღნიშნავს ქალბატონი ნინო) **იმნათის ჭაობის** (ტორფის საბადო და არა ჭაობის, რომელიც სახელმწიფო სიმდიდრეა, აყვანილია სახელმწიფო ბალანსზე, შესწავლილია დეტალურად და რომლის ეკონომიკური პოტენციალი 540 მილიონი ამერიკული დოლარის ეკვივალენტია — **ავტორთა შენიშვნა**). **თუნდაც რამდენიმე ნაწილის დამუშავება ტორფის ამოღების მიზნით, გამოიწვევს ძლიერ უარყოფით ეკოლოგიურ შედეგს არა მარტო თვით ამ „ჭაობის“ ფარგლებში, არამედ მისი მიმდებარე ჭარბტენიანი ტერიტორიებისთვისაც. დაირღვევა ჰიდროგეოლოგიური და ჰიდროლოგიური რეჟიმი, წყლის ქიმიური და ბიოლოგიური შემადგენლობა, რელიეფის ტოპოგრაფია, წყლის დონის დაწევისა და ტენის შემცირების გამო მოისპობა ფლორის იშვიათი ელემენტები, ტორფის ფენის ამოღება გამოიწვევს მისი ფენის გაშიშვლებას, რაც განაახლებს დღეისათვის დაკონსერვებულ ბიოქიმიურ პროცესებს, რის შედეგადაც დაიწყება ტერიტორიის დაბინძურება მავნე ელემენტებით“.**

მაგრამ არიან სხვა სპეციალისტებიც, რომლებიც ფიქრობენ, რომ მოყვანილი ფაქტები რეალობას არ შეესაბამება. წყლის ჰიდროგეოლოგიური და ჰიდროლოგიური რეჟიმის დარღვევა უსაფუძვლოა მათი გიბსომეტრული მდებარეობის გამო, რადგან ჰიდროქსელი ერთიან სისტემას წარმოადგენს, რაც უშუალო კავშირშია შავ ზღვასთან. რელიეფის ტოპოგრაფია უცვლელი დარჩება, ვინაიდან წყლის დონის დაწევა გამორიცხულია, ხოლო შავი ზღვის სანაპირო ზოლის რამდენიმე კილომეტრით უკან დახევა ყოვლად წარმოუდგენელია. ტორფის საბადოს ჩამოყალიბებიდან დღესაც მიმდინარეობს ბიოლოგიური პროცესი, კერძოდ მათი გახრწნის სახით, ე.ი. ზედმეტია საუბარი და წარმოუდგენელიც კი ტენის შემცირებაზე. წარმოუდგენელია ტორფის საბადოს გაშიშვლება, ვინაიდან იგი 75-94 პროცენტის ტენიანობით არის წარმოდგენილი და უშუალო კავშირშია ზღვის სანაპირო ზონის ტოპოგრაფიულ მდებარეობასთან (კერძოდ, ზღვის ზედაპირთან).

## სახელმწიფო ინტერესების უგულებელყოფა გადამფრენი იხვების ხარჯზე!..

საინტერესოა, რატომ არ სარგებლობენ ჩვენი ბუნების დამცველები უკვე ათასჯერ დამტკიცებული და შესწავლილი მასალებით? ესარგებლათ და ნათელი გახდებოდა, რომ კოლხეთის დაბლობზე, კერძოდ — კოლხეთის ეროვნული პარკის ტერიტორიის ფარგლებში, ფაქტობრივად, შესასწავლი არაფერია. სახელმწიფო თანხების უმიზნო ხარჯვასაც ასცდებოდა ჩვენი ქვეყანა.

საოცარი ფაქტია — გარემოს დამცველებს ჯერ არ უნდოდათ ხუდონჰესი, ახლა კი უარს ამბობენ ნიადაგის მწარმოებუნარიანობის გაზრდაზე.

ძნელია დასკვნის გამოტანა, ვინაიდან გარემოს დამცველთა ეს ჯგუფი თავის მოსაზრების გარდა, სხვების აზრს არ ითვალისწინებს, მას თავისებური განმარტება აქვს ყველაფრის მიმართ, რასაც ხშირად რეალობასთან საერთო არაფერი აქვს.

2002 წლის 23 ივლისს სოფელ სუფსის საკრებულომ თხოვნით მიმართა საქართველოს პრეზიდენტს ედუარდ შევარდნაძეს და სახელმწიფო მინისტრს ავთანდილ ჯორბენაძეს, რომლითაც ითხოვენ ცვლილებების შეტანას საქართველოს კანონში „კოლხეთის ეროვნული პარკის შექმნისა და მართვის შესახებ“.

საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა რეზოლუციით მიმართა ქალბატონ ნინო ჩხობაძეს: **„გთხოვთ, განიხილოთ მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებით პრეზიდენტის 2002 წლის №210/20 დავალებასთან ერთად (2002 წლის 28 აგვისტო №549/19).“**

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრომ სახელმწიფო მინისტრს პასუხი 2002 წლის 2.10 (№10-18/1912) წერილობით მოახსენა, რომ **„მომზადებულია კოლხეთის ეროვნული პარკის მენეჯმენტის გეგმის სამუშაო ვარიანტი. ეს უკანასკნელი მოიცავს, თავის მხრივ, შესაბამისი რაიონების ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებით მომზადებულ საქართველოს კანონპროექტს „კოლხეთის დაცული ტერიტორიების შექმნისა და მართვის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე. დღეისათვის აღნიშნული მენეჯმენტის გეგმის სამუშაო ვარიანტი დაგზავნილია დაინტერესებულ უწყებებსა და ორგანიზაციებში, ასევე, შესაბამისი რაიონის საკრებულოებში“.**

აქვე დანართში ქალბატონი ნინო ჩხობაძე განმარტავს, რომ კოლხეთის ეროვნული პარკის ზონაში ტორფის მოპოვება მთლიანობაში 80-90 სამუშაო ადგილს შექმნისო, რაც, რა თქმა უნდა, არასწორია.

მალე ეს პარლამენტი თავის უფლებამოსილებას ამოწურავს, საქმე კი, თითქოს, შეგნებულად ჭიანურდება. დედამიწის ზურგზე არც ერთ ქვეყანას თავში არ მოუვა ტორფისა და საპროპელის მოპოვების აკრძალვა. ჩვენ კი... კოლხეთში 12062 ჰექტარის ფართობი შეიცავს 664 მილიონ კუბურ მეტრ მაღალხარისხოვან ტორფს. ეს არის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ძირითადი სტრატეგიული სახელმწიფო მარაგი. იგი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, სრულიად დაკარგულია, ანუ უსარგებლოა საქართველოსთვის.

**ამით საქართველოს სოფლის მეურნეობა წარმოუდგენლად ზარალდება! შარშან საქართველოში** ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის მოსავლიანობა და ხარისხი შემცირდა. ეს შესამჩნევი იყო თბილისის ბაზრებზე. მცენარეები დაავადდა დასუსტებულ მიწაში ჰუმუსის ნაკლებობის გამო. ჩაი და სუბტროპიკები ხომ საერთოდ ველარ ვითარდება ორგანული სასუქის გარეშე. საქართველოს უკვე აღარ შეუძლია მოამარაგოს რუსეთი და ამიერკავკასია ზემოთ ხსენებული პროდუქტებითა და ბოსტნეულით. სამაგიეროდ, გზა გაეხსნა ყველაფერს უცხოურს... მიზანი მიღწეულია. შავი ზღვის რეგიონიდან სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის საბაზრო სექტორში ერთ-ერთი ტრადიციული კონკურენტი, საქართველო, ამოვარდა. ჩვენს ქვეყანაში განხორციელებულია მარკეტიკული ეკონომიკური დივერსია სოფლის მეურნეობის ბლოკირების გზით.

მიუხედავად ზემოთ ხსენებული დაბრკოლებებისა, მეცნიერთა ჯგუფი არ წყვეტს მუშაობას და არ კარგავს იმედს. პერსპექტიულია გრანულირებული ორგანულ-მინერალური სასუქების წარმოების პროექტი COMF, რომლის სასუქების ფასი საერთაშორისო ბაზარზე ძვირადღირებულია, ეკოლოგიურად სუფთაა და დიდი პოპულარობით სარგებლობს. მათი გამოყენება მნიშვნელოვნად გაზრდის ეკოლოგიურად სუფთა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებას.

წელიწადში 200 000 ტონა სიმძლავრის მქონე საწარმო შექმნის 500-მდე სამუშაო ადგილს და გაანოყიერებს 200 000 ჰექტარ მიწას, რასაც ვერა და ვერ ითავისებს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო.

**სოლომონ ბრძენს უთქვამს, ბრძენი ის კი არ ყოფილა, ვინც მარტო თავის ჭკუაზე დადისო, არამედ ის, ვინც სხვასაც დაეკითხება ხოლმეო.**

**ისე, ჩვენმა ზოგიერთმა პოლიტიკოსმა თუ მოხელემ ეს ჭეშმარიტება სწორად რომ გაითავისოს, ჩვენს ბედს ძაღლი მართლა არ დაჰყეფდა.**

**როზერტ დოლიძე,**
**სახელმწიფო გეოლოგიური დეპარტამენტის აგრომადნების ძებნაძიების გეოლოგიური პარტიის უფროსი;**

**გიორგი ძადამიძე,**
**საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციის წევრი.**

**რედაქციისაგან: ამ წერილში წამოჭრილი პრობლემა გამორჩეულად აქტუალურია. ამიტომაც, თავს უფლებას ვაძლევთ, ვთხოვოთ პასუხი საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს.**

## ფინანსები

# ომის დაწყებამ ამერიკული საფონდო ინდექსები გაზარდა

(მესამე გვერდიდან)

ხუთშაბათის ვაჭრობა კი შემდეგი მონაცემებით დასრულდა: ლონდონში Brent-ის მარკის ნავთობის მაისის ფიუჩერსის ფასი ბარელზე 25.50 დოლარამდე დაეცა, რაც ამ მარკის ნავთობის ყველაზე დაბალი ღირებულებაა ბოლო სამი თვის განმავლობაში. ნიუ-იორკის ბაზარზე WTI-ის მარკის ნავთობის აპრილის ფიუჩერსის ფასი 28.61 დოლარამდე დაეცა. ბოლო ექვსი სესიის განმავლობაში ამ მარკის ნავთობის ფიუჩერსი 9.22 დოლარით დაეცა, ანუ ღირებულების თითქმის მეოთხედი დაკარგა.

* * *

ბოლო პერიოდში შიდა სავალუტო ბაზარზე ვალუტის კონვერტაცია ლამის სიფრთხილესთან დაკავშირებულ პრობლემად იქცა „არალიცენზირებული ვალუტჩიკების“ მხრიდან გახშირებული თაღლითობის გამო, რაც ძირითადად, ვალუტის ყიდვა-გაყიდვის მომენტში მოქალაქეთათვის ნაკლები ოდენობით თანხის გადაცემაში გამოიხატება.

მოქმედი კანონდებლობის შესაბამისად, ვალუტის გადამცვლელი პუნქტების საქმიანობა ლიცენზირებადია და ამ სახის სამეწარმეო საქმიანობისათვის ნებართვის გაცემის კრიტერიუმები საზოგადოებრივ უსაფრთხოებას, მეწარმეთა და მომხმარებელთა უფლებებისა და ინტერესების დაცვას ემყარება.

ამჟამად, ქვეყანაში დაახლოებით, 300-მდე ლიცენზირებული ვალუტის გადამცვლელი პუნქტი ფუნქციონირებს, რომელთა უმრავლესობაც თავის საქმიანობას კანონმდებლობის შესაბამისად, ჩამოთვლილი პრინციპების გათვალისწინებით წარმართავს.




სამწუხაროდ, მათ იმიჯზე, ისე როგორც საზოგადოებრივ უსაფრთხოებაზე, უარყოფითად მოქმედებს შიდა სავალუტო ბაზარზე უამრავი არალიცენზირებული ვალუტის გადამცვლელი პუნქტის საქმიანობა, რომელთა არსებობა აშკარად მიუთითებს მათი მფლობელების კანონსაწინააღმდეგო ქმედებაზე და არაჯანსაღი კონკურენტული გარემოს დამკვიდრებას განაპირობებს, რადგან მათი მხრიდან ანგარიშვალდებულება საზედამხედველო და საგადასახადო ორგანოებისადმი საერთოდ არ არსებობს. შედეგად, სახელმწიფო საბიუჯეტო შემოსავლების მნიშვნელოვან რესურსს კარგავს.

შიდა სავალუტო ბაზრის ექსპერტების შეფასებით, გამორიცხული არ არის არალიცენზირებული ვალუტის გადამცვლელი პუნქტების მეშვეობით ფულის „გათეთრება“, ასევე ყალბი კუპიურების გავრცელება, რასაც შესაძლოა სერიოზული ნეგატიური შედეგები მოჰყვეს, როგორც ქვეყნის ეკონომიკისათვის, ისე იმ მოქალაქეების პირადი ბიუჯეტისათვის, რომლებმაც მათდაუნებურად ასეთი მომსახურებით ისარგებლეს. მით უფრო, რომ არალიცენზირებული პუნქტების რაოდენობა საკმაოდ შთამბეჭდავია და მნიშვნელოვნად აღემატება, როგორც თბილისის, ისე მთლიანად ქვეყნის მასშტაბით ლიცენზირებულ ვალუტის გადამცვლელ პუნქტებს. მარტო ეროვნული სტადიონის და ვაგზლის მოედნის მიმდებარე ტერიტორიაზე 70 არალიცენზირებული პუნქტია დაფიქსირებული.

ეროვნული ბანკი, როგორც საზედამხედველო ორგანო, რომელსაც არალიცენზირებული ვალუტის გადამცვლელი პუნქტების საქმიანობის აღსაკვეთადად უფლებამოსილება არ გააჩნია, აუცილებელ პირობად მიიჩნევს ამ მიმართულებით სამართალდამცავი ორგანოების მიერ მუშაობის გააქტიურებას და თვლის რომ იგი ეპიზოდურ ხასიათს არ უნდა ატარებდეს.

ამ ეტაპზე კი მოქალაქეებისათვის რისკების მინიმიზაციისა და დაზღვევის მიზნით, არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებების ზედამხედველობის სამმართველოს განმარტებით, თითოეულმა ვალუტის გადამცვლელმა პუნქტმა ზედმიწევნით უნდა დაიცვას ვალუტის გადამცვლელი პუნქტების ლიცენზირებისა და მათი საქმიანობის ზედამხედველობის წესით გათვალისწინებული მოთხოვნები და უზრუნველყონ: ვალუტის სახეობის მიხედვით ყიდვა-გაყიდვის კურსის საილუსტრაციო სტენდზე ყოველი სამუშაო დღის განმავლობაში პუნქტის მიერ ვალუტის სახეობათა მიხედვით ყიდვა-გაყიდვის დადგენილი კურსის თაობაზე ინფორმაციის მეათიათასედის სიზუსტით განთავსება;

სალიცენზიო მოწმობის ფოტოასლის, ასევე პუნქტისა და კლიენტის უფლება-მოვალეობის შესახებ ინფორმაციის კლიენტებისათვის თვალსაჩინო ადგილზე განთავსება;

მოქალაქის უფლებაა ვალუტის ყიდვა-გაყიდვის ოპერაციის განხორციელებისთანავე მოითხოვოს სავალუტო პუნქტისაგან მიღებული და გაცემული თანხის აღრიცხვა და დადგენილი ფორმის შესაბამისად ქვითრის იმავდროულად გადაცემა, მისი ერთი პირის პუნქტში ერთი წლის განმავლობაში შენახვის ვადით.

რადგან ხშირ შემთხვევაში თაღლითებს მოქალაქეებიც უწყობენ ხელს თავიანთი უფლებამოსილებების არ ცოდნით, სებ-ის ექსპერტები მოგვიწოდებენ ყურადღებით მოვეკიდოთ გადამცვლელი პუნქტების მიერ ჩამოთვლილი კრიტერიუმების დაცვას. ამასთან, პუნქტის მიმართ წაყენებული ამგვარი მოთხოვნების დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში მოქალაქეს შეუძლია მიმართოს სახელისუფლო სტრუქტურების შესაბამის სამსახურს.

**ეკა ლეჟავა,**
**„სრ“ ეკონომიკური მიმომხილველი.**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

კერძო აზრი

# სიცრუის ფიზიონომია,

## ანუ „როგორ დააქუცმაცა სტალინმა რუსეთი“

**„გარდაცვლილებზე ან კარგს ამბობენ, ან არაფერსო“, — აღნიშნავდნენ ბრძენი რომაელები. მაგრამ პიროვნება, რომელიც თავისი მიწიერი ცხოვრებით საზოგადოების განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს, საზოგადოების ყურადღების ობიექტში რჩება გარდაცვალების შემდეგაც. მისი განვლილი ცხოვრების შეფასება არა თუ დასაშვებია, არამედ აუცილებელიც არის, რადგან ის, რაც „ისტორიის საკუთრებაა“ — ისტორიის მეცნიერების განსჯის საგანია. საწინააღმდეგო თვალსაზრისი ისტორიის მეცნიერებაზე უარის თქმა იქნება. წარსულს კვლევა სჭირდება, კვლევას მეცნიერება: არგუმენტაციის ლოგიკა და ლოგიკის არგუმენტაცია.**

უმადური ადამიანი სხვისი განმსჯელი ვერ იქნება. და საერთოდ, უმადურობა ადამიანურ სისუსტეთა შორის ერთ-ერთი ყველაზე დასაძრახი მანკიერებაა. უმადური ადამიანი, ფაქტობრივად „სოციალური ასკეტია“ და რადგან ცალკეულ ადამიანთა (ინდივიდთა) ერთობლიობაა საზოგადოება, ხოლო სახელმწიფო — ერთი „დიდი საზოგადოება“, ამიტომ, რაც უფრო ნაკლები იქნება მასში უმადური ადამიანების რიცხვი, მით უკეთესი სახელმწიფოსათვის. სხვა მხრივ სახელმწიფო „სახელმწიფოთა თანამეგობრობის“ სრულფასოვანი წევრი ვერ იქნება. ულირსს სხვისი ღირსება არაფრად უღირს. ღორს რომ საჭმელი დაუყარო, დინგს მოგიშვერს და დაგვსრის. „არაფერი ზომაზე მეტი“ — აი, კიდევ ერთი ანტიკური სიბრძნე, ღირსეულ ადამიანთა გონებაში გამოტარებული. სიცრუე მთქმელსაც ავნებს და გამგონესაც. სიცრუე — სისუსტეა, ერთგვარი „თავდაცვის იარაღია“, რომელსაც, როგორც ყველა იარაღს, შემტევი ფუნქციაც აქვს, — სიცრუეზე აგებული იდეოლოგია კი ერთგვარი „მასობრივი განადგურების იარაღია“.

ყოველი ახალი კი, როგორც ამბობენ ხოლმე, „კარგად დავიწყებული ძველია“. მაგრამ ისტორიაც მეორდებაო, ნათქვამია. ისტორიული დრამა, განმეორების შემთხვევაში, თურმე ფარსით მთავრდება.

ამ ნახევარ საუკუნეზე ცოტა მეტი ხნის წინათ, როცა სახელმწიფოთა შორის ურთიერთობის ერთ-ერთ მთავარ იარაღად სწორედ „იდეოლოგიური იარაღი“ იქცა, „შავი ფაშიზმის“ ბუდეში ხმამაღლა გაცხადდა: „ტყუილს, რაც უფრო დაუჯერებელია, მით უფრო იჯერებს ხალხიო“. იარაღის ხმარების მექანიზმს თუ ფლობ, ადვილია იარაღის გამოყენება.

„იდეოლოგიური „იარაღი“ საკმაო წარმატებით მუშაობდა „წითელი ფაშიზმის“ ქვეყანაშიც, რომელსაც ცივილიზებულმა მსოფლიომ „საბჭოთა იმპერია“ უწოდა. თავის თავს კი ეს „იდეოლოგიური მონსტრი „საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირს“ უწოდებდა. შესაბამისი იდეოლოგიის გარეშე ეს კავშირი ვერ იარსებებდა. „არარაისგან არ იქმნების არარაიცა“. იარაღი მაშინ არის განსაკუთრებით საშიში, როცა მიზანსწრაფულად, ფართო მასებზე ზემოქმედების იარაღი ხდება. ეს იარაღი ყოველთვის ცნობილი იყო, ოღონდ მისი მოხმარების ტექნოლოგიას ყველა ერთნაირი წარმატებით არ იყო დაუფლებული. რუსეთის ხანგრძლივი ისტორია გარკვეულ იდეოლოგიას — „მესამე რომის“ იდეოლოგიას ეფუძნებოდა. ამ იდეოლოგია-იარაღმა თავისი როლი შეასრულა და ამოწურა თავისი თავი. დაიშრიტა, სასიცოცხლო იდეოლოგია — ამოწურული, დაშლის პირას მისული სახელმწიფო ახალი იდეოლოგიის, „იდეოლოგიური იარაღის“ საჭიროების წინაშე აღმოჩნდა, ხოლო როცა ეს იარაღიც გაცვდა, საბჭოთა კავშირიც დაიმსხვრა.

სტალინი აუცილებლობის წინაშე დააყენა ცხოვრებამ, რეალობამ. ლენინის გარდაცვალების შემდგომ მას ფაქტობრივად ახლიდან უნდა შეექმნა ეს ზემძლავრი იარაღი, რათა შეეჩერებინა რუსეთის რღვევა, რადგან რუსეთი საბჭოთა იმპერიის, უტოპიური სახელმწიფოს მესაძირკვლედ მოიაზრებოდა. სტალინმა ეს შეძლო. რკინისებური ლოგიკით, უდრეკი ნებით, მსხვერპლშეწირივით და თვითშეწირვით ამ იდეოლოგიური ბომონისადმი. მან ქაოსიდან მწყობრი სისტემა შექმნა. ამას არ ნიშნავს ჩერჩილის სიტყვები: „რუსეთის გზა ქოხიდან ატომური ბომბის მქონე ინდუსტრიულ სახელმწიფომდე — სტალინის ერთპიროვნული დამსახურებააო“? ათ საუკუნეში ერთხელ შეიძლება დაიბადოს ასეთი ადამიანიო, — ესეც ჩერჩილს უთქვამს, სტალინის იდეების მტერს სიცოცხლის ბოლომდე.

მაგრამ „სტალინური იდეები“ მარტო „სუფთა სახით“ იდეოლოგიას არ გულისხმობს. მისი იდეა იყო ზემძლავრი სახელმწიფოს შექმნა, რაც მან უმოკლეს დროში განახორციელა. არც ადოლფ ჰიტლერის შეფასება უნდა დაივიწყონ რუსებმა: რუსეთი ისეთი ქაოსური ქვეყანაა, რომ ჯერ საფუძვლიანად უნდა გაწმინდო, ხოლო შემდეგ ისევ სტალინი უნდა ჩაუყენო სათავეში, სხვა მხრივ მისი საშველი არ იქნებაო. ეს სიტყვები რუსეთის უკომპრომისო მტრის მიერ არის ნათქვამი, მაგრამ „თვითმხილველის შეფასებაა“. „წითელი ტერორი“ იქნებ არაფრით განსხვავდებოდა შავი, ფაშისტური ტერორისაგან, მაგრამ, მისკენ, რუსეთისკენ მოღერებულ იარაღს სტალინმა „იმავე ხისტემის „იარაღი“ დაუპირისპირა, ხოლო თავისი მტკიცე ნებისყოფითა და „შენების უნარით“ იგი გაცილებით ძლიერი აღმოჩნდა სხვა დანარჩენებზე. ამიტომ იყო მისით აღტაცებული მისი იდეოლოგიური მოწინააღმდეგე ჯერ კიდევ რუსეთის სამოქალაქო ომის დროიდან — უინსტონ ჩერჩილი. ხოლო ის იდეოლოგია, რასაც ემსახურებოდა სტალინი და რაც „ბომონად დაუდგა“ მილიონობით თავის თანამოქალაქეს, იყო „რუსული ბოლშევიზმის“ იდეოლოგია. სსრკ-ის შექმნამდე დიდი ხნით ადრე აცხადებდნენ, თუნდაც აქ, საქართველოში, რომ ის, რასაც რუსეთში აქვს ადგილი, შორს არის „სოციალიზმისაგან“, ეს „რუსული ბოლშევიზმიაო“.

ისე რომ, ეს „იარაღი“ რუსეთში ყოველთვის იდო თავის ადგილზე და „თავის დროს“ ელოდა. გამოჩნდა, კაცი, რომელმაც შეძლო დრო-ჟამის შესაფერისად მისი გამოყენება. მან მთელი თავისი სიცოცხლე ამ იდეოლოგიით შეფერადებულ უცხო ქვეყანას შეალია, ამ სახელმწიფოს სიძლიერეს მსხვერპლად შესწირა მილიონობით ადამიანი. სხვათა შორის, ყველა იმათი თანამონაწილეობით, რომლებმაც შემდეგ ერთმანეთი ამოხოცეს. იმ ტოტალიტარული სახელმწიფოს რეაქციული ბუნება რევოლუციის, როგორც ასეთის, რეაქციული ბუნებით იყო ნასაზრდოები. საფრანგეთის რევოლუციის დროს, პარიზში, მარტო ერთი ღამის განმავლობაში, მდინარე სენაში ჩაახრჩვეს 2 ათასზე მეტი „იდეური მოწინააღმდეგე“, შემდეგ იქაც თითქმის იგივე მოხდა, რაც რუსეთში: რევოლუციის მებაირახტრენი თავადვე მსხვერპლად შეეწირნენ რევოლუციურ იდეას.

რუსეთიდან გაქცეული თეთრგვარდიელი ემიგრანტები: კორნილოველები, იუდენიჩელები თუ კერენსკელები, აღტაცებას ვერ ფარავდნენ სტალინის მიმართ, რომ მან გააკეთა ის, რასაც ნატრობდნენ: შექმნა მძლავრი, მონოლითური რუსეთი. ივანე მრისხანეს საქმეებს ჰგავდა ამ მრისხანე კაცის საქმეები, ოღონდ შეუდარებლად ფართო მასშტაბებით. ესეც არ დაუფასეს მისმა შორეულმა „თანამოქალაქეებმა“, დაქუცმაცების პირას მისული დღევანდელი რუსეთის მოქალაქეებმა, სტალინმა დაიწყო რუსეთის დაქუცმაცება და გარდაცვალების შემდეგაც აგრძელებს ამასო — აცხადებენ. ამგვარი აზრი ჭორის დონეს ვერ გასცდება, მაგრამ ჭორი ხომ მასაში სიმართლეზე უკეთ ფასობს.



50 წელი შესრულდა დღემდე ამოუცნობი დიქტატორის, რუსული სახელმწიფოს გამაერთიანებლისა და ამაღორძინებლის იოსებ სტალინის გარდაცვალებიდან. თავად სტალინს აქვს ნათქვამი: „სტალინი რუსულ კულტურას ეკუთვნისო“ („კულტურას“ და არა უკულტურობას, რაზეც ქვემოთ გვექნება საუბარი). ეს რუსეთის წრესგადასული სიყვარულით არ მოსვლია მას. ასეთი ბედი განუმზადა ცხოვრებამ. დადებითი პიროვნება იყო ის თუ უარყოფითი, რა გააკეთა მსოფლიოსთვის თუნდაც ფაშიზმის დამარცხებით და ა. შ. ამის კვლევა ისტორიული მეცნიერების საქმეა. ეს ჩემი საქმე არ არის. ჩვენ შეიძლება გვიყვარდეს, ან არ გვიყვარდეს ესა თუ ის პიროვნება, მაგრამ უნდა ვიცოდეთ, რომ ცილისწამებით ყოველთვის ცუდი საქმე კეთდება.

სტალინის გარდაცვალების 50 წლისთავი არ დავიწყებიათ რუსეთში. ამ დღეებში გაზეთმა „მოსკოვსკიე ნოვოსტიმ“ რამდენიმე გვერდი დაუთმო ამ მნიშვნელოვან თარიღს. საგაზეთო პუბლიკაციებს რუბრიკაც შესაფერისი აქვთ: „მთავარი თემა“. მთავარი კი სულ სხვა რამეა: გაზეთის პირველ გვერდზეა გამოტანილი ამ „თემის“ შინაარსი, თვალშისაცემ ადგილზე, მართლაც რომ, სენსაციური, უფრო ზუსტი ვიქნებით, თუ ვიტყვით — გამაოგნებელი ინფორმაციის სახით. აი, ისიც: „სტალინი სიკვდილის შემდეგაც აგრძელებს რუსეთის დაქუცმაცებას“ (!). აქვეა მოთავსებული გარდაცვლილი სტალინის სახიდან აღებული ნიღბის ფოტო. ესეც მრავლისმთქმელი „ჟესტია“, თან შესაბამისია „იმ შეგონებისა“, რაც გაზეთს პირველ გვერდზე გამოაქვს: სტალინი სიკვდილის შემდეგაც აგრძელებს რუსეთის დაქუცმაცებას! აი, როგორ აღნიშნა ეს მნიშვნელოვანი თარიღი რუსულმა პრესამ ფრიად პოპულარული გაზეთის მეშვეობით. კაცზე, რომელმაც დაქუცმაცებული რუსეთის გამთლიანებას შეალია მთელი თავისი სიცოცხლე, წერენ, რუსეთი დააქუცმაცაო! დღეს თუ რუსეთი დაქუცმაცების პირასაა მისული, ეს თურმე იმ ქართველის განზრახვით ხდება. ეს „გამაფრთხილებელი შეგონება“ გაზეთის შიდა გვერდებზეც მეორდება. ამ შეგონებას მოჰყვება პუბლიკაციები. აქა-იქ „დადებით შეფასებასაც“ შეხვდებით, როგორც წვრილ-წვრილ კენჭებს ქვიშაში, მაგრამ რა ფასი აქვთ მათ, როცა გაზეთი წინდაწინვე და საგანგებოდ აფრთხილებს მკითხველს, თუ რა ფაქტთან აქვს საქმე, რომ საქმე ეხება სტალინს, რომელიც სიკვდილის შემდეგადაც აგრძელებს რუსეთის დაშლა-დაქუცმაცებას!

„სტალინისადმი მიძღვნილი“ პუბლიკაციები იწყება ორი ავტორის — მიხაილ შეველიოვისა და ჩვენში კარგად (თუ ავად!) ცნობილი აკაკი მიქაძის ერთობლივი წერილით (სწორედ ამ წერილს აზის „ქუდად“ ის განგაშის მაუწყებელი სიტყვები). ეს წერილიც იმავე ტონალობისა და ქლერადობისაა, როგორც „სარედაქციო განცხადება“, რომელიც ზემოთ გავაცანი მკითხველს. ქირქილი აქაც იმდენია, რომ საკმარისია რუსი მკითხველი სტალინის მიმართაც განაწყოს ცინიკურად და მისი სამშობლოს — საქართველოს მიმართაც, რომელიც ასევე „ნეგატივშია“ დანახული. წერილის ავტორები გორში ჩასულან (საკითხავია, რისთვის?!), ქალაქის ცენტრში სტალინის ძეგლი შეუნიშნავთ. უცვნიათ. თუმცა, ვერც წარწერას წავაწყდით სადმე და ვერც „ეპიტაფიასო“ (!), — აცხადებენ სიცილის გუნებაზე ჯერ კიდევ საქართველოში ჩამოსვლამდე დამდგარი მოგზაური ჟურნალისტები, და იმ დონეზეც ვერ არიან გამოფხიზლებული, რომ ტვინში ჩაჭედილი „ეპიტაფიის“ მნიშვნელობა არ ესმით. „ეპიტაფია“ საფლავის ქვაზე გაკეთებულ წარწერას ნიშნავს, მეტს არაფერს. სასაცილო სწორედ ის არის, რომ ეს ბატონები გორში დაეძებენ სტალინის ეპიტაფიას, ანუ საფლავის ქვის წარწერას. ეგ არაფერიო, — შესძახებენ, — „გამგები გაიგებს“ ვისი ძეგლიც არისო და „შაყირს“ განაგრძობენ. ასევე გაიგებს გამგები, თუ ვისგან არის გამოგზავნილი ის გვირგვინები, ყოველწლიურად 21 დეკემბერს რომ იგზავნება გორში, და რომელსაც „საქართველოს პრეზიდენტისაგანო“, აწერია, მაგრამ არ აწერია გამგზავნელის გვარიო! სიცილის გუნებაზე დამდგარი მოგზაური ჟურნალისტები მთლად სასაცილო და შესაბრალის მდგომარეობაში იგდებენ თავს. იმ გვირგვინებს რომ წარწერა ქართულ ენაზე უკეთდება, ჩვენი დაკვირვებით მივხვდითო, აცხადებენ (თუ გვირგვინები საქართველოს პრეზიდენტისაგან იგზავნება, სხვა რა ენაზე უნდა ყოფილიყო წარწერა(!) აი, როგორ მიმხვდარან: „შემონახულია (!) ქართულ ენაზე შესრულებული ორთოგრაფიის (!!!) ორიგინალის (!) ერთი ეგზემპლარიო“, — აცხადებენ, და აზრად არ მოსდით, რომ არც ამ მეორე უცხო სიტყვის — „ორთოგრაფიის“ მნიშვნელობა ესმით. „ორთოგრაფია“ ნიშნავს „მართლწერას“, ხოლო მათი წინადადება კი შემდეგს: „ქართულ ენაზე შესრულებული მართლწერის ორიგინალის (დედნის) ერთი ეგზემპლარი“. შეამოწმეთ: აი, მათი „რუსულ ენაზე შესრულებული ორთოგრაფიის ორიგინალის“ ნიმუში: „Сохранена орфография оригинала, исполненного на грузинском языке“. ეს თუ ჟურნალისტების აზროვნებას ჰგავს, იცინონ რამდენიც უნდათ. „შემონახულიაო“, ისე აცხადებენ, თითქოს მითაჟამისდროინდელ დოკუმენტთან გვქონდეს საქმე.

იხ. მე-6 გვ.

მსოფლიო შტრიხებში

### გავაბოლოთ და მუსიკითაც დავტკბეთ?

ინგლისური კომპანია „მოლინზის“ სპეციალისტებმა შეიმუშავეს სიგარეტის ორიგინალური კოლოფი: როდესაც მწეველი კოლოფს ხსნის, ბევრი რამის მოსმენა შეუძლია — თამბაქოს წევის მავნებლობაზე ექიმების მკაცრი გაფრთხილებით დაწყებული სამგლოვიარო მარშის მწუხარე ჰანგებამდე. სიგარეტის კოლოფში ჩამონტაჟებულია მიკროჩიპები და მინიატიური ხმამაღლა მოლაპარაკე.

### კარაქი დასანახადაც კი შეიძულა

ნოვოსიბირსკელმა მეფოკუსემ ივან კარპიშევმა ადგილობრივი ცირკიდან თავისებური რეკორდი დაამყარა — მან 48 საათი დაჰყო კარაქის გიგანტურ ბლოკში.

მას თითქოსდა უნდოდა ამერიკელი ილუზიონისტის დევიდ ბლეინის რეკორდის პაროდიული გამეორება, ამერიკელმა ხომ ნიუიორკის მთავარ მოედანზე — ტაიმსკვერში — 62 საათი გაატარა ყინულის ლოდში.

„რეკორდის“ შემდეგ კარპიშევს არ გაუმჟღავნებია თავისი ტრიუკის საიდუმლოებანი, მხოლოდ ის თქვა, რომ სუნთქვას აყოვნებდა მედიტირების განსაკუთრებული ტექნიკით. ხოლო ამ „ფოკუსისათვის“ რომ ემზადებოდა, სამი თვის მანძილზე სახეზე იდებდა კარაქის სქელ ფენას და ყოველდღიურად ასეთი „ნიღბით“ რჩებოდა სამიდან შვიდ საათამდე.

ჯერჯერობით დასადგენია, თუ რა ზიანი მოუტანა მისმა ცდამ მისსავე ჯანმრთელობას, ერთი კი ცხადია, ადრე გაგიჟებული რომ იყო კარაქიან ბუტერბროდებზე, ახლა ამ პროდუქტის დანახვაც კი აღარ შეუძლია.

### კუბა: ზოგჯერ დიქტატორებიც ლოცულობენ

კუბის პრეზიდენტმა ფიდელ კასტრომ მონაწილეობა მიიღო ჰავანის დედათა მონასტრის გახსნაში. თავისი პოლიტიკური კარიერის მანძილზე ფიდელი პირველად მივიდა ეკლესიაში.

ცერემონია პირდაპირი ეთერით გადაიცემოდა ადგილობრივი რადიოთი და ტელევიზიით, რაც თავისთავად ასევე იშვიათი მოვლენაა.

მონასტერი შეიკედლებს წმიდა ბრიგადის სამონაზვნო ორდენის რვა მორჩილს.

სულ ბოლოს, კასტრო საეკლესიო წირვას 1998 წელს დაესწრო რომის პაპის იოანე პავლე II-ის ვიზიტის დროს. მაშინ წირვა აღევლინა ღია ცის ქვეშ, ჰავანის რევოლუციის მოედანზე.

პრეზიდენტის თქმით, მონასტრის გახსნა უკავშირდება რომის პაპის ვიზიტის მე-5 წლისთავს და წარმოადგენს „მშვიდობისა და სამართლიანობის ჟესტს“.



გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

საქართველოს რესპუბლიკა
№ 77, ორშაბათი, 24 მარტი, 2003 წელი.

## მაუგლის კვალზე

# მგლის ძუძუნაწოვნი რომს ვერ ააგებდნენ

**მითოლოგიიდან ცნობილია, რომ მარადიული ქალაქი მგლის ძუძუნაწოვმა ძმებმა რემმა და რომულუსმა ააგეს.**

**ტირანმა ამულიუსმა ბავშვების მდინარე ტიბრში დახრჩობა ბრძანა. მსახურმა ბიჭუნები კალათით მდინარის ნაპირზე დატოვა. საცოდავები ძუ მგელმა იშვილა და გაზარდა. როდესაც ძმები გაიზარდნენ, გადაწყვიტეს თავიანთი გადარჩენის ადგილზე ქალაქი აეგოთ. თუ ეს ისტორია ნამდვილია და არა მითი, მაშინ ფაქტია, რომ ისინი ვერასოდეს შეძლებდნენ ქალაქის აშენებას კი არა ნორმალურ, ადამიანურ აზროვნებასაც კი. რატომ?**

უხსოვარი დროიდან დღემდე მრავალი შემთხვევა არსებობს იმისა, თუ როგორ ზრდიდნენ გარეული ცხოველები დაკარგულ ჩვილებს. ინდოეთში მსახურობის დროს რედიარდ კიპლინგი ხშირად წაწყდომია ჯუნგლებიდან მობრუნებულ ბავშვებს, რომლებსაც მგლები, მაიმუნები და სხვა მტაცებელი ცხოველები ზრდიდნენ. ერთი ამგვარი შემთხვევა მან თავის საქვეყნოდ ცნობილ მოთხრობაში „მაუგლიშიც“ აღწერა. ამ შესანიშნავ მოთხრობას უკვე ას წელზე მეტია კითხულობენ მსოფლიოს სხვადასხვა ენაზე.

რამდენად მართალია ეს ისტორია? ადგილი აქვს თუ არა ამგვარ შემთხვევებს დღევანდელობაში? რა აზრისანი არიან ამგვარ მოვლენებზე მეცნიერები?

XX საუკუნეში ასზე მეტი შემთხვევაა აღწერილი, თუ როგორ გაზარდეს ცხოველებმა ბავშვები. თავიანთი რძით კვებავდნენ მათ მგლები, მაიმუნები, ირმები და თვით ლეოპარდებიც კი.

რამდენიმე წლის წინათ დელის გაზეთებში მოთხრობილი იყო ორი გოგონას კამალისა და ამალის ისტორია, რომლებმაც რამდენიმე წელიწადი დაჰყვეს ჯუნგლებში. გოგონებს მგლები ზრდიდნენ. ჯუნგლებში პატარებს ბერი და მისი თანმხლები წააწყდნენ. ბავშვები მგლის ბუნაგში დაიმალნენ. ბერმა მიახლოვება ვერ შეძლო, რადგან ბავშვებსა და თავის ლეკვებს ძუ მგელი გააფთრებით იცავდა. იძულებულნი გახდნენ ძუ მგელი მოეკლათ, ბავშვები ბადით დაეჭირათ და სოფელში მიეყვანათ. ბერი რამდენიმე წელი აკვირდებოდა დებს, ყოველივე ცდამ, მათთვის ადამიანური ჩვევები ესწავლებინათ, უშედეგოდ ჩაიარა. გოგონებს ეშინოდათ დღის სინათლისა, დარბოდნენ ოთხზე, ვერ ისწავლეს ლაპარაკი, ჭამდნენ მხოლოდ უმ ხორცს და არ ეკარებოდნენ ხილს და ბოსტნეულს. მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ბავშვების განვითარების დონე სამი წლის ბავშვის გონებას არ აღემატებოდა. ამალა მალე მოკვდა, იგი ვერ შეეჩვია ადამიანურ გარემოში ყოფნას, მისმა დამ 17 წელი იცოცხლა, მაგრამ ისე გამოიყურებოდა როგორც ღრმად მოხუცი.

ამგვარი ისტორია მოხდა აფრიკაშიც. სოფლიდან პავიანების ჯოგმა ორი წლის ბავშვი მოიტაცა. მშობლებმა, რომლებიც მინდორში მუშაობდნენ, თავიანთი თვალით იხილეს როგორ მიიმალნენ მაიმუნები ტყეში ბავშვთან ერთად. გავიდა ხუთი წელი და სოფლის ნაგავსაყრელზე ოთხით მორბენალი ბიჭუნა ნახეს. უბედურმა მშობლებმა მასში საკუთარი ვაჟი ამოიცნეს. ბიჭს ძალზე გაუჭირდა ადამიანურ გარემოში ყოფნა, იგი ძალზე აგრესიული იყო და თავის მშობლებსაც კი მტრულად ექცეოდა. არ ეკარებოდა საჭმელს. მშობლებმა ის გამოსავალი მოძებნეს, რომ გაველურებული ბავშვი ზოოპარკში ჩააბარეს. ველური ცხოველთა შორისაც ვერ დაწყნარდა. იგი სხვა ჯიშის მაიმუნებს კბენდა და ასისხლიანებდა, ბოლოს იძულებულნი გახდნენ „ბიჭი მაიმუნი“ მეცნიერებისთვის ჩაებარებინათ. მისი შემდგომი ბედი უცნობია.

უცნაური შემთხვევა მოხდა ჩილეში გასული საუკუნის მიწურულს. მშობლებისგან მიტოვებული ბიჭუნა მაწანწალა ძაღლებმა „იშვილეს “. იგი ძაღლებთან ერთად ცხოვრობდა ქალაქის გარეუბანში მიტოვებული ქარხნის ნანგრევებში. მათთან ერთად ეძებდა საკვებს ნაგავსაყრელებზე. პირველად ეს უცნაური არსება პოლიციელებმა შეამჩნიეს, მაგრამ მისი დაჭერა ვერ შეძლეს ძაღლების შიშით. გავიდა ერთი წელი და მაშველთა რაზმმა ბიჭუნა შეიპყრო. იგი საავადმყოფოში მიიყვანეს. ბიჭმა რა თქმა უნდა, ლაპარაკი არ იცოდა, სამაგიეროდ ძაღლივით ყეფდა და იღრინებოდა. მრავალი ცდა ექიმებისა და ფსიქოლოგებისა, ბიჭისთვის ადამიანური ჩვევები დაებრუნებინათ, უშედეგოდ დასრულდა. ერთ ღამეს ძაღლების ხროვა საავადმყოფოს ეზოში მოგროვდა. ოთხფეხებმა საშინელი ყმუილი ატეხეს. ბიჭმა ისარგებლა იმით, რომ სარკმელს გისოსები არ ჰქონდა, მეორე სართულიდან გადახტა და თავის „თანამოძმეებს“ გაჰყვა. რამდენიმე თვის შემდეგ ბიჭი კვლავ დაიჭირეს. ექიმთა პაციენტი სიცოცხლის ბოლომდე (მან ორი წელი იცოცხლა) ველური დარჩა.

1976 წელს იტალიაში ცხვრის ფარას მგლების ხროვა დაესხა თავს. მწყემსებმა მტაცებლებს სროლა აუტეხეს და განდევნეს. სამაგიეროდ დაიჭირეს მგლებთან მიკედლებული ბიჭი, რომელიც სავარაუდოდ ხუთი წლისა იქნებოდა. მგლების გაზრდილი მილანის ბავშვთა ფსიქიატრიულ კლინიკას გადასცეს. კლინიკაში მიიწვიეს გამოცდილი სპეციალისტები რომიდან. ბიჭმა სამი წელი იცოცხლა. დაადგინეს, რომ მისი ორგანიზმი ვერ შეეჩვია პურს, ბოსტნეულსა და ხილს, რომლითაც ძალით კვებავდნენ მას. ველური ბავშვი ვერ შეეგუა ტანსაცმელს, იძინებდა იატაკზე, ღამ-ღამობით მგელივით ყმუოდა, ვერ ისწავლა გამართული სიარული და ლაპარაკი.

ინგლისში გამოქვეყნდა ცნობილი ფსიქიატრის რობერტ უილიამსის სამეცნიერო ნაშრომი, სადაც აღწერილი იყო ცხოველთა მიერ გაზრდილ ბავშვებზე დაკვირვებების ოცდახუთზე მეტი შემთხვევა. ბავშვებს პოულობდნენ ბირმაში, ინდოეთში, ნეპალში და აღმოსავლეთ აზიის სხვადასხვა ქვეყნების ჯუნგლებში. ველურ ბავშვებს ზრდიდნენ დათვები, მაიმუნები, ლეოპარდები, ყველაზე ხშირად მგლები და ძაღლები. მათ მტაცებლები მიყრუებული სოფლებიდან იტაცებდნენ თავიანთი შვილების გამოსაკვებად, მაგრამ რატომღაც აღარ



ჭამდნენ და საკუთარი შვილებივით უვლიდნენ. თავდაპირველად აწოვებდნენ ძუძუს, შემდეგ უმი ხორცით კვებავდნენ. წამოზრდილები, ცხოველებისგან განსხვავებით, თავიანთ გამზრდელს არ ტოვებდნენ და მათთან ერთად რჩებოდნენ ბუნაგში. სწორედ აქ ყალიბდებოდნენ ისინი ნამდვილ ცხოველებად. პროფესორი აღნიშნავს: „არ ყოფილა ისეთი შემთხვევა, რომ ცხოველად ქცეული ადამიანი ჯოგის ან ხროვის წინამძღოლი გამხდარიყოს. უფრო მეტიც ასაკში შესულნიც კი იცავდნენ მტაცებელთა ველურ ტრადიციებს და ემორჩილებოდნენ ტყის კანონებს. მათ ლიდერობის სურვილიც არ უჩნდებოდათ“.

მეცნიერებმა აღმოაჩინეს, რომ ტყეებში გზააბნეული ბავშვები, რომლებსაც უხდებოდათ მარტოდმარტო ცხოვრება, სულ სხვაგვარად იქცეოდნენ იმათთან შედარებით, ვინც ცხოველებს მიეკედლა. ისინი აგებდნენ ქოხებს, თავს იცავდნენ მტაცებლებისგან, შეეძლოთ ცხოველთა ტყავისაგან სამოსის „შეკერვა“, თავად პოულობდნენ საკვებს. სამხრეთ ჩინეთში იპოვეს ბიჭუნა, რომელსაც ოთხი წლისას ტყეში გზა აებნა და მარტოდმარტოს მოუწია ცხოვრება ხუთი წლის განმავლობაში. იგი იკვებებოდა მცენარეთა ნაყოფითა და ფესვებით. ღამეს ათევდა გამოქვაბულში, სადაც ფიჩხი და თივა ჰქონდა მოგროვილი. ერთ დღესაც იგი სხვა სოფელს მიეკედლა. ბიჭი გლეხის ოჯახმა იშვილა. ერთი წლის შემდეგ იგი თავისუფლად ლაპარაკობდა ადგილობრივ დიალექტზე, მუშაობდა გლეხებთან ერთად ბოსტანში, ისწავლა ჩხირებით საჭმლის ჭამა. როდესაც გაიზარდა, დაოჯახდა და ვერავინ იტყოდა რომ იგი ერთ დროს ველური იყო.

როგორ ხსნიან „თანამედროვე მაუგლის“ ფენომენს მეცნიერები? ბავშვი „ჰომო საპიენსად“ — მოაზროვნე ადამიანად ყალიბდება ორი წლის ასაკიდან ოთხ წლამდე. სწორედ ამ პერიოდში იგი აქტიურად „ეუფლება“ სხვადასხვა სიახლეებს და ცოდნას, რომელიც შემდგომში გამოადგება, ეჩვევა ადამიანურ თვისებებს, სწავლობს მეტყველებას, ესმის ზღაპრები, მშობლების დარიგება. მგლის ბუნაგსა და ძაღლთა ხროვაში ბავშვის ტვინის მოქმედება „დამუხრუჭებულია“, იგი იღებს ადამიანური ინფორმაციების მიზერულ დოზას. მასში ყალიბდება იმ ცხოველების ინსტიქტი, ვისთანაც უწევს ცხოვრება. ეს უფრო მკვეთრადაა გამოხატული მაშინ, თუ იგი გარეული ცხოველების რძით იკვებება.

**დასკვნითი სახით შეგვიძლია დავძინოთ, რომ რომულუსისა და რემის ისტორია ლამაზი ლეგენდაა. ისინი მარადიულ ქალაქს ვერ ააგებდნენ, რადგან, მგლების მიერ გაზრდილნი, მთელი ცხოვრება ცხოველებად დარჩებოდნენ.**

მოამზადა
**მამუკა ვაშაკიძემ.**

### ანეკდოტი თემაზე

**დიდი გვალვის დროს ჯუნგლების მკვიდრმა ცხოველებმა ზავი შეკრეს: ყოველდღე წყლის დასალევად რიგში დგებოდნენ და არავინ არავის ერჩოდა. მაუგლი ერთადერთი იყო, ვინც ახლოს არ ეკარებოდა იქაურობას და ცხოველებს ხელების სავსავით უხსნიდა, სმას თავი დავანებეო.**

## კერძო აზრი

# სიცრუის ფიზიონომია,

## ანუ „როგორ დააქუცმაცა სტალინმა რუსეთი“

(მეხუთე გვერდიდან)

ჟურნალისტების „მიგნება“ ამით არ დასრულებულა. ეს წარწერა, ანუ ქართულ ენაზე შესრულებული ორიგინალის ორთოგრაფია-მართლწერა ნამდვილად ქართულ ენაზე რომ იყო შესრულებული, იმის მიხედვით მიმხვდარან, რომ: წარწერაზე ყველა ასო თანაბარი ზომისა იყოო, ხოლო დიდი და პატარა ასოები რომ არ გააჩნია, ისეთი ანბანი კი ქართული ანბანიაო! აფერუმ, მათ მიგნებას! ჩვენს ანბანსაც რომ წაპოტინებიან საქილიკოდ! **ეჰ, საცოდავო ლაზღანდარობავ, აკაკი მიქაძე უნდა გერქვას შენ!** არანაკლებ სასაცილო ის არის, თუ რატომ უნდა გაჭირვებოდა ასე ქართული ანბანის „ამოცნობა“ **ქართული გვარის** მქონე ჟურნალისტს?!

სხვათა შორის, ამ გაზეთში კიდევ ერთი მსუსხავი „ლოზუნგია“, რომელიც მკითხველს შეახსენებს იმ შიშის თაობაზე, რომელსაც სტალინი ხალხს უნერგავდა და რომელიც თურმე მისი სიკვდილის შემდეგაც არ განელებულა ხალხში. აქ ის „დიდი ტერორია“ ნაგულისხმევი, რაც სსრკ-ში 1930-იან წლებში მოხდა. თუმცა ამ ფაქტს „სტალინის მიერ რუსეთის დაქუცმაცებასთან“ არავითარი კავშირი არა აქვს, მაგრამ, რეპრესიების ბობოქარმა ტალღამ მართლაც გადაუარა საბჭოთა კავშირს სტალინის მოღვაწეობის პერიოდში. ოღონდ მისი გამომწვევი მიზეზი სტალინის პიროვნება (ერთი კაცის პიროვნება) სულაც არ ყოფილა. ამ საკითხს ზემოთ შევეხე, წერილის დასაწყისში. ამგვარი რამ ნებისმიერი „რევოლუციისათვის“, ძალადობის გზით დამყარებული ხელისუფლებისათვის არის დამახასიათებელი, რასაც საფრანგეთის რევოლუციის მაგალითიც ცხადყოფს. მაგრამ თუ საკითხს ძირისძირამდე ჩავყვებით, სრულიად მოულოდნელ ფაქტებს წავაწყდებით. ახლახან რუსმა ისტორიკოსებმა სუკ-ის არქივებში მიაკვლიეს დოკუმენტს, რომელშიც ნიკიტა ხრუშჩოვი, რომელმაც, როგორც ვიცით, პირველმა გააჩაღა კამპანია სტალინის წინააღმდეგ, 1937 წელს უმაღლეს ხელისუფლებას სთხოვს: 30 000 კაცის რეპრესირების ნება მომეცით, მათგან 20 000 კაცის დახვრეტის, ხოლო 10 000 კაცის გადასახლებისო. „უმაღლესი ხელისუფლებაც“ უფლებას იძლეოდა, მაგრამ, როგორც იგივე ისტორიკოსები განმარტავენ: სანქციას აძლევდნენ სოციალ-პოლიტიკურ დაკვეთას „ქვემოდან“. წინააღმდეგ შემთხვევაში, თვით სტალინიც გაიზიარებდა „რეპრესიების მსხვერპლთა“ ბედსო. აი, ასეთი იყო ისტორია, „საყოველთაო პარანოია“, რომელიც 1917 წელს მოევლინა რუსეთს. თავად ლენინის მოღვაწეობის პერიოდში, სულ რაღაც ორიოდე წლის განმავლობაში, რუსეთში მილიონ ნახევრამდე ადამიანი დაუხვრეტიათ! ასე რომ, ახალი თაობა „მიზეზის მიზეზს“ უნდა იძიებდეს, ძიება კი მას ყოველგვარი რევოლუციისა და ძალადობის უარყოფამდე მიიყვანს. მიზანი საშუალებას ვერ გაამართლებს. რევოლუციები და იარაღის ძალით ლაპარაკი უნდა გამოირიცხოს თანამედროვე მსოფლიოში.

აი, ასე გააშუქა დიდმა რუსულმა პრესამ დიდი პოლიტიკური ფიგურის „დივერსიული საქმიანობა“ რუსეთის წინაშე. „სტალინისტებს“ არ ეწყინოთ, მაგრამ განა მისი ცხოვრება არ გვაძლევს საბაბს იმისათვის, რომ მას ვუწოდოთ „უკანასკნელი დიდი მამლუქი საქართველოდან“? ის ფაქტი, რომ სტალინს (მისი გარდაცვალების თარიღთან დაკავშირებით) „რუსეთის დამქუცმაცებელს“ უწოდებენ, მისი პიროვნებისადმი ანტიპათიით ნაკლებად არის გამოწვეული, აქ მთავარი სტალინის არარუსული წარმომავლობაა (აბა, რუს კაცზე ხომ არ იტყოდნენ რუსეთს აქუცმაცებდაო!) სტალინს რომ რუსეთის „დაქუცმაცება“ ნდომოდა, ჰიტლერის დაუხმარებლადაც ამოშლიდა ამ ქვეყანას ისტორიიდან, ჰიტლერის წინადადებაზე რომ არაფერი ვთქვათ, როცა სწორედ ამგვარი წინადადებით მიმართა მან სტალინს როგორც „არარუსს“, ომის დაწყებისთანავე. როგორც იტყვიან, „რა მაგისი პასუხია“, მაგრამ ზოგიერთმა რუსმა პეტრე ბაგრატიონის საფლავი რომ ააფეთქა, რა დანაშაულის გამო? პეტრე ბაგრატიონიც აქუცმაცებდა რუსეთს? სხვათა შორის, პეტრე ბაგრატიონსაც ისეთივე წინადადებით მიმართა ნაპოლეონმა: ზურგი შეექცია რუსეთისათვის როგორც „არარუსს“. მაგრამ ბაგრატიონმაც ღირსება უღირსობაზე მაღლა დააყენა!

მკითხველმა ისე არ გამიგოს, თითქოს რუსეთთან კავშირის გაწყვეტისაკენ მოვუწოდებდე ან ამ დიდებული კულტურის ხალხთან ურთიერთობას ჩვენთვის არაფერი სასიკეთო არ მოეტანოს. არავითარ შემთხვევაში! რუსებს უყვართ გამოთქმა: „ცუდი უკარგოდ არ არსებობსო“. მით უმეტეს არ არსებობს კარგი უცუდოდ. მაგრამ ის, რაც გაზეთმა „მოსკოვსკიე ნოვოსტიმ“ ჩაიდინა, არ არის მარტო ამ ერთი გაზეთის „ცულლუტობა“. ამ გაზეთის უკან ათასობით მკითხველი და არანაკლებ — ინფორმაციის „არაპირდაპირი გზით მიმღები“ დგას. ეს არის სამწუხარო ფაქტი. სამწუხაროა ისიც, რომ რუსეთის თანამედროვე და აწინდელი მოქალაქეები შეიძლება „ყალბ ისტორიაზე“ აღიზარდონ, (შეიძლება მათ ჩვენს მიმართ სიძულვილი ჩაენერგოთ). მე არ თანავუგრძნობ ჩვენს იმ თანამემამულეებს, რომლებიც რუსულ (როგორც „ცენტრისტულ“, ისე საბჭოურ) იმპერიალიზმზე განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებენ. „რუსული იმპერიალიზმი“ მოგონილია „ბიზანტიურ იმპერიალიზმთან“ შედარებით, რაც ჩვენ საუკუნეების წინ გამოვიარეთ და რისი დამადასტურებელი ისტორიული წყაროებიც არსებობს. არაფერს ვამბობ „აღმოსავლეთის ქვეყნების იმპერიალიზმზე“. რუსეთი, ადრე თუ გვიან, თვითონ მიხვდება თავის შეცდომას. რატომ არ უნდა იცოდნენ თანამედროვე რუსებმა ის, რომ ჩვენ ლენინის მოღვაწეობის პერიოდში, და მისი გამოისობით, „დაქუცმაცებული საქართველო“ გვერგო? რუსეთი შევიძულოთ ამის გამო? სხვათა შორის, საქართველოს პრეზიდენტის სახელიც შემთხვევით არ არის ნახსენები სტალინის ძეგლთან დაკავშირებით. ზოგიერთებს აღიზიანებთ ის, რომ ჩვენ „ვერ ვეტევით“ „ნაცმენებისათვის“ განკუთვნილ კალაპოტში. ამიტომ არ იციან, რას გადასწვდნენ, ვის შესწვდნენ. ამიტომ შეთხზეს „ვირთხისტყაოსანიც“. თქვენ რა, ეს ფაქტი „ვეფხისტყაოსნის“ გაშარჟების ცდად არ აღიქვით? „პატარა ერი“ ყველაფერში „პატარა“ უნდა იყოს, — ასე ფიქრობს ზოგიერთი რიცხვმრავალი ერის წარმომადგენელი. აბა, წარმოიდგინეთ, ხრუშჩოვი რომ ყოფილიყო ქართველი და სტალინი — რუსი, რა ამბავს ატეხდნენ, ორი დიდი რუსის აშენებული ქვეყანა დაგვინგრიაო, იტყოდნენ. ან გორბაჩოვი რომ ყოფილიყო ქართველი? დღეს რომ არავის ახსოვს, რა დღეს დააწევდნენ. ასე რომ, საქმე არც ისე ცუდადაა, როცა იცი „ქარი საიდან უბერავს“.

თუ რუსეთი ოდესმე დაიშლება, ეს არ იქნება სტალინის ბრალი. და მაშინ, ალბათ, ვიღაცა იტყვის: თვით სტალინმაც ვერ ააცილა რუსეთს ის, რაც უზენაესმა დაადგინაო.

**ბაგრატ ლაკადელი,**
მწერალი.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

## დღიურებიდან

ემზარ კვიტაიშვილი

# პალატა მეცხრე სართულზე

**12.12.2002.** ჭაბუა ამირეჯიბი მამაჩემის უმცროსი, საყვარელი მეგობარი იყო და ამჟამად მე მეამაყება, რომ მასთან და მისი ოჯახის წევრებთან ახლო, მეგობრული ურთიერთობა მაქვს. ბოლო წლებში ჭაბუამ ბევრი იავადმყოფა. დასავლეთ საქართველოში მოგზაურობის, შეხვედრების მერე ფილტვების ძალზე მძიმე ანთება დაემართა და თავის იუბილესაც ვეღარ დაესწრო. ჭაბუა ამირეჯიბის ჯანმრთელობას უშუალოდ მეურვეობდნენ საქართველოს პრეზიდენტი და სახელმწიფო მინისტრი, ჯანმრთელობის მინისტრი ამირან გამყრელიძე. მათ ხშირად ნახულობდა საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარე თამაზ წივწივაძე. შეუნელებელი საერთო ყურადღების შედეგი იყო, რომ საუკეთესო იმუნოლოგმა ბატონმა თენგიზ ცერცვაძემ ავადმყოფს შვება აგრძნობინა; დღე და ღამე თავზე ადგა, გვერდიდან არ მოშორებია (ამირეჯიბების ოჯახში მას ექიმის იდეალად თვლიან), მაგრამ ყელის ოპერაცია (მერამდენედ!) მაინც აუცილებელი შეიქნა, დაყოვნება აღარ შეიძლებოდა.

გაგებული მქონდა, რომ ონკოლოგიური ცენტრის ხელმძღვანელი ბატონი რეზო გაგუა განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენდა ავადმყოფისადმი. იგი, ადრევე, ჩემი ახლობლის, პროფესორ თინა ბარამიძის ოჯახში გავიცანი და ნათქვამი ჰქონდა, ყველაფერს ვიღონებთ, რომ ბატონი ჭაბუა — მთელი საქართველოს სიამაყე — მალე გამოვაჯანსაღოთო. მართლაც, იანვრის ბოლოს, ოპერაცია ბრწყინვალედ გააკეთა ამ საქმის ჭეშმარიტმა დიდოსტატმა ქირურგმა კოტე მარდალეიშვილმა (იგი ჩვენი შესანიშნავი ჟურნალისტის, თავადაც გულიანი პიროვნების ვილენ მარდალეიშვილის ბიძაშვილი გამოდგა). ქართულ-გერმანული კლინიკის დირექტორი ლადო ხატელიშვილი (სახელგანთქმული მუსიკოსის, ლოტბარისა და მომღერლის, განსვენებული მამია ხატელიშვილის ვაჟი) ავადმყოფს მზრუნველობას არ აკლებდა. თავი უსახელებია თბილისელ კაცს, გამოცდილ ანესთეზიოლოგს საშა ლიპეროვსკისაც. ცალკეა აღსანიშნავი პროფესორების — ფრიდონ თოდუასა და ბადურ რაჭველიშვილის ამაგი, რომლებმაც ავადმყოფი საოპერაციოდ მოამზადეს. ჭაბუა ამირეჯიბის მკურნალთა შორის, ოჯახის წევრები დიდი მადლიერებით ახსენებენ სამედიცინო დარგის საუკეთესო წარმომადგენლებს — სერგო ორჯონიკიძეს, ნუნუ ლაითაძეს, ბაია ბერიძეს, კოტე ყიფიანსა და სხვებს. ყველაფერი ეს ვიცოდი ჭაბუას მეუღლის, ჩემი სიყრმის მეგობრის, საუცხოო პოეტისა და ლიტერატორის თამარ ჯავახიშვილისგან (ტელეფონით ველაპარაკე), რომელიც ყველა კეთილისმყოფლის მიმართ მადლობის სიტყვებს ვეღარ პოულობდა. რადგან კარგა ხანს მოუწევდა საავადმყოფოში დარჩენა, გადავწყვიტე, ნაოპერაციევი ჭაბუა იქვე მომენახულებინა.

წლევანდელი მარტის თვე იდგა. მზიანი დღე გათენდა, მაგრამ ცივი, წანწალა ქარი უბერავდა. წინასწარ ვიყავი შეთანხმებული ჭაბუას მძღოლთან, კაკო ადუაშვილთან. მოძრავი, პატარა ტანის კაცია, ხოვლელი, უკვე იშვიათად რომ შეხვდები, ისეთი ქართული იერისა, ზღაპრიდან გადმოსულს ჰგავს; ათასნაირ კომიკურ, შიგადაშიგ პიკანტურ თავგადასავლებს მომითხრობს ხოლმე, უმეტესად ქალებთან დაკავშირებულს. ბევრჯერ გავუხალისებივარ, ერთსა და იმავეს არასოდეს ჰყვება, საკმაოდ მრავალფეროვანი ცხოვრება აქვს გამოვლილი. ძნელად თუ დაგავიწყდება მისი წვრილად დანაოჭებული, რაღაცნაირად გაოცებული სახე. ლაპარაკისას თვალები სულ უცინის, სიკეთეს ასხივებს. იმან გამაქრიალა ლისის ტბისკენ, ონკოლოგიურ საავადმყოფოში, სადაც ჭაბუას, როგორც უკვე ვთქვი, ყელის ძალზე რთული ოპერაცია გაუკეთეს. მანამდე, დიდი წვალებით, ფილტვები ამოუსუფთავეს. არნახულად იტანჯება ამ ხნის კაცი. ადამიანურად წყლის დალევაც კი ენატრება, თუმცა ამას არავის აგრძნობინებს. მის ადგილას ვერავინ გაუძლებდა ამდენ წამებას. ახლა ჭრილობის შეხორცებას ელოდებიან ექიმები, ქსოვილი უნდა წამოვიდესო.

ავედით მეცხრე სართულზე. პალატა (№4), სადაც ავადმყოფი კედელთან იწვა, ნათელი, მოხერხებული იყო. ჭაბუას ჩაცმულს ეძინა, პლედი ჰქონდა წაფარებული, გულაღმა იწვა, პირით სუნთქავდა, თავზე ხევსურული ჩაჩი ეხურა. როგორღაც იგრძნო, რომ მივედი. გაწებილი, ლაპლაპა ქუთუთოები გახსნა და გამომხედა, გამიღიმა, ჩვეულებისამებრ, მარჯვენა ხელიც ასწია, თამრიკოს რაღაც ანიშნა და წამოიწია. ვუთხარი წოლილიყო, არ გატოკებულიყო. თავს ძალა დაატანა, ფეხები გადმოალაგა და საწოლზე ჩამოჯდა. თბილი, შინდისფერი პიჟამო ეცვა, გალიფესავით ვიწროტოტებიანი. თავი დახრილი ჰქონდა, ჯიშიანი, გრძელთითება ხელის მტევნები ხმელ მუხლებზე ეწყო. ასეთ მდგომარეობაში მყოფიც ნამდვილი რაინდი იყო.

იმ წუთას მე მისი „გიორგი ბრწყინვალის“ უდიდესი შთაგონებით დაწერილი ეპიზოდები გამახსენდა, როცა იგი, დროდადრო, სენაკში მოვლენილ ქრონს — საქართველოს ისტორიის სიმბოლურ სახეს აღწერს, იმავე სულის მემატიანეს ერისას, რომელიც ქვეყანას უკიდურესი განსაცდელის ჟამს გამოეცხადება ხოლმე (საუკუნეების წიაღში მოძრაობა, გადასვლა-გადმოსვლა მისთვის არაფერია) და ერს აფრთხილებს, წინასწარმეტყველის გასაოცარ უნარს ამჟღავნებს. მე მომეჩვენა, რომ ჩემს წინ საქართველოს უმძიმეს ბედზე და ძნელად განსაჭვრეტ მომავალზე მწარედ დაფიქრებული ქრონი იჯდა, მისივე მძლავრი კალმით დახატული ორეული.

გავიხსენოთ, როგორ ამეტყველებს მწერალი ქრონის წამიერად მხილველ უფლისწულ გიორგის, შემდგომ გიორგი ბრწყინვალედ სახელდებულს, დიმიტრი თავდადებულისა და ბექა ჯაყელის ასულის, ნათელას, ნაშიერს:

„სინათლე მოსალოდნელზე ადრე დავინახე, შორიახლოს ცეცხლის ალი ციმციმებდა. ნათელის დანახვას უფრო გვიან და სხვა მხარეს ვვარაუდობდი და სულ სხვაგან კი წავაწყდი. შორიდანვე გავარჩიე, ცეცხლს ვიღაც უჯდა. მივუახლოვდი, კუნძზე კაცი სთვლემდა. თვალი მიმტაცა: სხეულის იგურდივ შარავანდივით რამ ერტყა, როგორც წმინდანებს ადგათ ხოლმე თავს სხივთ ოქროსფერი ნიმბი...“

აი, ერთი მეტად ღრმააზროვანი ნაწყვეტიც:

„სწორედ საკვირველი ვინმე იყო ქრონი. იყო-მეთქი, ვამბობ, რადგან წარსულს ვიგონებ, თორემ ეგ კაცი ან საერთოდ არასოდეს ყოფილა, ან დასაბამითვე იყო, დღესაც არის და უკუნისამდე იქნება!.. სიტყვას მისას რა ნათქვამის არსს მძაფრი, გულისმომგვრელი და გაუგებარი უფრო ეთქმოდა, მაგრამ ფიქრის აღმძვრელი და სასაუბროდ წამქეზებელიც იყო სწორედ ამიტომ... როგორ და საიდან უნდა სცოდნოდა ჩემი ვინაობა.“

... სწორედ ამგვარი საკვირველი კაცი იჯდა მარტის იმ ქარიან დღეს ჩემ წინ, სულ ერთი ხელის გაწვდენაზე. ეს იყო ნამდვილი ჭაბუა ამირეჯიბი — მთლიანი, დაურღვეველი პიროვნება, ვისაც ერთხელ არჩეული გზიდან უკან ვერავინ დაახევინებდა. სწორედ ასეთი აღნაგობა ექნებოდა მის წარმოსახვაში აღბეჭდილ და მერე ღვთიური მადლით ჩამოქნილ მემატიანეს, ჟამთააღმწერელს. იმედიანი წამოვდექი, მალე გამოჯანსაღება ვუსურვე, გამოვემშვიდობე. ჭაბუას აქვს მრავალთათვის წარმოუდგენელი უნარი შერყეული ჯანმრთელობის აღდგენისა. პალატიდან ამ რწმენით გამოვედი.

არაერთხელ მიფიქრია — ბედნიერი კაცი ყოფილა ჭაბუა ამირეჯიბი, რომ ამდენი წლის მანძილზე მის გვერდით დგას თამარ ჯავახიშვილი, ჩვენი ღვთისნიერი თამრიკო, ვინც მუდამ იმას ცდილობს, შვება მოუტანოს ახლობელს, სიცოცხლე გაუადვილოს, სილამაზის დასანახად აუხილოს ყველას თვალი, ბოროტის არსებობა დაავიწყოს, ჩუმად იტიროს თავისი სატირალი და მერე, სახეგაცისკროვნებულმა, შვილიშვილების, ამირეჯიბთა უძველესი და საამაყო გვარის შთამომავლების ანგელოსურ ტიტინს უსმინოს, ალერსით აავსოს და სამომავლოდ დააფრთიანოს ისინი...

დერეფანში თამრიკომ გამომაცილა. მომეწონა მომღიმარი და მოფუსფუსე მოწყალების დები. ახალგაზრდები, ძალიან ყურადღებიანები ყოფილან-მეთქი, ჩავილაპარაკე. მეც ვცდილობ, რაც შემიძლია, პატივი ვცე ყველას, საღამოობით კაკოს ახალ-ახალი ნამცხვრები ამოაქვს და ამ გოგოებს ჩაით ვუმასპინძლდებიო, მიპასუხა თამრიკომ. კარგ გუნებაზე დავდექი. მიხარია, როცა ავადმყოფს ვინახულებ და საქმეს საიმედო პირი უჩანს. იმ შემაშინებელი საავადმყოფოდან სხვა დროს გუნებამოშხამული გამოვბრუნებულვარ, მაგრამ ახლა აღარ მინდოდა ასეთი რამეების გახსენება. კაკომ სახლში წამომიყვანა.

კიბეებზე ამავალს უსიამო ფიქრები მომშორდა. თვალწინ ისევ ჭაბუა, საწოლზე მორჭმით დამჯდარი ქრონი დამიდგა. მარჯვენა ხელი მეფურად ჰქონდა შემართული; აშკარად მანიშნებდა, მამხნევებდა — საქართველოს უთვალავი ჭირ-ვარამისთვის გაუძლია და როგორმე ახლანდელ ძნელბედობასაც გადაიტანსო.

**26.11.2000.** ამ ბოლო დროს წუწუნს მივეჩვიე. რანაირი ფიქრი აღარ გამივლის ისედაც აფორიაქებულ ტვინში. ყველაფერი მოსაწესრიგებელია და სიცოცხლეში, ალბათ, არც დამადგება საშველი. ვაკვირდები აბურდულ მდგომარეობას და ერთი ფანტასტიური, განუხორციელები აზრი მებადება — ათი წელი მაინც დამჭირდება ჩემი სიკვდილის მერე, საკუთარ ხელნაწერებს რომ გულმოდგინედ გადავხედო, შევასწორო, დავალაგო და შეძლებისდაგვარად (სად მექნება, მიწაში მწოლს, ამის შეძლება), კიდევაც გამოვცე. ბევრი რამე დავკარგე; რაც მაქვს, ყუთებშია ჩატენილი, მიყრილ-მოყრილი და ცალცალკე იქნება გადასაწყობი. რა თქმა უნდა, აშკარაა ნაწერთა უთანაბრობა და, ამდენად, ყველაფერი არც იქნება გამოსაცემი. მეტისმეტად სუსტ, დამყოლ ხასიათს ვაბრალებ, რომ ისეთი წერილები, რეცენზიები გამომიქვეყნებია, რაზედაც არასგზით არ უნდა მომეწერა ხელი. ამან არაერთხელ განმაცდევინა უსიამოვნება, მაგრამ ჭკუას მაინც ვერ ვსწავლობ. თუ მოვიცალე, მოკლე, არასრულ ნუსხას ჩამოვწერ ასეთი მიქარვებისას. რჩეული ლექსების, ბალადების და პოემების გამოცემას, ვფიქრობ, თავს ვეღარ მოვაბამ. შემდგომში სხვასაც გაუჭირდება ამის გაკეთება. წერილებიც, სხვადასხვა ხასიათისა, ბლომად დამიგროვდა და წიგნებად რომ მექცია, ნამდვილად არ იქნებოდა ურიგო, ისეთი რამეები ურევია. დღიურებზედაც ხშირად მეუბნებიან — შეკრიბე და გამოეცი, ყველა სიამოვნებით წაიკითხავსო. სათქმელად იოლია. მომზადებას და დალაგებას დიდი წვალება დასჭირდება. მერე სპონსორს ხომ ვერ დავუწყებ ძებნას? ეს ერთობ დამამცირებელი ქმედებაა. შეიმჩნევა ასეთი გარემოება — ერთ წყებას საკმაოდ მარიფათიანი პიროვნებებისა, ნიჭიერებით დიდად რომ არ გამოირჩევიან, ხელიდან გლეჯენ ნაწერებს, უმაღლეს დონეზე უცემენ და ფინანსურადაც მუდამ უზრუნველყოფილნი, გაზულუქებულნი არიან. პრეზენტაციებითა და შამპანურმოსხურებული „ფურშეტებით“ აიკლეს საქართველო. ღმერთმა იცოდეს — არც მათი და, საერთოდ, არავისი არაფერი მშურს, ყველა კარგად იყოს.

მე ჩემსას უნდა ვეცადო; ვწვალობ, რა გზას დავადგე. სხვა არაფერი დამრჩენია — გარკვეული დროის მერე (კაცმა რომ თქვას, სადღაა ამდენი დრო?) თავი გარდაცვლილად უნდა გამოვაცხადო, შევეშვა უსარგებლო, გამოუსადეგარი რამე-რუმეების ჩხაპნას და რაც შედარებით ვარგისი დამიწერია, იმას მოვუარო. ეს აზრი არ ჩანს ხელსაკრავი და მიმზიდველობას მოკლებული, მაგრამ განსახორციელებლად ერთობ ძნელია, შეიძლება ითქვას, შეუძლებელიც კი. ყველაფერს ბედი უნდა.

ხვალ 65 წელი შემისრულდება. „ლიტერატურულ საქართველოში“ გამოქვეყნებული ლექსების გამო ბევრმა დამირეკა, მადლობა გადამიხადეს, შემაქეს. ეს ყოველთვის მეჩოთირება, უხერხულობას ვგრძნობ, ვცდილობ, სხვა რამეზე გადავიტანო საუბარი. რამდენიმემ ისიც მითხრა, არ შერცხვებათ იმ უნამუსოებს, ასე ვერაგულად რომ მოგექცნენ, გული გატკინესო. რა უნდა მეპასუხნა, უნამუსოების ძალა სწორედ ის არის, რომ სირცხვილის გრძნობა ძირშივე აქვთ მოსხეპილი. თუმცა ჩემი გულის ტკენა და ზურგში დანის ჩაცემა რა სათქმელია, როცა ქვეყანა ასეა დაშლილი და გასაცოდავებული...

**მინაწერი:**

**დღეს რამდენიმე თითოსტროფიანი, ნაუცბათევი ლექსიც დავწერე; ვერა და ვერ მოვიშალე ეს ახირებული ჩვეულება. ვერ ვიტყვი, რომ რომელიმე რაიმეთი გამოირჩეოდეს, მაგრამ მათგან სამი მაინც მინდა აქვე მოვიტანო.**

### საყვედურის მსგავსი

*ყფალო, როგორ საჯიჯგნად დამდე,*
*რა წამომზიდავს ახე გაოქერილს,*
*როგორ გავყძლო წიაღვარს ამდენს,*
*ყელზე მომდგარი, მახრჩობს სათქმელი.*

### უდღეური ლექსები

*ხელი, მოკლული, რას აღარ ჩხაპნის,*
*გახეთქილია გული და კეფა;*
*სცრიქონი ჩემი, ბყშვცია საპნის,*
*მიეკარება ქაღალდს და... სკდება.*

### თუკი შევიძლი

*სახრავი არ მიძებნია,*
*არც სახელი დიდი;*
*ეს ხვე დამყვა — არაფრისგან*
*სილამაზეს ვქმნიდი.*

## მსოფლიო შტრიხებში

### სასიკვდილო ვირუსი ამოიცნეს

ჰონკონგელმა მეცნიერებმა გამოაცხადეს, რომ დაწინაურდნენ პნევმონიის უაღრესად საშიში ფორმის გამოკვლევაში, რომელიც რამდენიმე კვირის წინათ გაჩნდა და უკვე გამოიწვია არცთუ მცირე მსხვერპლი.

მათი დასკვნების თანახმად, ავადმყოფობას, რომელსაც მსოფლიო მასშტაბის პანიკა მოჰყვა, იწვევს პარამიქსოვირუსების ოჯახის წარმომადგენლის ვირუსი. ამავე ოჯახში შედიან წითელას, ყბაყურასა და ძაღლის ჭირის ვირუსები.

მეცნიერებმა განაცხადეს, რომ საჭიროა დამატებითი კვლევა, რათა განისაზღვროს, ცნობილია თუ არა ეს ვირუსი მეცნიერებისათვის, და არსებობს თუ არა ამ დაავადების მკურნალობის ხერხები.

როგორც მათ აღნიშნეს, გამოტანილი დასკვნები მოწმობს, რომ ავადმყოფებს ჰონკონგში, რომელიც ყველაზე მეტად დაზარალდა ახალი ავადმყოფობის წარმოშობის შედეგად, სწორი მეთოდით მკურნალობდნენ.

სულ აზიასა და ჩრდილოეთ ამერიკაში უცნობმა ვირუსმა უკვე 10 კაცი იმსხვერპლა. მთლიანად, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ აღრიცხა პნევმონიის ამ სახეობით დაავადების 219 შემთხვევა, აქედან 123 — ჰონკონგში.

თუ ვირუსი ნამდვილად განეკუთვნება პარამიქსოვირუსების ოჯახს, მაშინ მეცნიერებს არ გაუჭირდებათ, იპოვონ ამ დაავადების მკურნალობის ხერხი.

### ნებართვას სასამართლო იძლევა

ბრიტანეთის ერთ-ერთი სახელმწიფო კომპანიის მოსამსახურემ სასამართლოს მეშვეობით მოიპოვა უფლება, უჰალსტუხოდ იაროს სამუშაოზე.



სტოკპორტის დასაქმების ცენტრის ხელმძღვანელის თანაშემწემ მეტიუ ტომპსონმა გასული წლის ივნისში უარი თქვა, მკაცრი ტანსაცმლით ეარა სამუშაოზე, ვინაიდან მის კოლეგა ქალებს არავინ უშლიდა ოფისში მაისურით მისვლას. ტომპსონის აზრით, ეს უსამართლობა მოწმობდა მამაკაცთა სქესობრივ დისკრიმინაციას ხელმძღვანელობის მხრივ.

მოსმენაზე გამოცხადდა, რომ ხელმძღვანელობამ ტანსაცმლის მოთხოვნების დანერგვამდე არ გამართა სათანადო კონსულტაციები და გამოკვლევა.

მანჩესტერის სასამართლო დადგენილებაში აღნიშნულია, რომ 32 წლის მეტიუ იძულებული იყო, ეტარებინა ჰალსტუხი მხოლოდ იმიტომ, რომ იგი მამაკაცია.

„მოდით, წარმოვიდგინოთ: ქალებისათვის ერთადერთი ნებადართული ტანსაცმელი რომ ყოფილიყო, ვთქვათ, ბოლოკაბა, და ისინი დაეჯარიმებინათ სხვა ტანსაცმლის ტარებისათვის, ჩაითვლებოდა თუ არა ეს სქესობრივი ნიშნის მიხედვით დისკრიმინაციად? ჩვენ მიგვაჩნია, რომ ჩაითვლებოდა“, — ნათქვამია სასამართლოს გადაწყვეტილებაში.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

თემის გაგრძელება

# ჩემი უფროსი მეგობარი

**ჩინებული საქმე წამოიწყო გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციამ, როდესაც კონსტანტინე ლორთქიფანიძის ხსოვნას გაზეთის მთელი გვერდი მიუძღვნა. ღირსეული შემოქმედი და მოღვაწე დიდოსტატი კონსტანტინე მეორე, როგორც პიროვნება და მით უფრო ბრწყინვალე პროზაიკოსი, ნამდვილად არ არის დავიწყების ღირსი და მეც მინდა გაზეთში გამოქვეყნებულ ჯანსუღ ჩარკვიანის, გურამ გოგიაშვილის, ფრიდონ ხალვაშის და სხვათა შესანიშნავ მოგონებებს ჩემი ორიოდე სიტყვა დავუმატო.**

კონსტანტინე ლორთქიფანიძის შემოქმედებას მე ჯერ კიდევ საშუალო სკოლაში სწავლისას ვეზიარე, მაგრამ პირადად 1964 წლის შემოდგომაზე გავიცანი, როდესაც მისმა შვილმა გიორგი ლორთქიფანიძემ თავის დაბადების დღეზე დამპატიჟა. ის დღე იყო და შემდგომი 20 წლის განმავლობაში ლორთქიფანიძეების ოჯახში არ ყოფილა რაიმე ღირსშესანიშნავი წვეულება, რომელზედაც მე არ ვყოფილიყავი მიწვეული, როგორც სასურველი სტუმარი და უახლოესი მეგობარი, დიახ, მეგობარი, რადგან მიუხედავად 30-წლიანი ასაკობრივი სხვაობისა, მე და ბატონი კონსტინტინე ნამდვილი მეგობრები ვიყავით. საერთოდ მას უყვარდა ახალგაზრდებთან ურთიერთობა, როგორც სამსახურში, ასევე ოჯახში, მუდამ შემოკრებილი ჰყავდა ნიჭიერი მხატვრები, მუსიკოსები, მსახიობები და მწერლები. სწორედ მის სახლში გავიცანი და დავუახლოვდი ისეთ გამოჩენილ შემოქმედებს, როგორიც იყვნენ და არიან ჯანსუღ ჩარკვიანი, გურამ ფანჯიკიძე, ოთარ ჭილაძე, ზურაბ წერეთელი, მონტე კალანდაძე, ოთარ ჯიშკარიანი, თენგიზ ჩანტლაძე, ანზორ აღლაძე, ფირან კვალიაშვილი და მრავალი სხვა (ზოგიერთ მათგანთან იმ დროს დაწყებულ მეგობრობას დღესაც ვაგრძელებ).

ბატონი კონსტინტინე უბადლო თამადა და მჭევრმეტყველი მოსაუბრე იყო. სადღეგრძელოებს შორის ბევრ საინტერესო ამბებს გვიყვებოდა, თუმცა მუსიკალური სმენით ვერ დაიკვეხნიდა, მაგრამ ძალიან უყვარდა კარგი სიმღერების მოსმენა და მისი ოჯახის ჭერქვეშ ხშირად ისმოდა ანზორ აღლაძის და თენგიზ ჩანტლაძის დუეტი, თუ გურამ ფანჯიკიძის ან ფირან კვალიაშვილის მიერ გიტარაზე დამღერებული ტკბილი ქართული სიმღერები, ხოლო ლხინის დამგვირგვინებელი აკორდი იყო, როდესაც ბატონი კონსტანტინეს ულამაზესი მეუღლე, ქალბატონი მერი ნიჟარაძე, როიალს მიუჯდებოდა და თავისი ხავერდოვანი სოპრანოთი ბოშურ რომანსებს ააჟღერებდა.

კიდევ ერთი შტრიხი მინდა გავიხსენო ბატონ კონსტანტინეს არაორდინარული ხასიათიდან. მას ძალიან უყვარდა მანქანა და 1955 წლიდან სულ ჰყავდა საკუთარი ავტომანქანები, რომლებითაც თვითონ დადიოდა და შესანიშნავად მართავდა კიდეც. რა გინდ ნასვამი არ უნდა ყოფილიყო, მანქანის საჭესთან არავის არ დასვამდა, საკუთარ შვილსაც კი. მე ერთხელ ვკითხე ბატონ კონსტანტინეს, თუ რატომ არ ანდობდა მანქანას შვილს, რომელიც იმ დროს პარტიის საოლქო კომიტეტის მეორე მდივნად მუშაობდა და საკმაოდ ავტორიტეტული პიროვნება იყო საქართველოში. „ჩემო გურამ! ამას ორი ახსნა აქვს. ჯერ ერთი, ჩემს გიორგის ბოლო 15 წელია სულ ემსახურება სახელმწიფო მანქანა და მეორე, ხომ გახსოვს ძველი ქართული ანდახა – „ვაჟკაცი ცოლსა და ცხენს არ გაათხოვებს“, მე ეს ანდაზა თანამედროვე ყაიდაზე გადავასხვაფერე: „ვაჟკაცი ცოლს და მანქანას არ გაათხოვებს“ და არც შვილისთვის დავუშვებ გამონაკლისს“, – ნახევრად ხუმრობით მიპასუხა მან.

კიდევ ძალიან ბევრის გახსენება შეიძლება ბატონი კონსტანტინეს ხასიათის თავისებურებებზე. უპირველესად ის, რომ მკაცრი იყო, ოჯახშიც, სამსახურშიც, მეგობრებშიც, მკაცრი, მაგრამ სამართლიანი. თვითონ ბევრს გასცემდა და ასევე ბევრს მოითხოვდა სხვებისგანაც. იცოდა მხარში ამოდგომა და თუ ვინმეს დახმარებას დააპირებდა, არ მოეშვებოდა, სანამ საქმეს ბოლომდე არ მიიყვანდა, მაგრამ ეს უკვე სხვა სასაუბრო თემაა. აქვე მინდა გაკვირვება გამოვთქვა იმის გამო, რომ თბილისში დღემდე არ არის კონსტანტინე ლორთქიფანიძის სახელობის ქუჩა, ქუჩა იმ პიროვნებისა, რომელიც თვით კონსტანტინე გამსახურდიამ დიდ მწერლად აღიარა და მისი ნოველები მსოფლიოს საუკეთესო ნოველების რიგში ჩააყენა. ასევე გაუგებარია, თუ რატომ არ არის მემორიალური დაფა იმ სახლზე, სადაც 20 წელზე მეტ ხანს ცხოვრობდა კონსტანტინე ლორთქიფანიძე და სადაც ხშირად სტუმრობდნენ ლიტერატურის და ხელოვნების ისეთი კორიფეები, როგორიც იყვნენ გალაკტიონ ტაბიძე, გიორგი ლეონიძე, ირაკლი აბაშიძე, კონსტანტინე გამსახურდია, ბორის პასტერნაკი, გრიგოლ აბაშიძე, ნიკოლოზ ტიხონოვი, მიკოლა ბაჟანი, ალექსანდრე ფადეევი, სერგო ზაქარიაძე, ნატო ვაჩნაძე, ლეო ქიაჩელი, ვერიკო ანჯაფარიძე, გიორგი შავგულიძე, ზურაბ წერეთელი, სიკო დოლიძე და სხვა მრავალი.

**გურამ სანაძე,**
გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი.

პოეზია უპირველეს ყოვლისა

## ნოდარ ხუნდაძე

### ადამიანი

ვითარცა წესი, ყველა საქმეს ყნდა ქვითკირი,
თორემ იქნება თავში ცემა მერმე ვგიანი,
ჯიბეს დაგიცლის ყნამყსოდ ძველი ჯიბგირი,
არადა, მასაც მაინც ჰქვია ადამიანი.

თავს მოიწონებს წარმოშობით ბრმად არიელი,
ალარც კი ახსოვს, თუ ვინ იყო მისი გადია,
ჯიბე სავსე აქვს, თავი, ვაგლახ, აქვს ცარიელი,
ცრუ შარავანდით შეიმოსოს, – მხოლოდ ხწადია.

ის არად აგდებს, ჰყავს მოკეთე თუ მომდურავი,
მცირე გალია თან მანძილი, – ხული ყცევანი,
არ ხურებია ჯერ ნამუსის თავსაბურავი,
ყხეირობას თვისას ვერ გრძნობს ბრმა და ცვედანი.

ფიქრობს, ვერასდროს ვერ შეაკრთობს ვანგაში ზარი,
მისთვის ყბრალით წყალი არის ეს დედა-მტკვარი.

11.01.02.

### რექვიემი

მე გამიელვა ცხოვრებამ ეშვი,
ადრე აყივლდა ჩემი მამალი, –
ველარ ავივსე დოვლათით პეშვი,
ვერ დავიმშვიდე სული წამალით.

მე მტრებს ვებრძოდი სიცოცხლე მთელი,
არ ვახარებდი მათ ჩემს ბარაზე.
ცივი გონებით და გულით ცხელით
ვიცხოვრე ცოდვილ ამ ქვეყანაზე...

დავცალე თასი აღსავსე შხამით,
არ დამიზოგავს სულის ძალები,
ვიბრძოდი დღისით, ვიბრძოდი ღამით...
თავი მიჭირავს თუმც მოკრძალებით.

მე არ მეღირსა თასის შარბათი,
მუდამ მარცვილის მერცხა სარცხელი,
ჩემთვის არ იყო კვირა, შაბათი,
ადრე მინავლდა ჩემი სანთელი.

06.01.02

### ნოდარ მიქაძეს

მე შენი ძმობა მესახელება,
ვინაიდან ხარ კაცი ნათელი,
შენთვის უცხოა ბრმა გახელება,
აფექტები და ცრუ ჟრუანტელი.

ყივის შენს ძარღვში კოლხური სისხლი,
გავარვარებული რკინასებრ ცხელი,
გიყვარს სოფელი და ქოხი ისლის
და „ოდოია“ ცეცხლივით მწველი.

შენც არ გწყალობდა ბედი მდევარი,
არ გინათებდა ცა მოციმციმე,
გულში გაჩრილი გაქვს საცრევარი, –
ხვედრი გარგუნა უფალმა მძიმე.

შენც კარგად იცი, რომ ეს სოფელი
ამაოების არის ბაზარი,
დროებითი გვაქვს აქ სამყოფელი, –
ყველას მიგველის ჩვენი ცაძარი.

06.01.02

### არ გამიმეტეთ

მარცთ არა ვარ, არც ყველასგან მივიწყებული,
მე არ მივენდე ფანცასტიკურ და ცრუ იმედებს,
თქვენ გამიმართლეთ, ძვირფასებო, არ მწყდება გული,
მემსახურეთ და გასაწირად არ გამიმეტეთ.
იცით, მე თქვენი მოყვარული, ერთგული გახლდით,
დამიზნებული მოვიხვედრე თქვენთვის ტყვიები,
თქვენ გავიშალეთ ჩემი სულის და გულის ცახცი,
ამ ცოდვილ ქვეყნად მოვამრავლე ვარდი, იები.

მე ვიყავ დიდი კალაცოზი, სახლის მხურავი,
მე გალიები ავაშენე ვაგრაში ვედებს,
ნაკლი არ მქონდა, დამაყვედრის ამას ვერავინ, –
აბა, სცადონ და ჩემებურად თესონ სიკეთე.

მე იმ ქვეყანას ანგელოზნი ახლა მელიან, –
საცა არასდროს არ კვდება, გული ცხელია.

11.01:02.

### გავიხარე

მყავდა ბევრი, დღესაც მყავს მოშარე, მოკამათე,
მათი მწარე სიცყვები გულს აჩნია წყლულებად, –
მხიამოვნებს, ძმათაგან ვილებ გულთბილ ბარათებს, –
არა, მე დღეს ისინი მტრებად არ მევგულება.

ბედნიერი კაცი ვარ, – მაქვს სახრეკი ნაცარი,
ჩემთვის, ასე მგონია, ბნელი ღამეც ანათებს,
მიკიდია კედელზე, – არ მჭირდება აბჯარი,
ძმები კვლავ მიგზავნიან დღეს მოკითხვის ბარათებს.

მტერი მეც მყავს, ბატონო, ალმაცერად მზირალი,
არ აკლია სუსხი და არ აკლია სიცხარე,
დამიჯერე, არა მძულს, ვითხრა გასაკვირალი:
მოწმე ვიყავ, ხარობდა, მეც მასთან გავიხარე.

"6.01.02.

### ზღაპარი

ჟინმოუკლავი თითქოს იყავ მუდამ მაყარი,
არ გიხმარია რითმა ყალბი და უსახური,
გძულდა გოდება და ყაზრო გძულდა ხარხარი,
ვითარცა მონა, პოეზიის იყავ მსახური.

ნაწრთობი თითქოს საგანგებოდ ყველა სცრიქონი,
სული შემართული ვაჟკაცობა და არსად – ცრემლი,
ჟღერდა შენი ხმა, ვით საყვირი იერიქონის,
გული გიძგერდა ყცვეთავი, ვითარცა გრდემლი.

გქონდა კაცობა, ქეიფები ძმებთან გიყვარდა,
სიცყვა – ბაჯაღლო, რომ გინერგავს გულში იმედებს,
იდექ კლდესავით, ირიდებდი დღემუდამ ფარდას,
არ დათოფავდი შოშიებს და ყირმიზა ვედებს.

შენ აგარიდა თვით უფალმა ბედი საპყარის,
დარჩი ამქვეყნად, სამახსოვრო როგორც ზღაპარი.

11.01.02

### მეგობრებს

თვითონ უფალი გაამწესებს, ვინ არის პირველი,
მე გევედრებით, ნუ დაუწყებთ ერთურთს ცილობას,
ჩემი ოცნება უსუნარი სიცოცხლე მთელი:
მსურს, ჩემს ქვეყანას დაუამოთ მწარე ჭრილობა.

ვით ყველა თქვენგანს, საქართველო მეც ისე მიყვარს,
კეთილშობილი მეც ბევრი მაქვს, წმიდა სურვილი,
ღმერთს ვევედრები, არ მაღირსოს მისგან გარიყვა, –
ვცდილობ, მოვუკლა ჩემს სამშობლოს მწარე წყურვილი.

მტრებთან მებრძოლებს რომ გიხილავთ მხნეთ, ჯანღონიანს,
იქ მე თქვენს გვერდით უცილობლად, ძმებო, ვიქნები,
მე სხვა მიზნები არასოდეს არა მქონია, –
მსურს ავაცდინო წამლეკავი მამულს ზვირთები.

მსურს, ვიყო მისი მსახური და პირისფარეში,
ვიჟღურ სრბოლაში ჩემმა ჰუნემ გაცვითოს ნალი,
მაშორის ღმერთმა არსებობა მე მის გარეშე
და ვალმოხდილმა მის წინაშე დავხუჭო თვალი.

07.01.02

### ყეფს ღამე

ყეფს ბნელი ღამე – დაბმული ძაღლი,
უკმაყოფილო თავისი ხვედრით,
მას დაუბნიეს თითქოსდა სახლი
და აწყევლინა მტერმა თავ-ბედი.

მეც ვიღრინები, ვითარცა ძაღლი,
უკმაყოფილო საკუთარ ხვედრით,
ვისაც დამიწვეს ბუდე და სახლი
და მაწყევლინეს ვისაც თავ-ბედი.

10.01.02

გვწერენ

# ალბათ, დაადგება ტაძრისკენ მიმავალ გზას

**ძვირფასო რედაქცია, ახლახან ჟურნალ „სარკეში“ გამოქვეყნდა ჟურნალისტ ავთო ჩიტიძის ინტერვიუ ქალბატონ მაია რჩეულიშვილთან. ვინაიდან „სარკის“ რედაქციამ რატომღაც უარი თქვა საპასუხო წერილის დაბეჭდვაზე, თავს უფლებას ვაძლევთ, თქვენ შეგაწუხოთ.**

დღეს ასე მომრავლებულ პრესის ფურცლებიდან ისე მივეჩვიეთ სენსაციურ სათაურებსა თუ სტატიებს, თითქოს გაკვირვების უნარიც დავკარგეთ, მაგრამ გამოგიტყდებით და გეტყვით, ამ ინტერვიუმ მართლაც გაგვაოცა; გაგვაოცა მისმა გულწრფელობამ, რაც დღეს იშვიათობაა და არ გაგვაბრაზა ფაქტმა – ამ მძიმე წუთისოფელში ცხოვრების ასე იდილიური მოწყობისამ, რადგანაც მას დაუმარცხებია ცნება – „ადამიანი აღუვსებელი საწყაულია“ მატერიალური თვალსაზრისით და დადგომია ახალი ეტაპი სულიერი ყოფისა, რომელსაც იგი ღვთის წყალობად მიიჩნევს, საკუთარ მომავალს კი ჩვენი ქვეყნისა და ხალხის კეთილდღეობაზე ზრუნვას უკავშირებს.

ამ წერილს თბილისის ფოლკლორის სასახლიდან გწერთ, რომელიც მისივე სიტყვით რომ ვთქვათ, პლეხანოვზე, არტოს ბაღში მდებარეობს. ეს ის სახლია, სადაც შვიდასამდე მოსწავლე ეზიარება იმ ღვთიურ სასწაულს, რომელსაც ფოლკლორი ჰქვია. ეს ის კულტურის კერაა, სადაც მოღვაწეობენ სიმღერისა და ცეკვის მეტრები, ბატონები ანზორ ერქომაიშვილი, ფრიდონ სულაბერიძე, სადაც არსებობას აგრძელებს ომარ კელაპტრიშვილის მიერ დაარსებული ხალხურ საკრავთა ორკესტრი, ანსამბლი „მართვე“ კი არა მარტო ჩვენი, არამედ ერის სიამაყეა.

ქართულ სიმღერას და ცეკვას მსოფლიოს მერვე საოცრება უწოდეს. თუ ქალბატონი მაია მობრძანდება ჩვენთან და ნახავს, რა მდგომარეობაშია ჩვენი სახლი, დარწმუნებული ვართ, მისი თვალით დანახული ეს „სასახლე“, მსოფლიოს მეცხრე საოცრება იქნება, რადგანაც ნახავს უკიდურეს გაჭირვებას – სიცივეს, დანგრეულ შენობებს, გაუსაძლის ყოფას და, მიუხედავად ამ ყველაფრისა, გააოცებს მოზარდების უდიდესი სიყვარული და ლტოლვა ქართული ფოლკლორისადმი.

გვახსენდება აღმოსავლური თქმულება – ვინმე ღარიბმა, რომელმაც ვერ შეძლო პირამიდის აგება, გადაწყვიტა მიწა ამოეჭრა პირამიდის სიმაღლის და ამით უკვდავეყო სახელი თვისი. გაჭრილი მიწიდან წყარო ამოვიდა და, მართლაც, ყველა გამვლელი მგზავრი მის სახელს ლოცავდა.

სახელის უკვდავსაყოფად ჰეროსტატემ არტემიდას ტაძარი დაწვა. ქალბატონ მაიას ღმერთმა არიდოს საძრახისი რამ.

ვფიქრობთ, ისევ ღვთის წყალობაა ქალბატონ მაიაზე გადმოსული, რადგან ეძლევა შანსი, მეცენატობა გაუწიოს ქართულ ხალხურ სიმღერასა და ცეკვას, ზოგადად კი ქართულ ფოლკლორს და თუ ყურად იღებს ჩვენს თხოვნას, მობრძანდება, მხარში დაგვიდგება და დაგვეხმარება, გარწმუნებთ, აუცილებლად შეამჩნევენ მის გარჯას და ეტყვიან კიდეც – „აუ, მაია, ეს რა ძვირფასი საქმე ჩაგიდენია!“ – რითაც, მართლაც დაადგება ტაძრისკენ მიმავალ გზას!

პატივისცემით,
ქართული ფოლკლორის მოსწავლეთა სასახლის პედაგოგიური კოლექტივის სახელით დირექტორი
**თამაზ ანდღულაძე.**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

## პიკანტური ისტორიები

# ლუი - აშიკი

**რომ იცოდეთ, რა ძალა და ენერგია იმალებოდა ამ კაფანდარა კაცის სხეულში! დიდი მსახიობი ლუი დე ფიუნესი სიყვარულის გენია იყო. მაგრამ მისი სიყვარული არავის არ სჭირდებოდა! იგი ხომ ყველას ასეთი პატარა და სასაცილო ეჩვენებოდა. თურმე, სულ ტყუილად, წერს ᲓᲘᲛᲘᲢᲠᲘ ᲛᲘᲜᲮᲔᲜᲙᲝ ჟურნალ „ᲝᲒᲝᲜᲘᲝᲙᲘᲡ" №10-ში და განაგრძობს:**

1940 წლის გაზაფხულზე საფრანგეთის მთელი სამხრეთი დიდი ტრაგედიის დამდეგს დაუოკებელ მხიარულებას მოეცვა, ვიშის მთავრობა, რომელიც მთელ იმედს დაზავებაზე ამყარებდა, თავს იტყუებდა, რომ დამოუკიდებელი იყო ნაცისტური გერმანიისაგან. მანდილოსნები კრინოლინიანი „ხაბარდა" კაბებით ცეკვავდნენ. მთელი საქალებოს ერთადერთი საფიქრალი ვენური მოდა იყო, და ერთი მეჯლისი მეორეს ცვლიდა. ყველანი დაეძებდნენ ტკბობასა და დროსტარებას, ისეთს, საფრანგეთის იმპერიის აშვების დროს რომ იყო.

გრაფმა შარლ დე მოპასანმა, განთქმული მწერლის ძმისწულმა, პარიზის მოდის ქურუმმა, გადაწყვიტა, მეჯლისი გაემართა თავის ცნობილ შატო კლერმონში, რომელიც ლუი XIII-ის სტილით იყო ნაგები. ძნელბედობის მიუხედავად, გრაფის ციხე-დარბაზი ხარაჩოებში იდგა, ზოგიერთ სართულზე სარემონტო სამუშაოები მიმდინარეობდა. მაგრამ გრაფმა ყველაფერი ფეხებზე დაიკიდა და გადაწყვიტა, სამხიარულო დღესასწაული მოეწყო.

სწორედ ამ დროს სახელოვანი სამწერლო ოჯახის ჰორიზონტზე გამოჩნდა ლუი დე ფიუნესი, მოკრძალებული ტაპერი და დეკლამატორი — არისტოკრატი და არტისტი.

ესპანელი აზნაურის კარლოს ლუის დე ფიუნეს დე გალარეცის ვაჟი საკმაოდ ცნობილი შანსონიე იყო ოკუპირებულ პარიზში. მუსიკის სიყვარული მის არსებაში ბედნიერად ეხამებოდა მშვენიერი სქესის სიყვარულს. ლუი — სამიჯნურო ორთაბრძოლების ახალგაზრდა ვეტერანი, ძლივს რომ მოდიოდა გონს როტშილდის შორეულ ნათესავთან ხანმოკლე ქორწინების შემდეგ, თავს სიყვარულის ინვალიდად თვლიდა, მაგრამ კვლავინდებურად ოცნებობდა გმირი აშიკის კარიერაზე. პარიზელი იმპრესარიოები მას იცნობდნენ როგორც იგავ-არაკების სანაქებო დეკლამატორს, რომელსაც მოჯადოებული ჰყავდა ბევრი მსმენელი, მათ შორის, ლაურა დე მოპასანი, კლერმონის ციხე-დარბაზის დიასახლისი. ლუი და მისი მეგობარი, კომპოზიტორი ქიულ დე გრასი მოპასანების ოჯახში წვეულებაზე დაპატიჟეს. ეს დიდი პატივი იყო!

საქმე ის გახლავთ, რომ ლუის — დიდი ხანია და უიმედოდ — უყვარდა განთქმული მწერლის შვილიშვილი, ჟოანა მოპასანი, რომელიც პარიზში გაიცნო ომამდე ცოტა ადრე. მაგრამ აზნაურის გვარის გარდა, სხვა არაფერი ებადა და სასიმამროს მხრივ მოწონების დიდი იმედი ვერ ექნებოდა. ამბობენ, სიყვარულში დაბრკოლება მხოლოდ აღვივებსო ვნებას...

...საღამოს წარმოდგენამ დიდებულად ჩაიარა. მსახიობები გვიანობამდე დარჩნენ, და ციხე-დარბაზის დიასახლისს გაგონებაც არ სურდა, რომ შუაღამისას გაეშვა სტუმრები. ახალგაზრდებს შესთავაზეს საძინებელი ოთახი იმავე სართულზე, სადაც მასპინძლები და მათი ქალიშვილი იყვნენ და სადაც რემონტი მიმდინარეობდა. გრძელ საერთო დერეფანში, რომელშიც გამოდიოდა ყველა ოთახის კარი, ლამის ყოველ ფეხის ნაბიჯზე სამუშაო იარაღები ეყარა, მაგრამ, რა მოსატანი იყო საერთო მხიარულების ფონზე.

ჟოანას ეძინა დერეფნის ბოლოში, ხელმარჯვენივ სულ ბოლო ოთახში. მისი მშობლების საძინებელი ოთახი შუაში იყო. ლუი და მისი მეგობარი დააბინავეს დარბაზის მფლობელთა ოთახიდან კარგამოტოვებით, აპარტამენტში, სადაც წითელი ბალდახინის ქვეშ ერთი ორადგილიანი საწოლი იდგა. „სამაგიეროდ, ამ ბარაქიან საწოლში ორს ერთად აღარ შეგეშინდებათო", — უტიფრად უთხრა ხეპრე ლაქიამ.

ნაშუაღამევს მასპინძლებმა გამოაცხადეს „ღამის დესერტი" გასართობი ღონისძიებებით. ბურჟუაზიულ-ფარისევლური კლერმონის ციხე-დარბაზი ორიოდ საათით სოდომის პატარა ფილიალად გადაიქცა. დესერტი რომ ჩამოარიგეს, დიასახლისმა თავის ტკივილი მოიმიზეზა და გრაფთან ერთად დაემშვიდობა სტუმრებს. გრაფის ბიძაშვილმა კი წვეულების მონაწილეებს შესთავაზა, დაეჭაშნიკებინათ ცივილიზაციის უკანასკნელი სიახლე — ელექტრული საუნა.



არადა, ლუის ერთი სული ჰქონდა, როდის დაიმარტოხელებდა ციხე-დარბაზში სატრფოს... ჟოანა კი დასაძინებლად წაიყვანეს. სად არის სამართალი? გულპიწკიანმა პიანისტმა განაცხადა: მე სავარძელში დავიძინებო. ლუი ლოგინზე წამოგორდა, მაგრამ არც ერთს და არც მეორეს ძილი არ ეკარებოდა. ლუის არ ასვენებდა გოგონაზე ფიქრი, პიანისტს — წვეტიანი ზამბარები, წარამარა რომ ერჭობოდა. ბოლოს და ბოლოს, ქიული წამოხტა და გამოაცხადა, უმჯობესია, დილამდე ვილოთო, ვიდრე ამ ზამბარებს ვეწამოო, და ბარში ჩავიდა.

დე ფიუნესი მარტო დარჩა. მაშინვე შეუჯდა მწვავე სურვილი, ჟოანას სტუმრებოდა... მას ხომ სადღაც აქ, ამავე სართულზე ეძინა. ფეხაკრეფით გამოვიდა ოთახიდან, ქურდულად ჩაუარა მოპასანების საძინებელ ოთახს, მაგრამ რაღაც ეშმაკად წამოჰკრა ფეხი ვედროებიან ურიკას, რომელიც მუშებს შუა დერეფანში დაეტოვებინათ. ლუის ეგონა, ამ სიჩუმეში ვედროების ბრახუნს ყველა გაიგონებსო და გაისუსა... მაგრამ საძინებელი ოთახიდან არავინ გამოსულა. ასე, სულგანაბული მივიდა სატრფოს კარამდე, და გაუბედავად მიუკაკუნა. ჟოანამ მაშინვე გაუღო, თითქოს კართან ელოდებოდაო. ლუის რამდენიმე წამი დასჭირდა, დაბნეული და დამორცხვებული სატრფო უხერხული მდგომარეობიდან რომ გამოეყვანა, ამის შემდეგ კი მთელი ინიციატივა საკუთარ ხელში აიღო. წუთიერი დაბნეულობის შემდეგ ახალგაზრდები თავდავიწყების მორევში გადაეშვნენ... მათთვის არავის ეცალა: ქიული ღვინოს ეძალებოდა, მიჯნურის მშობლები კი არხეინად ხვრინავდნენ, ჟოანას საწოლს ცალი ფეხი მოკლე ჰქონდა, და დროდადრო სწორედ ეს ფეხი ხვდებოდა ელექტროსადენს, რომელიც ზედ იატაკზე მიიკლაკნებოდა — რემონტი ხომ ჯერ არ იყო დამთავრებული.

ამ დროს კი მასპინძლის ბიძაშვილი სტუმრებს მიწისქვეშა საუნას უჩვენებდა. ვიღაცამ გამოთქვა სურვილი, მოდი, ბარემ ვიბანაოთო. მოპასანუმცროსი სტუმრებს შეუჩნდა, გავეჯიბროთ, ვინ მეტ სიცხეს გაუძლებსო. რეგულატორი ბოლომდე გადასწიეს და მრიცხველიც შეშლილი დატრიალდა. სტუმრები ისე წრიალებდნენ თავიანთ გახურებულ მერხებზე — როგორც ცოდვილები ჯოჯოხეთში.

ამ დროს, სწორედ, მათ თავზე, ლუი და ჟუანა, საუნის მოყვარულთაგან განსხვავებით, ნამდვილ სამოთხეში იყვნენ. ტემპერატურა სულ უფრო მატულობდა, და აი, ბოლოს, როდესაც ძაბვამ მეტისმეტად აიწია, ქსელმა ვერ გაუძლო, მცველები „გადაიწვა" და ციხე-დარბაზში წყვდიადმა დაისადგურა.

— ალბათ, ჩვენმა საწოლმა გადახეხა სადენი, — ჩაიჩურჩულა ლუიმ... მოპასანის შვილიშვილმა შეშინებულმა დაუკრა თავი.

სარდაფიდან ყვირილი მოისმა. სტუმრები ხელის ცეცებით გამოდიოდნენ საუნიდან. ჯერ ერთი დაეცა, მერე მეორემ გაადინა ტყაპანი...

გვარიანად გამობრუჟულმა ქიულიმ, როდესაც სინათლე ჩაქრა, იფიქრა, სისხლძარღვები გამისკდაო. წინ გაიშვირა ხელები და ცეცებით იწყო ბარიდან გამოსვლა. აიარა პირველი სართული, მეორე... „ჯანდაბა", აღმოხდა, როდესაც ვიღაცის უკანალს დაეჯახა... კიდევ კარგი, ქალისა ყოფილა... მაგრამ, სამწუხაროა, რომ მარმარილოსია. შუბლზე ვეებერთელა კოპი დააჯდა; რის ვაივაგლახით მიაღწია თავის სართულს და სიბნელეში დაიწყო საჭირო კარის ძებნა. არადა, ამ წყვდიადში რას იპოვი? ყველა კარი ერთნაირია, ექვსივე...



ამ სიბნელეში ქიული მასპინძლების საძილე ოთახში კართან დატოვებულ ურიკას წამოედო, ზედ დაეცა და ინერციით კიდევ რამდენიმე მეტრი გაიარა. მერე წამოდგა, ტანსაცმელი ჩამოიბერტყა, ხელის ცეცებით იპოვა კარის სახელური, შეაღო და შიგ შევიდა. ასანთს გაჰკრა, ეს მათი ოთახი იყო, მართალია, ლუი შიგ არ აღმოჩნდა... ამ დროს იგი სამოთხის მეშვიდე ცაზე იმყოფებოდა. ქიულის უნებლიედ მოერია შური. აკი, მეგობარი დაპირდა, ყმაწვილ მოსამსახურე ქალს გამოგიგზავნიო. ეტყობა, დაავიწყდა. ერთხანს იხვნეშა, მერე კი საწოლთან მივიდა, გაიხადა და დაწვა. მაშინვე დაეძინა.

მაგრამ იმ ღამეს ბევრს არ ეძინა. ვედროებიან ურიკის ბრახა-ბრუხმა გააღვიძა ქალბატონი მოპასანი. შეშფოთებულმა წამოიწია, ყური მიუგდო — დერეფანში ვიღაც ფეხაკრეფით მიდიოდა... ქალბატონს მთელი სიცოცხლე პანიკურად ეშინოდა ქურდებისა. შეეცადა, ღამის ნათურა აენთო, — ლამფა არ ინთებოდა. მერე მოსამსახურის გამოსაძახებელ ღილაკს დააჭირა. უშედეგოდ. შეშფოთებული ქალი ხელის ცეცებით გავიდა დერეფანში. იქაც ისეთი სიბნელე იყო, თვალთან თითს ვერ მიიტანდი. ფრთხილად ჩავიდა კიბის საფეხურებით ჰოლში და შვებით ამოისუნთქა, როდესაც გაიგო, რომ ყველაფერი „გადამწვარი" მცველების ბრალი იყო. დამშვიდებული ლაურა უკან წამოვიდა. სანთელი ქვემოთ დარჩა, მაგრამ დაბრუნება დაეზარა, ჩემს ოთახს ისედაც ვიპოვიო. მით უმეტეს, რომ მათი კარის წინ იდგა ურიკა საღებავის ქილებით. ქალმა ხელის ცეცებით იპოვა კარი, ჩამოწია სახელურს და ოთახში შევიდა. გრაფი დე მოპასანი ისე ხვრინავდა, მკვდარს გააღვიძებდა. გრაფინია საბნის ქვეშ შეძვრა და ყელზე მოეხვია ქმარს როგორც ძველად, როცა ახალგაზრდები იყვნენ. ოჯახურ იდილიას იტყოდა კაცი... იტყოდა, გრაფინიას ოთახი რომ არ შეშლოდა...

ქალის ხვევნამ ქიული მყისვე გამოაღვიძა. ერთ წამს ფიქრობდა, ნეტავ, ვინ არისო. მერე კი ყურში ჩაესმა ქალის ნაზი ჩურჩული: „საყვარელო, მთელ სახლში ელექტრობა გამოირთო, უკუნი სიბნელეა... გახსოვს, ის ღამე, ვენეციაში?" ვენეციასთან ქიულის ერთობ ტკბილი მოგონება აკავშირებდა. გულში მხურვალე მადლობა შეუთვალა ლუის იმისათვის, რომ მოსამსახურე ქალის გამოგზავნა არ დაავიწყდა. ხმის ამოუღებლად გადაბრუნდა ქალისაკენ, დაბღუჯა და, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, მამაკაცური მოვალეობის შესრულებას შეუდგა.

ქალბატონ მოპასანსაც ვერ გაამტყუნებ: კომპლექციით ქიული ძალიან ჰგავდა გრაფს. თანაც, მანდილოსანს გვარიანად დაელია და ხეირიანად ვერ არჩევდა სხეულის დეტალების განსხვავებას. ისე კი, რა თქმა უნდა, გააოგნა მეუღლის მხურვალე შემოტევამ, სულ იმას ჰფიქრობდა, ნეტავ, რა ჩაუდო სალათში მზარეულმა ქალმა, ასე რომ გაიგიჟაო თავი.

ამასობაში კი, ლუიმ გადაწყვიტა, რომ ჟოანას საწოლში დარჩენა სულ უფრო საშიში ხდება: ნებისმიერ წუთს შეიძლებოდა, თავს დასდგომოდნენ გრაფი და მისი მეუღლე, რათა შეემოწმებინათ, ხომ ყველაფერი რიგზეაო. ანდა, მოსულიყვნენ ელექტრიკოსები გაწყვეტილი სადენის გადასაბმელად. ლუი წამოხტა, ხელი დაავლო ტანსაცმელს და ფეხის წვერებზე გავიდა ოთახიდან. ქვემოდან მონტიორების ლანძღვა მოისმოდა. ლუიმ იფიქრა, მე არ დამბრალდესო, და გადაწყვიტა, თავის ოთახში დაბრუნებულიყო, მაგრამ ეს არც ისეთ ადვილი აღმოჩნდა. სიბნელეში ყველა კარი ერთნაირად გამოიყურებოდა, რა ექნა? ჟოანას მშობლების გაღვიძება სულ არ უნდოდა. სწორედ აქ გაახსენდა, რომ მათი ოთახიდან ერთი კარის გამოტოვებით საღებავების ურიკა იდგა. ლუი ხელის ცეცებით მივიდა ურიკამდე, გადაითვალა მესამე კარი ხელმარცხნივ, და ფრთხილად შეაღო. ქიული მაგრა ხვრინავდა.

შარლ დე მოპასანის საძინებელი ოთახი სიბნელეში არაფრით არ განსხვავდებოდა იმისაგან, სადაც ახალგაზრდები დაებინავებინათ. ლუი ცდილობდა, არ ეხმაურა და სიბნელეში დაიწყო სავარძლის ძებნა, რომელიც ძველ ადგილზე არ აღმოჩნდა. შემთხვევით წამოეგო იდაყვით მძინარეს, და სავარძელიც იპოვა. ჩაჯდა და შეეცადა დაეძინა. ერთხანს იწრიალა, მერე ადგა, უხეშად მისწია ქიული და გვერდით ჩამოუჯდა.

— გამოგეღვიძა, შე ბოთე, შენა? — ჩურჩულით ჰკითხა ლუიმ. — რომ იცოდე, სად ვიყავი... — უთხრა და წვრილად დაიწყო თავგადასავლის მოყოლა...

გრაფი დე მოპასანი გაუნძრევლად იწვა, და ვერ მიმხვდარიყო, ძილში იყო თუ ცხადში. ტიპი, რომელიც ლოგინზე ჩამოუჯდა, უყვებოდა, რა დრო ატარა მის ქალიშვილთან.

მიხვდა, რომ ეს მანიაკი იყო. შემდეგ კედლის იქიდან მოესმა გრაფინიას კვნესა, იფიქრა, აწამებენო, და გაშეშდა.

სწორედ ამ მომენტში აინთო სინათლე...

მადამ მოპასანმა თვალი გაახილა და დაინახა, რომ ლოგინში წევს უცნობ მამაკაცთან ერთად...

ქალის ყვირილზე გრაფი მიხვდა, რომ მის მეუღლეს ბეჭდებს აძრობენ, და ერთი მწარედ დაიგმინა.

— როგორი ხმა გაქვს? გაცივდი? — ჰკითხა მანიაკმა. გრაფი გულმოკლული სდუმდა. პასუხს რომ ვერ ეღირსა, მანიაკმა ურჩია: „შენ ქალი გჭირდება, გაცივების დროს უებარი საშუალებააო". ამ სიტყვებმა გრაფს საბოლოოდ მოუთავა ხელი.

— კარგი, ცოტა მიიწიე, შენს გვერდით დავწვები, — ჩაიჩურჩულა მანიაკმა. გრაფს გული წაუვიდა...

გრაფინიამ ერთხანს იკვნესა, იკვნესა, და დადუმდა.

ქიული სიხარულით ცას ეწია — მოსამსახურე ქალის ნაცვლად ლუის გრაფინია გამოუგზავნია. რას იფიქრებდა, რომ მის მეგობარს აქ ასეთი დიდი გავლენა ექნებოდა. მართალია, გრაფინია ყვიროდა, მაგრამ რამ ააყვირა მაშინ, როდესაც ყველაფერი დამთავრდა. ქიულიმ უხერხული ღიმილით ჰკითხა: ვინ უფრო მეტად მოგეწონათო, მე თუ გრაფი?

გრაფინია გაშრა. შიშველ ახალგაზრდა კაცში მან იცნო თავაზიანი პიანისტი, რომელიც რომანსებს მღეროდა მათს სასტუმრო ოთახში. შემდეგ გონს მოეგო და უთხრა, რომ საკუთარ ქმართან შედიოდა, მაგრამ ოთახი შეეშალა. ქიულიმ თვალები გადმოკარკლა, გაოგნებული, ხმას ვერ იღებდა.

— არ გაბედოთ, და არ დაიწყოთ ბოდიშის მოხდა ჩემს მეუღლესთან, — მკაცრად გააფრთხილა ქალბატონმა. ქიულიმ ხმის ამოუღებლად დაუკრა თავი. მერე რის ვაივაგლახით გაყო ფეხი შარვალში და ოთახიდან გაიძურწა.

დერეფანში შემოესმა ლუის ხმა იმ ოთახიდან, რომელიც მათი საძინებლის გვერდით იყო. მყისვე გაჩნდა იქ და კარი შეაღო: დე ფიუნესი საწოლზე იჯდა, ზურგი შეექცია ლოგინში გასუსული გრაფისათვის და გატაცებით ესაუბრებოდა ხორციელი სიყვარულის თემაზე. გრაფი გამოყეყეჩებული მისჩერებოდა ჭერს და არ ინძრეოდა.

პიანისტმა ძლივს შეიკავა სიცილი, მერე კი ჩუმად, მაგრამ მკაფიოდ უთხრა:

— ბატონო გრაფო, გონს მოდით. თქვენს გვერდით მთვარეულია. ახლა რომ გავაღვიძოთ, გული გაუსკდება და მოკვდება. ჩემი მეგობარი ლუი ბოდავს. ეს ხომ მთვარის ავსების ღამეა.

უკანასკნელი ნახევარი საათის მანძილზე გრაფმა მეორედ გამოსცა ხმა — გულამომჯდარმა ამოიოხრა.

ლუის კი, პირიქით, ენა ჩაუვარდა. შემდეგ ნელა შებრუნდა და გრაფს მიაჩერდა. ამ მომენტში ძალიან უნდოდა, რომ ყველაფერი სიზმარი ყოფილიყო.

— ეს მანიაკი არ არის? — ჰკითხა გრაფმა ქიულის.

**ᲘᲮ. ᲛᲔ-11 ᲒᲕ.**

ᲒᲐᲛᲝᲘᲬᲔᲠᲔᲗ, ᲘᲧᲘᲓᲔᲗ, ᲘᲙᲘᲗᲮᲔᲗ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ „ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐ"!

საქართველოს რესპუბლიკა
№ 77, ორშაბათი, 24 მარტი, 2003 წელი.

## სხვა გაზეთიდან

# აფუსფუსებული სათაგველი

სიტყვები „თაგვების ფუსფუსი“ ხატოვან გამოთქმად იქცა და ნიშნავს წვრილმან, მოსაწყენ, უმეტესად, უაზრო ფუსფუსს. მაგრამ რას ნიშნავს ეს ფუსფუსი თაგვებში: თამაშობენ, რაღაცას აკეთებენ, ჩხუბობენ? ამ კითხვაზე არავის უპასუხნია. კარგად შეისწავლეს რა დიდი ცხოველების – სპილოების, ლომების, ლეოპარდების, მგლების, დათვების, მელიების, მაიმუნების ქცევა, ადამიანებმა ცოტა რამ თუ იცოდნენ წვრილფეხა „საძმოზე“, იქვე, გვერდით, იატაკქვეშეთში, მარანში, თივის ზვინში რომ ცხოვრობდა.



თაგვების ფუსფუსი იმდენად ხმაურიანია, რომ ის კარგად ესმით ბუებს, თოვლის საფარიდან ესმის მელიას, რომელიც ახტება და გამალებით თხრის თოვლს იქ, საიდანაც წრუწუნი მოესმა.

ცალკე ერთი თაგვი არ იწუწუნებს. ფუსფუსი, წრუწუნი რაღაცნაირი საზოგადოებრივი ურთიერთობის შედეგია. როგორი? ამ საკითხმა დააინტერესა ეტოლოგები (ცხოველთა ქცევის შესახებ მეცნიერების წარმომადგენლები) და ისინიც, ვინც ებრძვის მღრღნელებს – ადამიანის „მდგმურებს“.

ეს ძნელი საქმეა – თვალი მიადევნო პატარა პურისმჭამელების ცხოვრების პერიპეტიებს და მაინც გამოიძებნა მომთმენი და დაჟინებული ხალხი, თაგვებზე დაკვირვებას ათასობით საათი რომ შესწირეს. ინგლისელებმა შექმნეს პოლიგონი სახელწოდებით „თაგვების სახლი“, სადაც ასობით თაგვი შეუშვეს. წითლად შეფერილ ბინდბუნდში (თაგვები ძირითადად აქტიურობენ ღამით) აკვირდებოდნენ თაგვებს, მათი „საზოგადოებრივი“ ცხოვრების კანონზომიერებას. მაშინვე გამოჩნდა მუშაობის დიდი უხერხულობანი. „თაგვების სახლში“ დასადგმელ კიბეზე მაშინ უნდა ემორიგევათ, როცა ყველა წესიერ ადამიანს სძინავს. მაგრამ მათ შეძლეს თაგვების მოტყუება – დღისით შენობას აბნელებდნენ, ღამით კი მძლავრი ნათურებით ანათებდნენ, დღის შთაბეჭდილებას ქმნიდნენ. ერთი კვირის შემდეგ ამ ცვლილებას თაგვები მიეჩვივნენ – სინათლეზე ეძინათ, ხოლო ჩაბნელებულ შენობაში, წითელ შუქზე დარბოდნენ, ჭამდნენ, ჩხუბობდნენ, ერთმანეთს ესიყვარულებოდნენ.

მარტივი საქმე როდი აღმოჩნდა სათვალთვალო ნაცრისფერი წვრილფეხობის ფუსფუსში გარკვევა. თაგვები დასერეს (დანიშნეს), მაგრამ თანდათან შესახედაობითაც (თაგვები, როგორც ჩინელები, ერთი სახისა როდი არიან), მოძრაობითაც ცნობდნენ მათ, ხვდებოდნენ მათ განზრახვას, ინტერესებს, ერთმანეთისადმი სიმპათიებსა და ანტიპათიებს, თაგვების ფუსფუსი თანდათან გასაგები გახდა.

აი პირველი, რის გამორკვევაც შეძლეს: თაგვები წყნარი, თვინიერი არსებები კი არ არიან, არამედ აგრესიული, დაუოკებელნი ახლობლების დევნასა და რაღაცისათვის ჩხუბში (მოფუსფუსე თაგვების წრუწუნი – ეს იმათი ხმაა, ვინც გარბის ან თავს იცავს). კი მაგრამ, რა არის ასეთი უთანხმოების მიზეზი? პირველი – ამ „საზოგადოებაში“ იერარქიის დამყარება. ძლიერნი ჩაგრავენ სუსტებს და თანდათან, „ფუსფუსის“ შედეგად – დაშინებით, დევნითა და კბენით გამოიკვეთება დესპოტი, რომელიც, შეიძლება, ყველგან გამოჩნდეს და გზიდან ჩამოიცილოს ყველა, მცირეოდენი პროტესტიც რომ გამოხატოს. გამოიკვეთება მეორე პირიც ამ მწკრივში – თაგვი, რომელიც დესპოტს გაურბის, მაგრამ როგორც კი ის წასთვლემს, თავად ხდება დესპოტი, მას მოსდევს მესამე, და ასე შემდეგ საფეხურებად, სადაც აღმოჩნდებიან დევნილნი, რომელთაც ყველასი ეშინიათ და ეს შიში აერთიანებს მათ ჯგუფებად, სადაც ასევე ჰყავთ თავიანთი „მეფე“, მაგრამ ისეთივე, როგორც ყველა დანარჩენი, გაუბედავი, სუსტი და ისევე დაკბენილი. დევნილნი მიყუჟულან სადღაც თაგვთა სახელმწიფოს ჯურღმულებში, „პირში წყალი ჩაუგუბებიათ“ და საჭმლის საძებნელადაც სინათლეზე გამოდიან, როცა „ელიტა“ დასაძინებლად წვება.

ამრიგად, „ფუსფუსის“ პირველი საბაბი – იერარქიის დამკვიდრება, გამოვლენილია, თუ ვინ ვინ არის. ეს გავლენას ახდენს საცოლის არჩევანზეც. ჩვეულებისამებრ, ვაჟკაც თაგვს ცხოვრების ერთი თანამგზავრი ჰყავს, მაგრამ ძლიერსა და განსაკუთრებულ „დესპოტს“ – ორი, ზოგჯერ კი – სამი ცოლი, ერთ ოჯახად რომ ცხოვრობენ მბრძანებლის ბუდეში.

„ფუსფუსის“მეორე მიზეზი – ტერიტორიულია. გაბატონებული მამლები ცდილობენ ცხოვრებისათვის უკეთესი მამულის ხელში ჩაგდებას და იქ რომ დამკვიდრდებიან, აღარავის აძლევენ თავის სამფლობელოებში გამოჩენის უფლებას. მაგრამ ყველა თაგვი უჩვეულო მაძიებელია – მისთვის მნიშვნელოვანია ტერიტორიის „ტოპოგრაფიის“ ყველა ხვრელისა და ბორცვის, დაბრკოლებისა და თავშესაფარის – ცოდნა. ტერიტორიას რომ შეისწავლის, საშიშროების შემთხვევაში თაგვი უშეცდომოდ გარბის თავის „ციხე-სიმაგრისაკენ“.

გარემოს რომ იკვლევენ, თაგვები უეჭველად შეიჭრებიან ხოლმე ვიღაცის სამფლობელოში, თუმც წინდახედულად ამას გაურბიან. ტერიტორიის დარღვევა დაუყოვნებლივ და მკაცრად ისჯება; მომხდურს, ბეწვი ყალყზე რომ დასდგომია, დასდევენ, დაკბენას ცდილობენ, მაგრამ ეს საწყალი ბოლოს თავის რეზიდენციაში რომ მოხვდება, უცებ გადასხვაფერდება, გული მოეცემა, გათამამდება: „ეს კი ჩემი ტერიტორიაა, მე აქ ვდგავარ და მზად ვარ დასახვედრად!“ მდევარმა კარგად იცის, თუ რას ნიშნავს მოწინააღმდეგის ყალყზე შემდგარი და კბილებდაკრეჭილი ფიგურა. მდევარს რისხვა გაუნელდება – სახლში ცხვირსაც არ შეჰყოფს, ერთი მრისხანედ დაჰკრავს კუდს და იქაურობას გაეცლება. მაგრამ ამას აკეთებს მამაცი, ძალ-ღონით მეორეს რომ უტოლდება. დესპოტ-პრემიერის მრისხანება კი ისეთია, რომ მოძმეს, შემთხვევით რომ შეიხედა მის სამფლობელოში და ახლა თავის სახლში რომ იმალება, შეიძლება, ყელში სწვდეს და მოახრჩოს. საერთოდ კი ხვადები (დედლები არ სწუხან სამფლობელოს საზღვრებზე) ჩხუბში ცდილობენ, მოწინააღმდეგეს კუდუსუნში უკბინონ. თაგვისათვის კუდი სირბილის დროს მარტო საჭე-ბალანსი კი არა, ან კიდევ „მეხუთე ფეხი“ ცოცვის დროს, არამედ სასიგნალო ინსტრუმენტიცაა: „გეცემი!“ (საინტერესოა, რომ ლომი, ვიდრე ნახტომს გააკეთებს, კუდს ურტყამს მიწაზე). კუდის დაკარგვის ან დაზიანების შემთხვევაში, მამაცი თაგვი საზოგადოების დაბალ საფეხურზე აღმოჩნდება, მისი ადგილი ახლა ძაბუნთა შორისაა.

ყოველივე ამას რომ აკვირდებოდნენ, მკვლევარები მიხვდნენ, რომ „თაგვების სახლში“ აკლიათ თავშესაფრები, ბარიერები, ანგარიშსწორებას რომ ხელს შეუშლიდა, ამიტომაც ტერიტორია მოაწყეს ყუთებით, თეჯირებით, ამან მოაწესრიგა ყურცქვიტა საძმოს ცხოვრება, მაგრამ, პრინციპში, ყველაფერი დარჩა მათი ყოფის კანონების ჩარჩოებში.

დედლები ამ წყობილებაში მშვიდად არიან, მათი აგრესიულობა ვლინდება ორსულობისა და შთამომავლობის კვების დროს. ამ დროს ისინი თავს ესხმიან სხვა დედლებსაც და ყველას, ვინც ცხვირს შეჰყოფს მათ სავანეთში. შეიძლება, არც მამა-მბრძანებელიც დაინდონ. ჩვეულებისამებრ ის ამ დროს თავისი ტერიტორიის რომელიმე თავშესაფარში მიდის საცხოვრებლად.



მზარდი ოჯახი (თაგვები სწრაფად მრავლდებიან – ფეხმძიმობა მხოლოდ ოც დღეს გრძელდება) „თავისიანებს“ სუნით საზღვრავს. სხვა სუნიან უცხოს ხიშტებით ხვდებიან, თანაც თავდაცვაში მონაწილეობენ ოჯახის სხვადასხვა ასაკოვან თაობები.

შეიძლება ოჯახის უსასრულოდ გაზრდა? არა, დგება მომენტი, როცა მოზრდილი ძმები ჩხუბს იწყებენ, ხელჰყოფენ (უმეტეს შემთხვევაში – უშედეგოდ) მამიკოს სტატუსსაც კი, და, ბოლოს, სტოვებენ მშობლიურ ბუდეს, რათა სათაგვეთის მქუხარე ცხოვრების მორევის საიერარქიო კიბეზე თავიანთი ადგილი დაიმკვიდრონ და ტერიტორიის ნაგლეჯს მაინც დაეუფლნენ. ამის შანსები არის, რამდენადაც თაგვებს უამრავი მტერი ჰყავს – ვიღაც კატის კლანჭებში, თრითინას კბილებში მოექცა ანდა სათაგურში აღმოჩნდა. გამონთავისუფლებულ საცხოვრებელ ფართობს დაუყოვნებლივ ვიღაცა იკავებს და ვინც მას დაეუფლება, უკვე აქვს წონა საზოგადოებაში, უკვე შეუძლია, გაერიდოს „ძლიერთა სათაგვეთისასა“, და, რაც მთავარია, საცხოვრებელ ტერიტორიას რომ დაეუფლება, ახალგაზრდა მამალს უჩნდება თავის ძალების რწმენა და ოჯახის შექმნის შანსი. მაგრამ თუ საცხოვრებელს ვერ აღმოაჩენს და თანაც თუ მიუსაფარი მომხდურებმა დაკბინეს, მაშინ ის „ბომჟების“ ჯგუფში აღმოჩნდება: დღისით, მზისით ჭამს (რითაც ძალზე რისკავს), სხვებთან ერთად სძინავს სადღაც, ვიღაცასთან ჩახუტებული ნაგვის გროვაში. გაძვალტყავებულნი, მოძმეთაგან დაკბენილნი (მათ ხომ ამ „გამარჯვებით“ თავიანთი სტატუსი განამტკიცეს) დასნებულებულნი, აბურძგნულ-გაჭუჭყულ ბეწვიანი დევნილნი, რასაკვირველია, არავითარ „ქორწინებაზე“ აღარ ფიქრობენ, თუმცა, ამ „საერთო საცხოვრებელში“, მეზობლად რამდენიმე „ქალიშვილი“ მაინც შეიძლება გამოიძებნოს.

თაგვების დაძაბულ ცხოვრებაში თუმც არის მომენტები, როცა ჩვეულებრივი ყოფიერების კანონები არ მოქმედებენ. უმეტეს შემთხვევაში ეს ხდება დიდ ყინვებში, როცა არა სჭრის არც ნასვრეტების ბამბით ამოქოლვა და საცხოვრებლის თივით ავსება. მაშინ, ავიწყდებათ რა ყოველგვარი საზღვრებიც და რანგთა ტაბელიც, კოლონიაში მცხოვრებნი ჯგუფებად იკვრებიან და თავს ერთმანეთის გათბობით შველიან (გაჭირვება აახლოვებთ!), მაგრამ დათბება თუ არა, ყველაფერი „თაგვთა ფუსფუსის“ გარემოში ბრუნდება.

მეცნიერებმა ისიც შეამოწმეს, თუ რა ხდება თაგვებით უკიდურესი სიჭარბით დასახლებულ ტერიტორიაზე. ამუშავდა რაოდენობრივი ზრდის დამუხრუჭების მექანიზმი. საკვების სიუხვისას ყველა თაგვი ჯანმრთელი იყო, მაგრამ გამრავლება წყდებოდა. გაზარდეს ტერიტორია – მოკლე დროში რიცხობრიობა ერთბაშად სამჯერ გაიზარდა. მაგრამ ეს ხდებოდა ხელოვნურად შექმნილ პირობებში, ბუნებაში კი, მაგალითად, ხორბლის ან ქერის ნამჯის ზვინებში ასეთი სიჭარბე არ ჩნდება, რიცხობრიობის დამუხრუჭების მექანიზმი კი მუშაობს, მაგრამ არც თუ გამოკვეთილად.

მაგრამ დრო და დრო ბუნებაში დგება „თაგვების წელიც“. ამას წინათ, კარამზინის რუსეთის ისტორია რომ გადავიკითხე, შევხვდი ასეთ უბედურებებზე ამონაწერს მატიანეებიდან. თაგვების წელიწადი შემორჩა ჩვენს მეხსიერებაშიც – 1942 წელი. მახსოვს, სოფლის განაპირა სახლებთან როგორ ჭრიდნენ თხრილებს, რათა მინდვრის თაგვები სახლებში არ შეცვივნილიყვნენ. მარშალი როკოსოვსკი იხსენებს: სტალინგრადთან თაგვებმა, თვითმფრინავში რომ შეძვრნენ, გადახრეს სადენები, მფრინავები დაავადმყოფდნენ ტულიარემიით (თაგვების ტიფით). მარშალ ჟუკოვის პირადმა მცველმა მიამბო „ვორონეჟთან“, პატარა ქალაქ ანაში ჟუკოვმა ღამით შეწუხებულმა ხმამაღლა დაიძახა: „ბედოვ, მოდი აქ!“, აღმოჩნდა მარშალის ლოგინში გზააბნეული თაგვი შემძვრალიყო. სტალინგრადთან მიწურებში მღრღნელების შემოსევაზე წერენ გერმანელი მემუარისტებიც.

გულჩათხრობილი და ცხოვრებაში მუდამ ჩვენს გვერდით მყოფ პატარა, მაგრამ მრავალრიცხოვან მღრღნელებზე დაკვირვების აუცილებლობა გასაგებია. დაუჯერებლად ძნელი გამოკვლევების უკვე პირველი შედეგები, როგორც ჩანს, მარტო მეცნიერებისთვის როდია საინტერესო. არადა მერამდენედ ვრწმუნდებით, რომ დედამიწაზე ყველა არსების თითოეული სახეობა გადარჩენისათვის შეგუებულია ყოფიერებაში ყველანაირ დევნასა და მზაკვრობას.

ვ. პესკოვი.
„კომსომოლსკაია პრავდა“. 14.03.03.

## მსოფლიო შტრიხებში

### საიდუმლო მასალები – ლუდის ქილაში?

გერმანიის სპეცსამსახურებმა თავიანთ აგენტებს სასტიკად აუკრძალეს საიდუმლო მასალების გადასაცემად ლუდის ქილების გამოყენება.

ამას წინათ ერთ-ერთი აფრიკული ქვეყნიდან სამშობლოში სასწრაფოდ გაიწვიეს რეზიდენტის მოადგილე, რომელიც მხილების აშკარა საფრთხის წინაშე დადგა. ამ ქვეყნის სამხედრო უწყებაში მომუშავე მისმა ინფორმატორმა ქალაქის პარკის მოფარებულ ადგილას დატოვა ლუდის ქილა საიდუმლო მიკროფირით.

როდესაც გერმანელი მზვერავი სამალავისაკენ მიდიოდა, საიდანაც გამოჩნდა მაწანწალა, ხელი სტაცა ქილას და იმ იმედით, რომ მასში ლუდი იქნებოდა დარჩენილი, მოიყუდა, მაგრამ იმედგაცრუებულმა ქილა კი არ გადააგდო, არამედ ჯიბეში ჩაიდო. დაბნეული მზვერავი ეცა საწყალს და ქილა-კონტეინერი წაართვა.

ყოველივე ამაზე მან ცენტრს აცნობა, იქიდან კი უბრძანეს, სასწრაფოდ დაეტოვებინა ქვეყანა, ვინაიდან უფროსობა შიშობდა, რომ მაწანწალა, შეიძლება, სპეცსამსახურის გადაცმული აგენტი ყოფილიყო.

### პრეზიდენტს შოკოლადი უყვარებია

„აშშ პრეზიდენტს ძალიან უყვარს შოკოლადი და ჰამბურგერები“, – ჟურნალისტებს გაუმხილა სამსახურიდან დათხოვნილმა პრეზიდენტის თვითმფრინავის სტიუარდესამ.

როგორც გამოირკვა, ბუშს, თავის პირად თვითმფრინავში იმდენსავე დროს რომ ატარებს, როგორც დედამიწაზე, არ შეუძლია უშოკოლადოდ გაძლება. თურმე შოკოლადით სავსე ვაზები დგას თვითმფრინავის ყოველ ნაკვეთურში.

შერისხული სტიუარდესას მტკიცებით, პრეზიდენტი შოკოლადს შეექცევა, როცა ტელევიზორს უზის. ფრენის დროს ის ძირითადად ძველებურ ვესტერნებსა და ბეისბოლის მატჩებს უყურებს. მას სძულს ჰაერში თამბაქოს გამართვა. ისე რომ, ყველა სასწრაფო საკითხს მისი თანაშემწეები განიხილავენ. ხოლო ქვეყანაში და მსოფლიოში მომხდარ ამბებზე ბუშს ფილმებს შორის შესვენებებზე მოახსენებენ. ის ვერ იტანს, როცა ფილმის ყურების დროს აწუხებენ.

რაც შეეხება სამზარეულოს, ირკვევა, რომ პრეზიდენტი უპირატესობას ანიჭებს ჰამბურგერებს, რასაც მარწყვის კოქტეილს აყოლებს.



გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

პიკანტური ისტორიები

# ლუი - აშიკი

(მეცხრე გვერდიდან)

— არა.
— მას სძინავს?
— დიახ, — უპასუხა ჟიულიმ. — მაგრამ მისი გაღვიძება არ შეიძლება.
— ვინ არის? — იკითხა გრაფმა.
— ლუი, ის ახალგაზრდა, ლექსებს რომ კითხულობდა.
— მაშინ რას მიედ-მოედებოდა ჩემს ქალიშვილზე? — გული მოუვიდა მასპინძელს.
— ეს ხომ ბოდვა იყო!
— ბოდვა? ვინ უგრეხდა თითებს ჩემს ცოლს? — კიდევ უფრო მეტად გაბრაზდა გრაფი.
— რა მოხდა, საყვარელო? — გაისმა ქალის ხმა.
მამაკაცები კარისაკენ შებრუნდნენ. ჟიულის ზურგს უკან ქალბატონი მოპასანის სახე მოჩანდა.
— რას გიშვრებოდნენ, ძვირფასო? — ჩურჩულით ჰკითხა გრაფმა.
მადამ მოპასანი არ დაბნეულა.
— ჩვენს გოგონასთან ვიყავით, საყვარელო. როდესაც სინათლე ჩაქრა, ვიფიქრე, დავხედავ-მეთქი, და რომ გამოვედი, მუშების დატოვებულ ურიკას წამოვეგე. ისე ვიყვირე, მეგონა მთელს სახლს გავაღვიძებდი, მაგრამ არავის გაღვიძებია! ეს იყო ისეთი ძლიერი დარტყმა — წინიდან! არ შემეძლო, არ დამეყვირა. ჟოანასთან კი, მადლობა ღმერთს, ყველაფერი რიგზე აღმოჩნდა. მერე დავინახე, როგორ შემოვიდა მის ოთახში ეს ახალგაზრდა. ხომ გაიგონე, რა თქვა მისმა მეგობარმა, — მთვარეულიაო. ნუ ყვირი. მე შენს დასახმარებლად მოვედი.
— ისეთ აბდაუბდას მოჰყვა, გული გამიხეთქა...
— ეს სინამდვილე კოშმარი იყო, — აღმოხდა ჟიულის.
გრაფმა გულმოსულმა წაიბურტყუნა რაღაც.
— ხომ იცი, საყვარელო, — მიმართა მეუღლემ. — მთვარეულები ლაპარაკობენ, ყველაფერს რაც ენაზე მოადგებათ. არაფრის დიდებით არ გააღვიძო. ახლა მისი მეგობარი დაეხმარება.
— ძალიან კი შემაშინა, — თქვა დაფიქრებულმა გრაფმა.
— მისი მეგობარი კიდევ უფრო მეტად შეშინდა, როდესაც ნახა, რომ ოთახში აღარ იყო. წუთით წარმოიდგინე, რომ შეშლოდა და სახურავზე ასულიყო? ხომ დაიღუპებოდა? შენ კი ნამდვილი გმირი ხარ!
— სწორია! — დაეთანხმა გრაფი.
— მოაშორეთ ეს ავადმყოფი აქედან! — თავით მიანიშნა ლუიზე, რომელსაც სიცოცხლის ნიშან-წყალი არ ეტყობოდა.
ჟიული ფეხის წვერებზე მიუახლოვდა ფიუნესს, ნაზად მოჰკიდა ხელი მხარზე და ოდნავ შეაჯანჯღარა, მერე კი ყურში ჩასჩურჩულა: ლუი, გამოიღვიძე!



უდავოდ, ეს ღამე ლუი დე ფიუნესის ნამდვილი ბენეფისი იყო. „გაღვიძებული“ მთვარეულის როლის შესრულება თვით სარა ბერნარსაც შეშურდებოდა. ყველაფერი ისე ნატურალურად ხდებოდა, რომ ჟიულიმაც კი დაიჯერა. მაგრამ როდესაც „გამოღვიძებულმა“ ლუიმ ნამძინარევი ხმით იკითხა: „სადა ვარო“, ხოლო ჟიულიმ თავზე ხელი გადაუსვა და დაყვავებით უთხრა: — „გრაფის ოთახშიო“, — ლუი მართლაც ცუდად გახდა.
ჟიულიმ ფრთხილად გამოიყვანა ოთახიდან. შარლ დე მოპასანი ნირწამხდარი მისჩერებოდა ახალგაზრდებს და არ იცოდა, რა ეფიქრა. უფრო მარტივი იქნებოდა, დაეჯერებინა, რომ მართლაც გაუგებრობა მოხდა. ყველანი, თანდათან, დასაძინებლად დაწვნენ. ლუიმ ჟიულის უამბო, როგორ ეძინა გრაფის ქალიშვილთან. ჟიულიმ ლუის უამბო, როგორ ეძინა გრაფის ცოლთან. ხოლო გრაფი ფიქრობდა, რა ბეწვზე გადავრჩი, რომ კინაღამ მანიაკს არ შემოვეხარჯეო. მარტო გრაფის ცოლი ფიქრობდა, რომ ყველაზე უკეთ მას ეძინა — საოცარ ახალგაზრდასთან, რომელსაც სახელად ჟიული ერქვა. აფსუს, რომ ასეთი შეცდომები ათასში ერთხელ ხდება...
...ლიუ დე ფიუნესმა და ჟოანა დე მოპასანმა 1943 წლის 22 აგვისტოს იქორწინეს. გენიალური მწერლის შვილიშვილის დიდება ჟოანამ გენიალური მსახიობის ცოლის დიდებაზე გაცვალა. საქორწინო ცერემონიის დროს ლუი დე ფიუნესმა სასიმამრო-სასიდედროს უჩვენა თავისი უნიკალური ნიჭი, რომლის წყალობითაც სახით წუთში ასრულებდა ას ოცდათორმეტ მოძრაობას: ყურებით, წარბებით, თვალებით, ცხვირით, ენით და ნიკაპით. წარმოიდგინეთ ეს სანახაობა და მიხვდებით, რას ფიქრობდნენ ამპარტავანი ბურჟუები თავიანთ სასიძოზე. მაგრამ მაყურებელთა უმრავლესობას ეს მოსწონდა.
დე ფიუნესმა სიცილის იმპერია დააარსა. მისმა შვილებმა კი არ ისურვეს, გაეგრძელებინათ მამის საქმე, ერთმა ექიმის პროფესია აირჩია, ხოლო მეორემ — მფრინავისა.

თარგმნა
არჩილ მანჯგალაძემ.

# საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია აცხადებს კომერციულ კონკურსს GSM სისტემის გამოყენებით ფიჭური სატელეფონო კავშირით მომსახურებაზე ლიცენზიის მისაღებად

**საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ გადაწყვიტა:**

1. გამოცხადდეს კომერციული კონკურსი (შემდგომში „კონკურსი“) ფიჭური სატელეფონო კავშირით მომსახურებაზე ლიცენზიის მისაღებად;
ლიცენზიის სახე: სიხშირული სპექტრის გამოყენებითი საქმიანობა;
ლიცენზიის სახეობა: ფიჭური სატელეფონო კავშირით მომსახურება;
ლიცენზიის საგანი: ფიჭური სატელეფონო კავშირით მომსახურება 1725,2-1740 მგჰც (გადაცემაზე) და 1820,2-1835 მგჰც (მიღებაზე) სიხშირულ დიაპაზონში საქართველოს მთელ ტერიტორიაზე.
2. კონკურსი ჩატარდეს 2003 წლის 11 ივლისს, 16 საათზე:
3. სალიცენზიო გადასახდელის საწყისი ოდენობა განისაზღვროს 1 026 000 (მილიონ ოცდაექვსი ათასი) ლარით;
4. ლიცენზიის მაძიებლების განცხადებების მიღება მოხდეს 2003 წლის 20 მარტის 10 საათიდან 2003 წლის 27 მაისის 17 საათამდე;
5. ფიჭური სატელეფონო ქსელით მომსახურებაზე ლიცენზიის მისაღებად ლიცენზიის მაძიებელი კომისიას მიმართავს განცხადებით, რომელშიც მითითებული უნდა იყოს:
ა) ფიზიკური პირისთვის — სახელი, გვარი, დაბადების ადგილი და თარიღი, რეგისტრაციის მონაცემები, მისამართი, მოქალაქეობა;
ბ) იურიდიული პირისთვის — საფირმო სახელწოდება, ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა, იურიდიული მისამართი (ადგილსამყოფელი), სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციის მონაცემები, წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის სახელი და გვარი, მონაცემები დამფუძნებლების შესახებ;
გ) ლიცენზიის სახე, რომლის მიღებასაც მოითხოვს ლიცენზიის მაძიებელი;
დ) ამ გადაწყვეტილების პირველი პუნქტით განსაზღვრული ფიჭური სატელეფონო კავშირით მომსახურების გავრცელების გეოგრაფიული ზონის დაფარვის გრაფიკი და პრაქტიკული საქმიანობის დაწყების ვადა.
6. ლიცენზიის მაძიებლის განცხადებას თან უნდა დაერთოს:
ა) სალიცენზიო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი საბუთი.
ბ) სალიცენზიო გადასახდელის საწყისი ოდენობის 10 პროცენტის გადახდის დამადასტურებელი საბუთი. ეს თანხა ჩაირიცხება კომისიის ანგარიშზე. ლიცენზიის მიუღებლობის შემთხვევაში ლიცენზიის მაძიებელს აღნიშნული თანხა დაუბრუნდება საბანკო მომსახურების ხარჯების გამოკლებით, კომისიისთვის წერილობითი განცხადების წარდგენიდან 10 სამუშაო დღის ვადაში. კონკურსში გამარჯვების შემთხვევაში ლიცენზიის მფლობელი დარჩენილ თანხას იხდის ლიცენზიის გაცემის შესახებ კომისიის გადაწყვეტილებით დადგენილი წესის შესაბამისად.
გ) სახელმწიფო რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტების ასლები; ფიზიკური პირისათვის — აგრეთვე პირადობის მოწმობის ასლი;
დ) განსახორციელებელი საქმიანობის ტექნიკური პროექტი, რომელმაც სამშენებლო, სანიტარიულ-ჰიგიენური, ეკოლოგიური ექსპერტიზის და სათანადო ნებართვების უზრუნველყოფის მიზნით ექსპერტიზა უნდა გაიაროს კომისიასთან შექმნილ მუდმივმოქმედ ქვეკომისიაში. ლიცენზიის მაძიებელი კონკურსზე დაიშვება ქვეკომისიის დადებითი დასკვნის არსებობის შემთხვევაში.
7. კონკურსში მონაწილეობის უფლება არა აქვს პირს, რომელიც კონკურსში გამარჯვების შემთხვევაში GSM 18000 მგჰც სიხშირულ დიაპაზონში რესურსის საერთო მოცულობის 50 პროცენტის ან მეტის მფლობელი გახდება.
8. თუ ლიცენზიის მაძიებლის მიერ არასრულყოფილადაა წარმოდგენილი ამ გადაწყვეტილების მე-5 და მე-6 პუნქტებში მითითებული მონაცემები და დოკუმენტაცია, ლიცენზიის მაძიებელს განცხადების წარდგენისთანავე განემარტება. ლიცენზიის მაძიებელს უფლება აქვს 5 სამუშაო დღის ვადაში შეავსოს ხარვეზი. კონკურსში მონაწილეობის თაობაზე განცხადებისა და დოკუმენტაციის კომისიისთვის საფოსტო გზავნილების სახით მიწოდება დაუშვებელია.
9. კონკურსი ითვლება არშემდგარად და ფორმდება სათანადო ოქმი, თუ:
ა) განცხადების გამოქვეყნების შემდეგ, დადგენილ ვადაში კომისიაში არ იქნა წარდგენილი არც ერთი განცხადება კონკურსში მონაწილეობის შესახებ;
ბ) კომისიაში წარდგენილი განცხადებებიდან არც ერთი არ შეესაბამება კონკურსის მოთხოვნებს.
10. კონკურსის პირობებია:
ა) კომისიისათვის წარდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით გამოსაყენებელი ტექნიკური საშუალებების ევროპულ ჰარმონიზებულ სტანდარტებთან შესაბამისობა;
ბ) ფიჭური სატელეფონო კავშირით მომსახურების გავრცელების გეოგრაფიული ზონის დაფარვის ვალდებულება (არა უმეტეს სამი წლის ვადაში ლიცენზიის გაცემიდან).
11. გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია მაქსიმალური სალიცენზიო გადასახდელის გადახდა.
12. კონკურსი ტარდება შემდეგი პროცედურით:
ა) საკონკურსო სხდომის თავმჯდომარე აცხადებს სალიცენზიო გადასახდელის საწყის ოდენობას და მინიმალურ საკონკურსო ბიჯს. საკონკურსო ბიჯი წარმოადგენს კონკურსის მიმდინარეობისას კონკურსის მონაწილის მიერ ყოველ მომდევნო დაფიქსირებულ თანხასა და წინა დაფიქსირებულ თანხას შორის მინიმალურ სხვაობას, რომლის ოდენობა შეადგენს სალიცენზიო გადასახდელის 5 პროცენტს, დამრგვალებულს მთელ რიცხვამდე. საკონკურსო ბიჯი უცვლელია. იგი ჯერადად უნდა დაემატოს კონკურსის მსვლელობისას ბოლო მაქსიმალურ განაცხადში დაფიქსირებული თანხის ოდენობას.
ბ) კონკურსის მონაწილის მიერ კონკურსის დაწყებისას დაფიქსირებული თანხის ოდენობა არ უნდა იყოს სალიცენზიო გადასახდელის საწყისი ოდენობის და საკონკურსო ბიჯის ჯამზე ნაკლები.
გ) კონკურსის მონაწილის მიერ ყოველი მომდევნო თანხის დაფიქსირება ხდება უკანასკნელ დაფიქსირებულ თანხაზე საკონკურსო ბიჯის დამატებით. კონკურსის მონაწილეს უფლება აქვს დააფიქსიროს საკონკურსო ბიჯზე მეტი თანხა.
დ) კონკურსში გამარჯვებულად ჩაითვლება ის მონაწილე, რომელიც კონკურსის მსვლელობისას გადასახდელი თანხის მაქსიმალურ ოდენობას დააფიქსირებს.
ე) კონკურსში მონაწილეთა მიერ ყოველი დაფიქსირებული თანხა აისახება სხდომის ოქმში, რომელსაც კონკურსის დამთავრების შემდეგ ხელს აწერენ საკონკურსო სხდომის თავმჯდომარე და სხდომის მდივანი. სხდომის ოქმი იკინძება და მოწმდება კომისიის ბეჭდით.
ვ) კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენის შესახებ მიიღება კომისიის გადაწყვეტილება.
13. საკონკურსო სხდომაზე ლიცენზიის მაძიებლის უფლებამოსილი წარმომადგენლის დასწრება სავალდებულოა;
14. ფიჭური სატელეფონო ქსელით მომსახურებაზე ლიცენზია გაიცემა კონკურსში გამარჯვებულის მიერ სალიცენზიო გადასახდელის 30 პროცენტის გადახდიდან 7 სამუშაო დღის ვადაში. სალიცენზიო გადასახდელის დარჩენილი ნაწილის გადახდის ვადა და პირობები განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.
15. კონკურსში გამარჯვებული ვალდებულია ლიცენზიით ნებადართული საქმიანობის განხორციელების პროცესში დაიცვას საქართველოს კანონმდებლობით და ლიცენზიით დადგენილი წესები და პირობები;
16. კონკურსის საფუძველზე ლიცენზიის მიღებისას ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია დაიცვას კონკურსის და მის მიერ კონკურსში მონაწილეობისათვის წარდგენილ დოკუმენტაციაში აღნიშნული პირობები.
17. საკონკურსო სხდომა საჯაროა.
დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას, მისამართზე: თბილისი, გიორგი ჭანტურიას ქ. 12, ტელ: 921667 ფაქსი: 921625.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

## ორშაბათი
### 24 მარტი

**07.30** ალიონი **09.45** მულტსერიალი "ჯაშუშები" **10.10** მხ. ფილმი **"სახალხო რომანი"** **12.00, 15.00, 20.00** "მოამბე" **12.15** ტელესერიალი **"ეშმაკუნა"** **13.00** ნაშუადღევს **14.00** ოქროს მართვე **14.30** დოკ. სერიალი "ეგვიპტოლოგიის პიონერები" **15.15** მხ. ფილმი **"ჰომერი და ედი"** **16.50** დოკ. სერიალი **"ყველანი ორბიტაზე"** **17.00** ტელესერიალი **"ძილის წინ"** **17.15** "რამპა" **17.20** 50-50 **18.00** "ვესტნიკი" **18.20** დოკ. სერიალი "ხელოვნების სცენარები" **18.30** ბასიტი-ბუბუ **18.50** "მრავალჟამიერ" **19.20** ტელეთამაში "იმღერე რამე" **20.55** მუს.პაუზა **21.00** ტელესერიალი **"ეშმაკუნა"** **21.50** დოკ. სერიალი **"ყველაზე, ყველაზე საკვირველი"** **22.35** ტელესერიალი **"ძილის წინ"** **23.00** "რა ხდება?" **23.55** მხ. ფილმი **"შეიძლება"**

---

**19.00, 22.00** "მოამბე" მეორე არხზე **19.10** მულტფილმი **19.40** სერიალი **"ოჯახური ურთიერთობები"** **20.30** მოგზაურობა სასიტყვეთში **21.00** ჯანმრთელობა **21.30** დოკ. ფილმი **22.10** ჰიტ. პარადი **22.20** მხ. ფილმი **"ჩრდილი ან იქნებ ყველაფერმა ჩაიაროს"**

---

**07.00** მუსიკა **07.30** მულტსერიალი "პაწაწინა ონავრები" **08.00** დილა მშვიდობისა **09.40** სერიალი **"ქალთა ქვეყანა"** **10.40** სერიალი "ალფი" **11.10** ხალხის პირისპირ **12.00, 15.00** კურიერი **12.15** სერიალი **"დატყვევებული გულები"** **13.30** მხ. ფილმი **15.20** მხ. ფილმი **17.05** სერიალი **"ქალთა ქვეყანა"** **18.00, 21.00, 02.20** კურიერი **18.15** სერიალი "დათვების ქალაქის ზღაპრები" **18.40** დოკ. ფილმი "კანონის უზენაესობა" **19.00** სერიალი **"კუსტოს წყალქვეშა ოდისეა"** **19.55** სერიალი **"დატყვევებული გულები"** **22.00** ხალხის პირისპირ **22.50** ღამის კურიერი **00.20** მხ. ფილმი **"მისი ოცნების ქალი"** მთ. რ-ში: ჯეიმ სპეიდერი. **02.00** კლასიკა

---

**08.00** ანონსი, მულტფილმი **08.15** აღსავალი **08.20, 10.15, 12.30, 17.20, 17.50, 19.30, 23.30, 01.05** მუსიკა **08.30** მხ.ფ. **"მოთამაშე"** **10.20** მხ.ფ. **"მარტოხელები"** **13.00, 15.00, 17.00, 19.00** ახალი ამბები **13.10, 18.00** დოკ. სერიალი **"ექსპედიცია"** **14.10** დოკუმენტური ფილმი **17.30** დოკ. სერიალი **18.45** ბუნების ფერები **20.00** მხ.ფ. **"ვიქტორ ფოგელი, რეკლამების მეფე"** **22.40** "ბურთი და მოედანი" **22.00** დიალოგი **23.45** მხ.ფ. **"სიკვდილი ზღვაში"** **01.30** ღამის ფილმი

---

**17.00, 01.00** იმედის მელოდიები **17.56, 20.57, 00.50** ახალი ამბების დაიჯესტი **18.00** სერიალი **"გოგონები ესპანეთის მოედნიდან"** **19.00, 22.00** ქრონიკა **19.30** სერიალი **"ბანდიტური პეტერბურგი"** **20.30** 8 1/2 სპორტული პროგრამა "გოლი" **21.00** სერიალი **"ამაზონი"** **22.45** კინონოსტალგია **"იდეალური პარასკევი"** (ურსულა ანდერსი)

---

**12.00** ინდური მხ. ფილმი **"მამაცი"** **15.00** მხ. ფილმი **"ტყუპები"** **17.00, 19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა "დღეს" **17.15** მხ. ფილმი **"ნიღაბი "** **19.20** სპექტრი **21.00** მხ. ფილმი **"სკარლეტი"**

---

**10.30** ჩვენ ვსწავლობთ კომპიუტერს, რუსული ენის გაკვეთილი, ინგლისური ენის გაკვეთილი **12.00** "ვარსკვლავები გვამცნობენ" **13.00** საბავშვო მუსიკალური კოლაჟი **14.00** მხ. ფილმი **"რეგთაიმი"** **15.00, 21.00** ვესტი **15.30** ფილმის გაგრძელება **18.00** ჩვენ ვსწავლობთ კომპიუტერს, რუსული ენის გაკვეთილი, ინგლისური ენის გაკვეთილი **19.30** ექსტრაორდინალური **20.30** "გვარიშვილობა" **21.30** ტალანტები და თაყვანისმცემლები **22.30** პირველი ნაბიჯები **23.00** მუსიკალური პაუზა **23.25** ინდური მხ. ფილმი **"მე შენ ძალიან მომწონხარ"**

---

**08.00** ტოროლა **11.00** განმეორებით ქართული მუსათეული **11.45** ფილმი **14.00** ფილმი **16.00** ფილმი **"ვარსკვლავთომები 1"** **19.00, 21.00, 22.00** ინფორმატორი **19.30** ვიდეორადიო **20.50** ათი ლექსი **21.15** უცხოური მუსათეული **22.35** პაპარაცი **23.00** აბა გამოიცანი კადრი **00.00** ფილმი ბრავო **"ვარსკვლავთომები 2"** მთ.როლში ნატალი პორტმანი **01.40** ფილმი ღამურა **"კოსმოსური კოვბოები"** მთ.როლში კლინტ ისტვუდი. **03.45** პაუზის გარეშე

---

**09.30** მხ. ფილმი **"ლიბერეისი. მუსიკის მიღმა"** **11.00, 15.15, 17.50, 18.25, 21.55, 23.50** მუსიკა **11.10** მხ. ფილმი **"ძმაკაცები"** **12.50** დოკ. ფილმი "ფოტორობოტი" მე-5 ს. **13.40** მარიონეტების ფილმი "ყოჩაღები". "მძევალი" **13.55** "ოსტატები"-მოდელიორი **14.15** "ბელისიმო" **14.30, 17.30, 20.30, 00.00** დღის ამბები **14.45** "მსოფლიო ფეხბურთი" **15.30** მულტფილმი "წითელქუდა" **16.30** დოკ. ფილმი "ნაციონალური გეოგრაფიული საზოგადოება" **18.00** მხ. სერიალი **"ჰორასი და თინა"** **18.40** მულტფილმი "მხიარული მელოდიები" **19.00** მხ. სერიალი **"მოჯადოება"** 141-ე სერია **20.00** გადაცემა "მსოფლიო რაგბი" **21.00** მხ. სერიალი **"ვი. აი. პი"** **22.00** "ტელემეტრი" **22.15** მხ.ფილმი **"რეინჯერები"** **00.20** მხ. სერიალი **"თოჯინების ველი"** **00.45** მხ.ფ. **"სიკვდილის დევნაში"**

---

**08.00, 03.00** საინფორმაციო დაიჯესტი **08.20** დოკუმენტური ფილმი **09.00, 12.00, 16.00** საინფორმაციო გამოშვება **09.15** კომედია **"ტრაგიკული ფანტოცი"** **11.10** დოკუმენტური ფილმი **12.10** ისტორიული ფილმი "ნაპოლეონი" 1 ს. **14.00** სათავგადასავლო ფილმი **"ვინ ვარ მე"** **16.10** მულტფილმი "მეფე ლომი" **17.40** კომედია **"დიდი ტურნე"** **19.00, 22.00, 00.00** საინფორმაციო გამოშვება "დღეს" **19.20, 22.30, 00.30** საინფორმაციო გამოშვება "ნოვოსტი" **19.40, 22.40, 00.40** საინფორმაციო გამოშვება ინგლისურ ენაზე **19.50** ფილმი-კატასტროფა **"აპოკალიფსის საათები"** **22.55, 00.55** საინფორმაციო გამოშვება ფრანგულ ენაზე **23.00, 01.00** საინფორმაციო გამოშვება გერმანულ ენაზე **23.05** "ალტერნატივა" საავტორო გადაცემა **01.00** მხატვრული ფილმი **"ანჟელიკა ანგელოზების მარკიზა"** **03.20** დრამა **"ტელევიქტორინა"**

## სამშაბათი
### 25 მარტი

**07.30** ალიონი **09.45** მულტსერიალი "ჯაშუშები" **10.15** მხ. ფილმი **"შეიძლება"** **12.00, 15.00, 20.00, 23.55** მოამბე **12.15** ტელესერიალი **"ეშმაკუნა"** **13.00** ნაშუადღევს **14.05** "ლერერის შოუ" **15.15** მხ. ფილმი **"ხელშეუხებელნი"** **16.45** ტელესერიალი **"ძილის წინ"** **17.00** შემეცნებითი ფილმი - მოგზაურობა დედამიწის გარშემო **17.30** საქართველო და გარე სამყარო **18.00** ვესტნიკი **18.20** დოკ. სერიალი "ხელოვნების სცენარები" **18.35** ბასტი-ბუბუ **18.55** "და არს მუსიკა" **19.20** ტელეთამაში "იმღერე რამე" **21.00** ტელესერიალი **"ეშმაკუნა"** **21.50** "ჩვენი ფეხბურთი" **22.35** ტელესერიალი **"ძილის წინ"** **23.00** "რა ხდება?" **23.55** მხ. ფილმი **"ეძიეთ ქალი"**

---

**19.00, 22.00** "მოამბე" მეორე არხზე **19.10** მულტფილმი **19.40** სერიალი **"ოჯახური ურთიერთობები"** **20.30** ამბები ჩვენზე **20.45** ოქტაგონი **21.30** ასპარეზი **22.10** ჰიტ. პარადი **22.20** მხ. ფილმი **"სიცოცხლე და სხვა არაფერი"**

---

**07.00** მუსიკა **07.30** სერიალი "დათვების ქალაქის ზღაპრები" **08.00** დილა მშვიდობისა **09.40** სერიალი **"ქალთა ქვეყანა"** **10.40** სერიალი "ალფი" **11.10** ხალხის პირისპირ **12.00, 15.00** კურიერი **12.15** სერიალი **"დატყვევებული გულები"** **13.30** მხ. ფილმი **15.20** მხ. ფილმი **17.05** სერიალი **"ქალთა ქვეყანა"** **18.00, 21.00, 02.20** კურიერი **18.15** სერიალი "დათვების ქალაქის ზღაპრები" **18.40** სერიალი **"კუსტოს წყალქვეშა ოდისეა"** **19.30** პერეკროსტოკი **20.05** სერიალი **"დატყვევებული გულები"** **22.00** ვის უნდა ოცი ათასი? **22.50** ღამის კურიერი **00.20** მხ. ფილმი **"ეშმაკი ქურდი"** მთ. რ-ში: რებეკა დე მორნეი. **02.30** კლასიკა

---

**08.00** ანონსი, აღსავალი **08.05** დიალოგი **10.35** "ბურთი და მოედანი" **10.50** მხ. ფილმი **"ვიქტორ ფოგელი, რეკლამების მეფე"** **12.30** დოკ. ფილმი **13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00** ახალი ამბები **13.10, 18.00** დოკ. სერიალი **"ექსპედიცია"** **14.10, 17.20, 19.30, 21.45, 00.55** მუსიკა **15.15** მხ. ფილმი **"სიკვდილი ზღვაში"** **17.30** მულტფილმი **20.00** მხ.ფ. **"ვუყვარვარ, არ ვუყვარვარ"** **22.00** დიალოგი **23.45** მხ. ფილმი **"უბედურების მომტანი"** **01.10** ღამის ფილმი

---

**17.00, 01.00** იმედის მელოდიები **17.56, 20.57, 00.55** ახალი ამბების დაიჯესტი **18.00** სერიალი **"გოგონები ესპანეთის მოედნიდან"** **19.00, 22.00** ქრონიკა **19.30** სერიალი **"ბანდიტური პეტერბურგი"** **20.30** 8 1/2 პლანეტა ჰოლივუდი **21.00** სერიალი **"ამაზონი"** **22.45** მძაფრსიუჟეტიანი კინო **"სახვის მდელო"** (ჯეიმს ვუდსი)

---

**12.00** მხ. ფილმი **"სკარლეტი"** **15.00** მხ. ფილმი **"მემკვიდრეობა "** **17.00, 19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა "დღეს" **17.15** მხ. ფილმი **"ბარი ველური კოიოტი"** **19.20** სპექტრი **21.00** მხ. ფილმი **"სკარლეტი" მე-2 ნაწილი**

---

**10.30** ჩვენ ვსწავლობთ კომპიუტერს, რუსული ენის გაკვეთილი, ინგლისური ენის გაკვეთილი **12.00** დოკ. ფილმი "ფანჯარა ევროპაში" **12.30** სალონი **14.00** საბავშვო მუსიკალური კოლაჟი **15.00, 21.00** ვესტი **18.00** ჩვენ ვსწავლობთ კომპიუტერს, რუსული ენის გაკვეთილი, ინგლისური ენის გაკვეთილი **19.30** "სალონი" **21.30** "სპორტის სამყარო" **22.30** სტუდია "ეკონომისტი" **23.30** მუსიკალური პაუზა **00.00** მხ. ფილმი **"ლოგინის ომი"**

---

**08.00** ტოროლა **11.00** განმ. მუსათეული **11.45** ფილმი **14.00** ფილმი **16.00** ფილმი **"ადამიანი ოზობა"** **19.00, 20.00, 21.00, 22.00** ინფორმატორი **19.15** ქართული მუსიკა **19.30, 20.15** ვიდეორადიო **20.50** ათი ლექსი **21.15** უცხ. მუსათეული **22.35** ქართული მუსიკა **23.00** აბა გამოიცანი მელოდია **00.00** ფილმი ბრავო **"პაროლი - ხმალთევზა"** მთ.როლში ჯონ ტრავოლტა **01.45** ფილმი ღამურა **"იმიტატორი"** მთ.როლში სიგურნი უივერი **03.45** პაუზის გარეშე

---

**09.30, 14.30, 17.30, 20.30, 00.00** დღის ამბები **09.50, 11.50, 17.50, 18.30, 19.50, 21.55, 23.50** მუსიკა **10.05** მულტფილმი "მხიარული მელოდიები" **10.30** მხ. სერიალი **"ჰორასი და თინა"** **11.00** მხ. სერიალი **"მოჯადოება"** **12.00** მხ. სერიალი **"ვი. აი. პი"** **12.45** მხ.ფ. **"რეინჯერი"** **14.20** "ტელემეტრი" **14.45** "მსოფლიო რაგბი" **15.15** მხ. ფილმი **"სიკვდილის დევნაში"** **16.30** დოკ. ფილმი "ნაციონალური გეოგრაფიული საზოგადოება" **18.00** მხ. სერიალი **"ჰორასი და თინა"** **18.40** მულტფილმი "მხიარული მელოდიები" **19.00** მხ. სერიალი **"მოჯადოება"** **20.00** "ევროპის სტადიონებზე" **21.00** მხ. სერიალი **"ვი. აი. პი"** **22.15** მხ. ფილმი **"უკანასკნელი მოგზაურობა"** **00.20** მხ. სერიალი **"თოჯინების ველი"** **00.45** მხ. ფილმი **"ფენიქსი"**

---

**08.00, 03.00** საინფორმაციო დაიჯესტი **08.20** დოკუმენტური ფილმი **09.00, 12.00, 16.00** საინფორმაციო გამოშვება **09.15** კომედია **"მე-6 მოთამაშე"** **11.10** დოკუმენტური ფილმი **12.10** ისტორიული ფილმი "ნაპოლეონი" 2 ს. **13.50** დრამა **"ტელევიქტორინა"** **16.10** მულტფილმი "ჯადოსნური მოგზაურობა" **17.35** მხატვრული ფილმი **"შავი მწევარი"** **19.00, 22.00, 00.00** საინფორმაციო გამოშვება "დღეს" **19.20, 22.30, 00.30** საინფორმაციო გამოშვება "ნოვოსტი" **19.30** «Ï ðåññ-ï àï üå» **19.40, 22.50, 00.55** საინფორმაციო გამოშვება ინგლისურ ენაზე **19.50** მელოდრამა **"მევენახეთა წესები"** **21.50** "გალერეა" **22.40** «Ï ðåññ-ï àï üå» **23.00, 01.00** საინფორმაციო გამოშვება ფრანგულ ენაზე **23.05, 01.05** საინფორმაციო გამოშვება გერმანულ ენაზე **23.05** "რა არ ხდება" **01.10** მხატვრული ფილმი **"განუმეორებელი ანჟელიკა"** **03.20** მხატვრული ფილმი **"მღვდლის ცოლი"**

## ოთხშაბათი
### 26 მარტი

**07.30** ალიონი **09.45** მულტსერიალი "ჯაშუშები" **10.15** მხ. ფილმი **"ეძიეთ ქალი"** **11.30** შემეცნ.ფილმი-მოგზაურობა დედამიწის გარშემო **12.00, 15.00, 20.00, 23.55** მოამბე **12.15** ტელესერიალი **"ეშმაკუნა"** **13.00** "ნაშუადღევს" **14.05** ქართული ენის გაკვეთილი **14.35** "თქვენი უფლებები" **15.15** მხ. ფილმი **"პროვინციელი ქალბატონი"** **17.05** ტელესერიალი **"ძილის წინ"** **17.20** 50-50 **18.00** ვესტნიკი **18.20** დოკ. სერიალი "ხელოვნების სცენარები" **18.30** ბასტი-ბუბუ **18.50** "ისტორიანი" **19.20** ტელეთამაში "იმღერე რამე" **21.00** ტელესერიალი **"ეშმაკუნა"** **21.50** "მათი შვილები" **22.35** ტელესერიალი **"ძილის წინ"** **23.00** "რა ხდება?!" **23.55** მხ. ფილმი **"იტალიელი ხალხის სახელით"**

---

**19.00, 22.00** "მოამბე" მეორე არხზე **19.10** მულტფილმი **19.40** სერიალი **"ოჯახური ურთიერთობები"** **20.30** და არს მუსიკა **21.00** დოკ. ფილმი **21.30** წარსულის ტერიტორია **22.10** ჰიტ. პარადი **22.20** მხ. ფილმი **"მიწის კონტროლი"**

---

**07.00** მუსიკა **07.30** სერიალი "დათვების ქალაქის ზღაპრები" **08.00** დილა მშვიდობისა **09.40** სერიალი **"ქალთა ქვეყანა"** **10.40** სერიალი "ალფი" **11.10** ვის უნდა ოცი ათასი? **12.00, 15.00** კურიერი **12.15** სერიალი **"დატყვევებული გულები"** **13.30** მხ. ფილმი **15.20** მხ. ფილმი **17.05** სერიალი **"ქალთა ქვეყანა"** **18.00, 21.00, 02.20** კურიერი **18.15** სერიალი "დათვების ქალაქის ზღაპრები" **18.40** სერიალი **"მედისონის სკოლა"** **19.00** სერიალი **"კუსტოს წყალქვეშა ოდისეა"** **19.55** სერიალი **"დატყვევებული გულები"** **22.00** ხალხის პირისპირ **22.50** ღამის კურიერი **00.20** მხ. ფილმი **"მანქანა"** მთ. რ-ში: ჟერარ დეპარდიე. **02.30** კლასიკა

---

**08.00** ანონსი, აღსავალი **08.05** დიალოგი **10.30** მხ. ფილმი **"ვუყვარვარ, არ ვუყვარვარ"** **12.30** დოკ. ფილმი **13.00, 15.00, 17.00, 19.00** ახალი ამბები **13.10, 18.00** დოკ. სერიალი **"ექსპედიცია"** **15.15** მხ. ფილმი **"უბედურების მომტანი"** **17.20, 18.30, 19.30, 21.35, 23.30** მუსიკა **17.30** მულტფილმი **18.45** ბუნების ფერები **19.45** გადაცემა - მურადა **20.00** მხ.ფ. **"მოგზაურობა ქვეყნის დასალიერზე"** **22.00** დიალოგი **23.45** მხ.ფ. **"ისევ კოლეჯში"** **01.30** ღამის ფილმი

---

**17.00, 00.55** იმედის მელოდიები **17.56, 20.57, 00.45** ახალი ამბების დაიჯესტი **18.00** სერიალი **"გოგონები ესპანეთის მოედნიდან"** **19.00, 22.00** ქრონიკა **19.30** სერიალი **"ბანდიტური პეტერბურგი"** **21.00** სერიალი **"ამაზონი"** **20.30** 8 1/2 სპორტული პროგრამა **"ესტაფეტა"** **22.45** ფანების კინოკლუბი **"წარმოსახვითი რეალობა"** (ალენ დელონი)

---

**12.00** მხ. ფილმი **"სკარლეტი"** მე-2 ნაწილი **15.00** მხ. ფილმი **"უჩინარი"** **17.00, 19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა "დღეს" **17.15** მხ. ფილმი **"ლტოლვილი მატარებელი"** **19.20** სპექტრი **21.00** მხ. ფილმი **"ბრილიანტის პოლიციელი"** **22.30** მხ. ფილმი **"ლედი დრაკონი"**

---

**10.30** ჩვენ ვსწავლობთ კომპიუტერს, რუსული ენის გაკვეთილი, ინგლისური ენის გაკვეთილი **12.00** "სალონი" **13.30** ექიმი გვირჩევს **14.30** საბავშვო მუსიკალური კოლაჟი **15.00, 21.00** ვესტი **15.30** საბავშვო მუსიკალური კოლაჟის გაგრძელება **18.00** ჩვენ ვსწავლობთ კომპიუტერს, რუსული ენის გაკვეთილი, ინგლისური ენის გაკვეთილი **19.30** სცენის ოსტატები **20.30** მულტფილმი **21.30** "სპორტის სამყარო" **22.30** თინეიჯერი **23.30** მუსიკალური პაუზა **23.55** მხ. ფილმი **"ბრონქსის ისტორია"**

---

**08.00** ტოროლა **11.00** განმ. მუსათეული **11.45** ფილმი **14.00** ფილმი **16.00** ფილმი **"ჯაშუშთა შვილები"** **19.00, 20.00, 21.00, 22.00** ინფორმატორი **19.15** ქართული მუსიკა **19.30, 20.15** ვიდეორადიო **20.50** ათი ლექსი **21.15** რუს. მუსათეული **22.35** პაპარაცი **23.00** ჩაძიროვანა **00.00** ფილმი ბრავო **"ტომი და ტომასი"** მთ.როლში არონ ჯონსონი **01.45** ფილმი ღამურა **"მკვლელობის დრო"** მთ.როლში სამუელ ლ. ჯექსონი **03.45** პაუზის გარეშე

---

**09.30, 14.30, 17.30, 20.30, 00.00** დღის ამბები **09.50, 11.50, 14.20, 17.50, 19.50, 21.55, 23.45** მუსიკა **10.00** მულტფილმი "მხიარული მელოდიები" **10.30** მხ. სერიალი **"ჰორასი და თინა"** **11.00** მხ. სერიალი **"მოჯადოება"** **12.00** მხ.სერიალი **"ვი. აი. პი."** **12.45** მხ. ფილმი **"ფენიქსი"** **14.45** "ევროპის სტადიონებზე" **15.05** მხ. ფილმი **"უკანასკნელი მოგზაურობანი"** **16.30** დოკ. ფილმი "ნაციონალური გეოგრაფიული საზოგადოება" **18.00** მხ. სერიალი **"ჰორასი და თინა"** **18.40** მულტფილმი "მხიარული მელოდიები" **19.00** მხ. სერიალი **"მოჯადოება"** **20.00** "ევროპის სტადიონებზე" **21.00** მხ. სერიალი **"ვი. აი. პი"** **22.00** "ტელემეტრი" **22.15** მხ.ფილმი **"დაბრუნება"** **00.20** მხ. სერიალი **"თოჯინების ველი"** **00.45** მხ. ფილმი **"ხვალ მომკალი"**

---

**08.20** დოკუმენტური ფილმი **09.00, 12.00, 16.00** საინფორმაციო გამოშვება **09.15** სათავგადასავლო ფილმი **"ქრისტოფორე კოლუმბი"** **11.10** დოკუმენტური ფილმი **12.10** კომედია **"ლ-9"** **14.00** მხატვრული ფილმი **"ბრონქსის ისტორია"** **16.10** მულტფილმი "მზეთუნახავი და ურჩხული" **17.30** თრილერი **"საჰაერო მონადირე"** **19.00, 22.00, 00.00** საინფორმაციო გამოშვება "დღეს" **19.20, 22.30, 00.30** საინფორმაციო გამოშვება "ნოვოსტი" **19.30** "პრესდაიჯესტი" **19.40** მელოდრამა **"ვარდების სარეცელი"** **21.05** "ქართული კინო" **22.40** "პრესდაიჯესტი" **22.50, 00.55** საინფორმაციო გამოშვება ინგლისურ ენაზე **23.00, 01.00** საინფორმაციო გამოშვება ფრანგულ ენაზე **23.05, 01.05** საინფორმაციო გამოშვება გერმანულ ენაზე **23.05** "ალტერნატივა" საავტორო გადაცემა **01.10** მხატვრული ფილმი **"ანჟელიკა და მეფე"** **03.20** მელოდრამა **"საბრალო, პატარა, მდიდარი გოგონა"** 1 ს.

## ხუთშაბათი
### 27 მარტი

**07.30** ალიონი **09.45** მულტსერიალი "ჯაშუშები" **10.15** მხ. ფილმი **"იტალიელი ხალხის სახელით"** **12.00, 15.00, 20.00** მოამბე **12.15** ტელესერიალი **"ეშმაკუნა"** **13.00** "ნაშუადღევს" **14.00** ინგლისური ენის გაკვეთილი **14.30** დოკ. სერიალი "ეგვიპტოლოგიის პიონერები" **15.15** მხ. ფილმი **"სიჩუმის მიღმა"** **17.05** დოკ. სერიალი "ყველანი ორბიტაზე" **17.15** ტელესერიალი **"ძილის წინ"** **17.30** შემეც.ფილმი "მოგზაურობა დედამიწის გარშემო" **18.00** ვესტნიკი **18.20** დოკ. სერიალი "ხელოვნების სცენარები" **18.30** ბასტი-ბუბუ **18.50** "ჯანმრთელობა" **19.20** ტელეთამაში "იმღერე რამე" **21.00** ტელესერიალი **"ეშმაკუნა"** **21.45** შეხვედრები ფიქრის გორაზე **22.10** საქართველო არის ესე **22.35** ტელესერიალი **"ძილის წინ"** **23.00** "რა ხდება ?!" **23.55** მხ. ფილმი **"ბრიგადა"** **01.30** ქართული ენის გაკვეთილი

---

**19.00, 22.00** "მოამბე" მეორე არხზე **19.10** მულტფილმი **19.40** სერიალი **"ოჯახური ურთიერთობები"** **20.30** ისტორიანი **21.00** შვიდეული **22.10** ჰიტ. პარადი **22.20** მხ. ფილმი **"ზიზლი"**

---

**07.00** მუსიკა **07.30** სერიალი "დათვების ქალაქის ზღაპრები" **08.00** დილა მშვიდობისა **09.40** სერიალი **"ქალთა ქვეყანა"** **10.40** სერიალი "ალფი" **11.10** ხალხის პირისპირ **12.00, 15.00** კურიერი **12.15** სერიალი **"დატყვევებული გულები"** **13.30** მხ. ფილმი **15.20** მხ. ფილმი **17.05** სერიალი **"ქალთა ქვეყანა"** **18.00, 21.00, 02.20** კურიერი **18.15** სერიალი "დათვების ქალაქის ზღაპრები" **18.40** სერიალი **"მედისონის სკოლა"** **19.00** სერიალი **"კუსტოს წყალქვეშა ოდისეა"** **19.55** სერიალი **"დატყვევებული გულები"** **22.00** ვის უნდა ოცი ათასი? **22.50** ღამის კურიერი **00.20** მხ. ფილმი **"ანდრეი რუბლიოვი"** რ-ში: ანატოლი სოლონიცინი **02.30** კლასიკა

---

**08.00** ანონსი, აღსავალი **08.05** დიალოგი **10.30** მხ. ფილმი **"მოგზაურობა ქვეყნის დასალიერზე"** **12.30** დოკ. ფილმი **13.00, 15.00, 17.00, 19.00** ახალი ამბები **13.10, 18.00** დოკ. სერიალი **"ექსპედიცია"** **15.15** მხ. ფილმი **"ისევ კოლეჯში"** **17.20, 17.50, 18.30, 21.55, 23.30** მუსიკა **17.30** დოკ. სერიალი **18.45** ბუნების ფერები **19.30** კონცერტი **21.00** ტელე-სინე-ვიდეო (განმეორებით) **22.00** დიალოგი **23.45** მხ.ფ. **"ველური დასავლეთის ლეგენდები"** **00.55** მხ.ფ. **"სასტიკი პოლიციელი"** **02.10** ღამის ფილმი

---

**17.00, 01.05** იმედის მელოდიები **17.56, 20.57, 00.55** ახალი ამბების დაიჯესტი **18.00** სერიალი **"გოგონები ესპანეთის მოედნიდან"** **19.00, 22.00** ქრონიკა **19.30** სერიალი **"ბანდიტური პეტერბურგი"** **21.00** სერიალი **"ამაზონი"** **20.30** 8 1/2 "არტ-ბულვარი" შოუ ბიზნესი **22.45** კინოვარსკვლავთა ღამე **"სისხლი და ღვინო"** (ჯეკ ნიკოლსონი)

---

**12.00** მხ. ფილმი **"ბრილიანტის პოლიციელი"** **13.30** მხ. ფილმი **" ლედი დრაკონი"** **15.00** მხ. ფილმი **"სეიფების მძარცველი"** **17.00, 19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა "დღეს" **17.15** მხ. ფილმი **"ჯუმანჯი"** **19.20** სპექტრი **21.00** მხ. ფილმი **"ფლაბერი"** **22.30** მხ. ფილმი **"ლედი დრაკონი 2"**

---

**10.30** ჩვენ ვსწავლობთ კომპიუტერს, რუსული ენის გაკვეთილი, ინგლისური ენის გაკვეთილი **12.00, 21.30** სალონი **13.30** საბავშვო მუსიკალური კოლაჟი **14.30** დოკ. ფილმი საქართველოზე **15.00, 21.00** ვესტი **18.00** ჩვენ ვსწავლობთ კომპიუტერს, რუსული ენის გაკვეთილი, ინგლისური ენის გაკვეთილი **19.30** "სპორტის სამყარო" **20.30** მულტფილმი **23.00** "ერთი ერთზე" **23.30** მუსიკალური პაუზა **23.50** მხ. ფილმი **"მარვინის ოთახი"**

---

**08.00** ტოროლა **11.00** განმ. მუსათეული **11.45** ფილმი **14.00** ფილმი **16.00** ფილმი **"ჯაშუშთა შვილები 2"** **19.00, 20.00, 21.00, 22.00** ინფორმატორი **19.15** ქართული მუსიკა **19.30, 20.15** ვიდეორადიო **20.50** ათი ლექსი **21.15** უცხ. მუსათეული **22.30** მუსიკა **23.00** აბა გამოიცანი მელოდია **00.00** ფილმი ბრავო **"მე დინა ვარ"** მთ. როლში ჟერარ დეპარდიე **01.45** ფილმი ღამურა **"მეცამეტე მებრძოლი"** მთ. როლში ანტონიო ბანდერასი **03.45** პაუზის გარეშე

---

**09.30, 14.30, 17.30, 20.30, 00.00** დღის ამბები **09.50, 11.50, 17.50, 18.45, 19.50, 21.50, 23.45** მუსიკა **10.00** მულტფილმი "მხიარული მელოდიები" **10.30** მხ. სერიალი **"ჰორასი და თინა"** **11.00** მხ. სერიალი **"მოჯადოება"** **11.55** მხ. სერიალი **"ვი. აი. პი."** **12.40** მხ. ფილმი **"დაბრუნება"** **14.20** "ტელემეტრი" **14.45** "ევროპის სტადიონებზე" **15.10** მხ. ფილმი **"ხვალ მომკალი"** **16.30** დოკ. ფილმი "ნაციონალური გეოგრაფიული საზოგადოება" **18.00** მხ. სერიალი **"ქვეყნის კიდეზე"** 1-ლი ს. **19.00** მხ. სერიალი **"მოჯადოება"** **20.00** დოკ. ფილმი "დროის მოკლე ისტორია" 1-ლი ნ. **21.00** მხ. სერიალი **"ვი. აი. პი."** **22.00** "ჩემი ქვეყანა". "ირაკლი". **22.15** მხ. ფილმი **"საჰაერო განგაში"** **00.20** მხ. სერიალი **"თოჯინების ველი"** **00.45** მხ. ფილმი **"შეუპოვართა რაზმი"**

---

**08.00, 03.00** საინფორმაციო დაიჯესტი **08.20** დოკუმენტური ფილმი **09.00, 12.00, 16.00** საინფორმაციო გამოშვება **09.15** სათავგადასავლო ფილმი **"ინდიანა ჯონსი"** **11.10** დოკუმენტური ფილმი **12.00** საინფორმაციო გამოშვება **12.10** მხატვრული ფილმი **"ესენია"** **14.20** კომედია **"კრამერი კრამერის წინააღმდეგ"** **16.10** მულტფილმი "პრინცესა გედი -III" **17.20** მელოდრამა **"მიწიერი სურვილები"** **19.00, 22.00, 00.00** საინფორმაციო გამოშვება "დღეს" **19.20, 22.30, 00.30** საინფორმაციო გამოშვება "ნოვოსტი" **19.30, 22.40, 00.40** საინფორმაციო გამოშვება ინგლისურ ენაზე **19.35** "პირისპირ" საავტორო გადაცემა **20.30** კომედია **"ფული ყოვლისშემძლეა"** **22.50, 00.55** საინფორმაციო გამოშვება ფრანგულ ენაზე **22.55, 00.00** საინფორმაციო გამოშვება გერმანულ ენაზე **23.10** დოკუმენტური ფილმი **01.10** მხატვრული ფილმი **"მოურჯულებელი ანჟელიკა"** **03.30** მელოდრამა **"საბრალო, პატარა, მდიდარი, გოგონა"** 2 ს.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

## პარასკევი
### 28 მარტი

**07.30** ალიონი **09.45** მულტსერიალი "ჯაშუშები" **10.10** მხ. ფილმი **"ბრიგადა"** **11.40** "ზოოპარკი" **12.00, 15.00, 20.00** მოამბე **12.15** ტელესერიალი **"ეშმაკუნა"** **13.00** "ნაშუადღევს" **14.05** "მხოლოდ კლასიკა" **15.15** 50-50 **15.55** ფეხბურთი. საქართველო-ირლანდია. ახალგ. ნაკრებების შეხვედრა მხ. ფილმი **"ცოფიანი"** **17.50** "ზუმი" **18.00** ვესტნიკი **18.20** დოკ. სერიალი "ხელოვნების სცენარები" **18.30** ბასტი-ბუბუ **19.20** ტელეთამაში "იმღერე რამე" **21.00** ტელესერიალი **"ეშმაკუნა"** **21.50** "ტალანტები და თაყვანისმცემლები" **22.35** ტელესერიალი **"ძილის წინ"** **23.00** "რა ხდება?!" **23.55** მხ. ფილმი **"აუსტერლიცი"**

**19.00, 22.00** "მოამბე" მეორე არხზე **19.10** მულტფილმი **19.40** სერიალი **"ოჯახური ურთიერთობები"** **20.30** საქართველო არის ესე **21.00** დოკ. ფილმი **21.30** აფხაზეთის ტელევიზია **22.10** ჰიტ. პარადი **22.20** მხ. ფილმი **"ცეკვები ლუზანაში"**

**07.00** მუსიკა **07.30** სერიალი "დათვების ქალაქის ზღაპრები" **08.00** დილა მშვიდობისა **09.40** სერიალი **"ქალთა ქვეყანა"** **10.40** სერიალი "ალფი" **11.10** ვის უნდა ოცი ათასი? **12.00, 15.00** კურიერი **12.15** სერიალი **"დატყვევებული გულები"** **13.30** მხ. ფილმი **15.20** მხ. ფილმი **17.05** სერიალი **"ქალთა ქვეყანა"** **18.00, 21.00, 02.20** კურიერი **18.15** სერიალი "დათვების ქალაქის ზღაპრები" **18.40** სერიალი **"მედისონის სკოლა"** **19.00** სერიალი **"კუსტოს წყალქვეშა ოდისეა"** **19.55** სერიალი **"დატყვევებული გულები"** **22.00** ხალხის პირისპირ **22.50** ღამის კურიერი **00.20** მხ. ფილმი **"კაცი რკინის ნიღაბში"** მთ. რ-ში: ლეონარდო დი კაპრიო. **02.30** მხ. ფილმი **"ღამის ფერი"** მთ. რ-ში: ბრიუს უილისი. **04.30** კლასიკა

**08.00** ანონსი, ალსავალი **08.05** დიალოგი **10.30** მხ. ფილმი **"ველური დასავლეთის ლეგენდები"** **12.30** დოკ. ფილმი **13.00, 15.00, 17.00, 19.00** ახალი ამბები **13.10, 18.00** დოკ. სერიალი **"ექსპედიცია"** **15.15** მხ. ფილმი **"სასტიკი პოლიციელი"** **17.30** დოკ. სერიალი **18.45** "ნაცნობი ქალაქის უცნობი ამბები" **20.00** მხ.ფ. **"მაქს კიბლის შურისძიება"** **22.00** დიალოგი **00.55** მხ. ფილმი **"მოახლე ტიტანიკიდან"** **02.10** ღამის ფილმი

**17.00, 01.05** იმედის მელოდიები **17.55, 20.57, 00.55** ახალი ამბების დაიჯესტი **18.00** სერიალი **"ლაბირინთი"** **19.00, 22.00** **ქრონიკა** **19.30** სერიალი **"ბანდიტური პეტერბურგი"** **20.30** თამაში "ლარის მახე" **21.00** სერიალი **"ამაზონი"** **22.45** არტ. ფილმი **"ირმის ნახტომი"** რეჟ. ბუნუელი.

**12.00** მხ. ფილმი **"ფლაბერი"** **13.30** მხ. ფილმი **"ლედი დრაკონი 2"** **15.00** მხ. ფილმი **"კაიროს ლალი"** **17.00, 19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა "დღეს" **17.15** მულტფილმი "პიტერ პენი" **19.20** სპექტრი **21.00** მხ. ფილმი **"თოჯინა ბნელში "** **22.30** მხ. ფილმი **"სისხლიანი მტერი"**

**10.30** ჩვენ ვსწავლობთ კომპიუტერს, რუსული ენის გაკვეთილი, ინგლისური ენის გაკვეთილი **12.00** სალონი **13.30** საბავშვო მუსიკალური კოლაჟი **14.30** დოკ. ფილმი საქართველოზე **15.00, 21.00** ვესტი **18.00** ჩვენ ვსწავლობთ კომპიუტერს, რუსული ენის გაკვეთილი, ინგლისური ენის გაკვეთილი **19.30** "მომავალი" **20.00** ტელესერიალი **"დაბრუნება ედემში"** **21.30** კრიმინალი, პოლიცია, საზოგადოება **22.30** "გამარჯობა" **23.15** მუსიკალური პაუზა **23.40** ძველი კინოკლასიკა მხატვრული ფილმი **"ვანილიანი მარწყვის ნაყინი"**

**08.00** ტოროლა **11.00** განმ. მუსათეული **11.45** ფილმი **14.00** ფილმი **16.00** ფილმი **"ვასაბი"** **19.00, 20.00, 21.00, 22.00** ინფორმატორი **19.15** ქართული მუსიკა **19.30, 20.15** ვიდეორადიო **20.50** ათი ლექსი **21.15** ქართული მუსათეული **22.35** პაპარაცი **23.00** ჩაძირობანა **00.00** ფილმი ბრავო **"ამერიკის პრეზიდენტი"** მთ. როლში მაიკლ დუგლასი **01.45** ფილმი ღამურა **"დაუმარცხებელი"** მთ. როლში ბრიუს უილისი **03.45** პაუზის გარეშე

**09.30, 14.30, 17.30, 20.30, 00.00** დღის ამბები **09.50, 11.50, 17.50, 18.25, 19.50, 21.55, 23.40** მუსიკა **10.00** მხ. სერიალი **"ქვეყნის კიდეზე"** 1-ლი ს. **11.00** მხ. სერიალი **"მოჯადოება"** **12.00** მხ. სერიალი **"ვი. აი. პი."** **12.45** მხ. ფილმი **"საჰაერო განგაში"** **14.15** "ჩემი ქვეყანა". "ირაკლი". **14.45** დოკ. ფილმი "დროის მოკლე ისტორია" **15.05** მხ. ფილმი **"შეუპოვართა რაზმი"** **16.30** დოკ. ფილმი "ნაციონალური გეოგრაფიული საზოგადოება" **18.00** მხ. სერიალი **"ქვეყნის კიდეზე"** მე-2 ს. **19.00** მხ. სერიალი **"მოჯადოება"** **20.00** დოკ. ფილმი "დროის მოკლე ისტორია" **21.00** მხ. სერიალი **"ვი. აი. პი."** **22.00** "ტელემეტრი" **22.15** მხ. ფილმი **00.20** მხ. სერიალი **"თოჯინების ველი"** **00.45** მხ. ფილმი **"ჩინეთში ქალებს ჭამენ"**

**08.00, 03.00** საინფორმაციო დაიჯესტი **08.20** დოკუმენტური ფილმი **09.00, 12.00, 16.00** საინფორმაციო გამოშვება **09.20** საბავშვო ფილმი **"მარტო სახლში-3"** **11.00** დოკუმენტური ფილმი **12.15** მელოდრამა **"ბაუცხოების ექვსი ხარისხი"** **14.30** კომედია **"მგლის ლეკვი"** **16.15** მულტფილმი "ბარტოკი" **17.35** მელოდრამა **"სონისა და შერის ისტორია"** **19.00, 22.00, 00.00** საინფორმაციო გამოშვება "დღეს" **19.20, 22.30, 00.30** საინფორმაციო გამოშვება "ნოვოსტი" **19.30** «Ï ðåñň-ï àï üå» **19.35, 22.45, 00.40** საინფორმაციო გამოშვება ინგლისურ ენაზე **19.40** დოკუმენტური ფილმი "თავისუფლების კანდაკები" **19.50** მხატვრული ფილმი **"არასოდეს არ ტირის ჯარისკაცის ქალიშვილი"** **21.55** "გალერეა" **22.40** «Ï ðåñň-ï àï üå» **23.50, 00.45** საინფორმაციო გამოშვება ფრანგულ ენაზე **22.55, 00.50** საინფორმაციო გამოშვება გერმანულ ენაზე **23.00** "ალტერნატივა" საავტორო გადაცემა **01.00** მხატვრული ფილმი **"ანჟელიკა და სულთანი"** **03.30** სათავგადასავლო ფილმი **"მარკო პოლო"**

## შაბათი
### 29 მარტი

**08.00, 15.00, 21.00, 00.25** მოამბე **08.20** მხ. ფილმი **"ვაჭიშვილის ოთახი"** **10.00** დილის პაემანი **11.05** მხიარული კარუსელი **11.50** გლობუსი **12.00** "მეტრო" **12.55** კვალი **13.25** მულტსერიალი "ჯაშუშები" **13.50** "სახსოვარი"- აკაკი ბაქრაძე **14.25** "საქართველო, დრო, მოვლენები" **15.15** მხ. ფილმი **"გზის ბნელი მხარე"** **16.50** საწინდარი **17.20** გინდ დაიჯერეთ, გინდ არა **17.40** რეალური სამყარო **18.00** ვესტნიკი **18.35** "თბილისის დროით" **18.55** ფეხბურთი. **საქართველო-ირლანდია**. **21.35** "ფორტუნა" **22.10** პროფათეული **22.45** არტ-მობილი **23.10** მხ. ფილმი **"არხების გადართვისას"** **01.10** ღამის ჯაზი

**19.00** მულტფილმი **19.30** ორატორი **19.40** სერიალი **"ოჯახური ურთიერთობები"** **20.30** "ახლო ხედი" **21.00** დოკ. ფილმი **21.40** მხ. ფილმი **00.05** ჰიტ-პარადი **"მოხუცი ოსერი"**

**08.00** მუსიკა **09.00** კურიერი **09.20** მულტსერიალი **10.50** სერიალი **"ათასწლეული"** **12.00, 15.00** კურიერი **12.20** სიმფსონები **12.45** მხ. ფილმი **15.20** მხ. ფილმი **17.00** სერიალი **"სახლი ძველ უბანში"** **17.30** სერიალი **"კოლომბო"** **18.00, 00.30** კურიერი **18.20** სერიალი **"კოლომბო"** **19.15** ჩემპიონთა ლიგის კვირის მიმოხილვა **20.05** სერიალი **"ჩინელი პოლიციელი"** **21.00** **კურიერი** P.S. **22.00** საოჯახო ტოტო **22.30** **ფსიქო**. მხ.ფ. **"შვიდი სამურაი"** **00.50** მხ.ფ. **"სპეციალისტი"** მთ. რ-ში: სილვესტერ სტალონე. **03.00** ღამის ჯაზი

**08.00** ანონსი, ალსავალი **08.05** დიალოგი **10.30** მხ. ფილმი **"მაქს კიბლის შურისძიება"** **12.30** დოკ. ფილმი **13.00, 15.00, 17.00, 19.00** ახალი ამბები **13.10, 18.00** დოკ. სერიალი **"ექსპედიცია"** **15.15** მხ. ფილმი **"მოახლე ტიტანიკიდან"** **17.30** მუსიკა **18.00, 19.30** მულტფილმი **18.45** ბუნების ფერები **20.30** ლიტერატურული გადაცემა - სილუეტი **21.00** დოკ. ფილმი **23.30** მუსიკალურ ტალღაზე **01.30** მხ.ფ. **"ბოშა"** **02.40** ღამის ფილმი

**11.00, 01.10** იმედის მელოდიები **12.00, 15.00, 19.00, 22.00** ქრონიკა **12.10** მულტფილმი "ფანტომეტა" - მე-5 სერია **12.30** ახალგაზრდული სერიალი **"უკიდურესი ზღვარი"**, **"ტროას ცხენი"** - 9 **"ბოლო პარტია "** - 10 **13.30** თამაში "ფორტ ბოიარდი" **14.30** X-კლუზივი **15.15** რეტროსკოპი "ამბავი ასია კლიაჩინისა" **17.00, 23.30** ახალი ამბების დაიჯესტი **17.05** დოკ. სერიალი "მსოფლიოს ყველაზე იდუმალი ადგილები", "ჰოლივუდი" - 10 "დერბი" - 11 **18.00** სერიალი **"ლაბირინთი"** - **მე-3 სერია** **19.30** სერიალი **"ნირო ვულფი"**, პატიმრის სახლი **20.55** თოქ შოუ "არჩევანი თქვენ" **22.45** საღამოს ღიმილი (გასართობი გადაცემა) **23.00** კლიპ-ლოტო **01.20** ეროტიკული ფილმი **"ემანუელა --2"** მთ. როლში სილვია კრისტელი

**12.00** მხ. ფილმი **"თოჯინა ბნელში "** **13.30** მხყ ფილმი **"სისხლიანი მტერი"** **15.00** მხ. ფილმი **"საუკუნის დანაშაული"** **17.30** მულტფილმი "შურჩხული და ლამაზმანი" **19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა "დღეს" **19.20** მუსიკა **21.00** მხ. ფილმი **"უძილობა"** **23.00** მუსიკა **00.20** მხ. ფილმი **"ინგლისელი პაციენტი"**

**10.30** ჩვენ ვსწავლობთ კომპიუტერს, რუსული ენის გაკვეთილი, ინგლისური ენის გაკვეთილი **12.00** სალონი **13.30** ექიმი გვირჩევს **14.30** საბავშვო მუსიკალური კოლაჟი **15.00, 21.00** ვესტი **15.30** საბავშვო მუსიკალური კოლაჟის გაგრძელება **16.00** ლაბირინთი **17.00** მუსიკალური პაუზა **17.30** თქვენი ადვოკატი **18.30** ჩვენ ვსწავლობთ კომპიუტერს, რუსული ენის გაკვეთილი, ინგლისური ენის გაკვეთილი **20.00** თინეიჯერი **21.30** ცეროდენა ვარსკვლავები **22.00** "და ღმერთმა შექმნა ქალი" **22.30** საოცარი პირამიდა **23.30** თეატრალური შეხვედრები **00.30** მხ. ფილმი **"იდეალური მკვლელობა"**

**10.00** ტოროლა **13.00** გან. ათეული **13.45** ფილმი **15.45** ფილმი **17.45** ფილმი **19.00, 20.00, 21.00, 22.00** ინფორმატორი **19.15** ქართული მუსიკა **19.30, 20.15** ვიდეორადიო **21.15** რუსული მუსათეული **22.35** კვირის საუკ. ლექსები **23.00** აბა გამოიცანი კადრი **00.00** ფილმი ბრავო **"ბორნის საიდუმლო"** მთ. როლში მეთ დეიმონი **01.50** ფილმი ღამურა **"აკრძალვების დარღვევა"** **03.45** პაუზის გარეშე

**09.30, 14.30, 17.30, 20.30, 00.00** დღის ამბები **09.50, 11.50, 17.50, 18.25, 19.50, 21.50, 23.45** მუსიკა **10.00** მხ. სერიალი **"ქვეყნის კიდეზე"** **11.00** მხ. სერიალი **"მოჯადოება"** **12.00** მხ. სერიალი **"ვი. აი. პი."** **12.45** მხ. ფილმი **"შევარდნის დალუპვა"** **14.15** "ტელემეტრი" **14.45** დოკ. ფილმი "დროის მოკლე ისტორია" **15.05** მხ. ფილმი **"ჩინეთში ქალებს ჭამენ"** **16.30** დოკ. ფილმი "ნაციონალური გეოგრაფიული საზოგადოება" **18.00** მხ. სერიალი **"ქვეყნის კიდეზე"** **19.00** გადაცემა "საუბრები სტუდიაში" **20.00** დოკ. ფილმი "დროის მოკლე ისტორია" **21.00** საუბრები ნინო ჭავჭავაძესთან **22.00** მარიონეტების ფილმი "ყოჩაღები". "მძევალი" **22.15** მხ. ფილმი **"სრული სისულელე"** **00.20** მხ. ფილმი **"უცხო მიწა"**

**08.00, 03.00** საინფორმაციო დაიჯესტი **08.20** დოკუმენტური ფილმი **09.00, 12.00, 16.00, 19.00** საინფორმაციო გამოშვება **09.20** საბავშვო კომედია **"თეფში"** **11.00** დოკუმენტური ფილმი **12.15** ისტორიული ფილმი **"სპარტაკი"** **15.15** დოკუმენტური ფილმი **16.15** მულტფილმი "კატა ლეოპოლდი" **17.30** კომედია **19.20** საინფორმაციო გამოშვება "ნოვოსტი" **19.25** "პრესდაიჯესტი" **19.35** "ყველანი ვართ პატარები" **19.45** ისტორიკო-სათავგადასავლო ფილმი **"ახალგაზრდა ინჟინერი"** **21.45** "ქართული ფილმი" **22.00, 00.00** საინფორმაციო გამოშვება "დღეს" **22.30, 00.30** საინფორმაციო გამოშვება "ნოვოსტი" **22.40** "პრესდაიჯესტი" **23.00** «Ñëî âî » საავტორო გადაცემა **00.40** მელოდრამა **"ასტრონავტის მეუღლე"** **03.30** დრამა **"დღის მიწერულს"**

## კვირა
### 30 მარტი

**08.00** მოამბე **08.15** მხ. ფილმი **"არხების გადართვისას"** **10.00** "დილის პაემანი" **11.05** "ამბები ჩვენზე" **11.35** მოგზაურობა სასიტყვეთში **12.05** "სპა" **12.35** "პრესსტუდია" **13.25** მოსკოვი-თბილისი **13.55** "ღამის ჯაზი" **14.25** არათბილისური ამბები **15.00** საინფორმაციო პროგრამა ინგლისურ ენაზე **15.15** კინომსახიობთა თეატრის სპექტაკლი "ამფიტრიონი" **17.40** ტელეზღაპარი **18.00** ტაიმაუტი **18.20** "ფრაგმენტები სურათისათვის" **19.00** "ოქროს ვექტორი" **19.25** "ჩვენი მისამართია" **20.00** ტაიმ-აუტი **20.55** რაგბი. საქართველო - რუმინეთი (მე2 ტაიმი) **21.45** "ამბობენ" **22.15** ჩემი მშვენიერი ლედი **22.35** შორეული ახლობელი **23.15** ქართ. მხ. ფილმი **"ამაღლება"** **00.40** ტაიმ-აუტი **01.10** მხ. ფილმი **"მილიონ ფუნტი სტერლინგის ბანკნოტი"**

**19.00** მხიარული კარუსელი **19.30** დიზაინი **19.50** შეხვედრები ფიქრის გორაზე **20.30** საქართველოს მატიანე **21.00** დოკ. ფილმი "საუკუნის გიგანტები" **21.50** ვარსკვლავები გვამცნობენ **22.00** შვიდეული **23.00** მხ. ფილმი **"სახალხო რომანი"** ჰიტ-პარადი

**08.00** მუსიკა **09.00** კურიერი **09.20** მულტსერიალი **10.50** სერიალი **"ათასწლეული"** **11.50** სიმფსონები **12.50** მხ.ფილმი **14.35** ველური ამბები **15.05** მხ. ფილმი **17.15** სერიალი **"კოლომბო"** **18.00, 01.00** კურიერი **18.20** სერიალი **"კოლომბო"** **19.00** მხ. ფილმი **21.00** კურიერი **21.45** ჩვენი ეზო **22.00** 60 წუთი **23.00** "ჯეოსელის კინოკლუბი" - **"ჩრდილოეთის ვარსკვლავი"** 877 45-79-25 სიმონა სინიორე, ფილიპ ნუარე, **"ნავი"** 877 45-79-26, იურგენ პროხნოვი, ჰერბერტ გრონმაიერი. **"დაქირავებული პოლიციელი"** 877 45-79-27 ბერტ რეინოლდსი. **01.15** მხ.ფ. **"დაქირავებული მკვლელი"** მთ. რ-ში: ჯეტ ლი. **03.15** კლასიკა.

**08.00** ანონსი, მულტფილმი **08.20** ალსავალი **08.25, 10.15, 12.30, 21.55, 22.50** მუსიკა **08.30** ახალი ამბები **09.00** მხ. ფილმი **"ბოშა"** **10.20** მულტფილმი **12.30** გადაცემა - მურადა (განმეორებით) **13.00** მუსიკალურ ტალღაზე **17.00** ოპერა: მადამ ბატერფლაი **19.30** დოკ. ფილმი **20.00** მხ. ფილმი **"გამოქვაბულის დათვის კლანი"** **22.00** ტელე-სინე-ვიდეო **23.00** მხ.ფ. **"რით დევიმსახურე ეს"** **01.00** ღამის ფილმი

**11.00, 01.20** იმედის მელოდიები **12.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00** ქრონიკა **12.10** მულტფიმლი "ფანტომეტა" - 6 **12.30** ახალგაზრდული სერიალი **"უკიდურესი ზღვარი"**, **"მარცხი"** - 11 **"დიდი ნახტომი"** - 12 **13.10** "არტ-ბულვარი" შოუ-ბიზნესი **13.45** თოქ შოუ "არჩევანი თქვენ" **15.15** სპორტული პროგრამა "ასი" **15.35** ქართული ფილმი **"ზოგი ჭირი მარგებელია"** **17.05** დოკ. სერიალი "ბრძოლა გადარჩენისათვის", "მთის გორილა " - 3 **18.00** სერიალი **"ლაბირინთი"** - **მე-4 სერია** **19.30** სერიალი **"შტოკინგერი"** - 3 **20.30** თამაში "ლარის მახე" **21.00** ქართული სერიალი **"ცხელი ძაღლი"** - 3 **22.00** დროება **22.40** წარსულის ერთი კვირა - 3 **23.05** "მულამები" (ფარული კამერა) **23.30** ახალი ამბების დაიჯესტი **00.28** მხყ ფილმი **"ტომი და ვივი"**

**12.00** მხ. ფილმი **"უძილობა"** **14.00** მხ. ფილმი **"კანზას სიტი"** **16.00** მხ. ფილმი **"კარლიტოს გზა"** **18.00** მუსიკა **19.00** ინდ. მხ. ფილმი **"საუკუნოდ შენი ვარ"** **22.00** მხ. ფილმი **"მის კონგენიალობა"** **00.10** მხ. ფილმი **"ანგელოზის გული"**

**11.00** საბავშვო მუსიკალური კოლაჟი **12.00** თეატრალური შეხვედრები **13.35** თბილისური ოჯახები **14.00** მუსიკალური პაუზა **14.25** მხ. ფილმი **"ღმერთების საჭურველი"** **მე-2** სერია **16.00 - 18.00** რელიგიის საათი **18.00** დოკ. ფილმი **19.00** კითხვების კორიანტელი **19.20** მუსიკალური კოლაჟი **20.00** შეხვედრა ვარსვლავთან **20.20** მოგზაურობა ბავშვობაში **20.40** თავისუფალი მიკროფონი **20.50** თქვენი აზრით **21.00** "კვირის ვესტი" **22.00** "იდენ-ტვ" **22.30** საოცარი პირამიდა **23.30** მხ. ფილმი **"შუაღამის მეორე მხარე"**

**10.00** ტოროლა **13.00** გან. ათეული **13.45** ფილმი **15.45** ფილმი **17.45** ფილმი **19.00, 20.00, 21.00, 22.00** ინფორმატორი **19.15** ქართული მუსიკა **19.30, 20.15** ვიდეორადიო **21.15** ქართული მუსათეული **22.50** კვირის საუკ. ლექსები **23.00** აბა გამოიცანი მელოდია **00.00** ფილმი ბრავო **"მთელი სილამაზით"** მთ. როლში ჯულია რობერტსი **01.50** ფილმი ღამურა **"მიზანი"** **03.45** პაუზის გარეშე

**09.30** დღის ამბები **09.50, 11.50, 17.50, 18.25, 19.50, 21.50, 23.45** მუსიკა **10.00** მხ. სერიალი **"ქვეყნის კიდეზე"** **11.00** გადაცემა "საუბრები სტუდიაში" **12.00** მულტფილმი "უბილეთო მგზავრები ნოეს კიდობანზე" **13.40** მხ. ფილმი **"სრული სისულელე"** **15.35** რუს. მხ. ფილმი **17.30** მხ. ფილმი **"უცხო მიწა"** **19.00** "ბელისიმო". გვინო იამაშიროგუმი. **19.30** გადაცემა "მსოფლიო ფეხბურთი" **20.00** "ოსტატები". დიზაინერი. **20.40** დოკ. სერიალი "ფოტორობოტი" მე-6 ს. **22.00** მარიონეტების ფილმი "ყოჩაღები". "პენსია". **22.15** მხ. ფილმი **"პასეანსი ორისათვის"** **00.30** მხ. ფილმი **"უკანასკნელი გარიგება"**.

**08.00, 03.00** საინფორმაციო დაიჯესტი **08.20** დოკუმენტური ფილმი **09.00, 12.00, 16.00, 19.00** საინფორმაციო გამოშვება **09.15** ისტორიკო-სათავგადასავლო ფილმი **"ახალგაზრდა აივენგოს"** **10.45** «Ñëî âî » საავტორო გადაცემა **11.30** "ყველანი ვართ პატარები" **11.40** მულტსერიალი "ტომი და ჯერი" **12.15** მიუზიკლი **"ჩემი მშვენიერი ლედი"** I-II ს. **15.00** დოკუმენტური ფილმი **16.15** მულტფილმი "ველური გედები" **17.15** კომედია **"ქალთევზა"** **19.30** თრილერი **"კლდე"** **21.40** დოკუმენტური ფილმი **22.00, 00.00** საინფორმაციო გამოშვება **22.30** "Í î âî ñòè â âî ñëðåñåí üå" **23.00** "ქალბატონები" **00.30** "Í î âî ñòè â âî ñëðåñåí üå" **00.50** კომედია **"მკვლელობა გროს-პოინტში"** **03.30** თრილერი **"ლეონი"**

## [illegible]

### [illegible]
[illegible] "[illegible]" [illegible].
[illegible]: 93-11-06

29.03, 30.03 (14.00) საბავშო ზღაპარი "**ყველაზე დიდი სასწაული**". დამდგმელი რეჟისორი — ავთო ვარსიმაშვილი.

28.03, 30.03 (19.00) კინომსახიობთა თეატრის სპექტაკლი "**ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს**". დამდგმელი რეჟისორი — გიორგი მარგველაშვილი.

29.03 (19.00) ჯოსეფ ოზბორნი "**კომედიანტები**". დამდგმელი რეჟისორი — ავთო ვარსიმაშვილი.

26.03, 27.03 (19.00) პრემიერა "**სამი პიესა**". დამდგმელი რეჟისორი — ლელა ჭინჭარაული.

*ფასი 5 ლარი.*

### თეატრალური სარდაფი
რუსთაველის გამზ. 42. ტ. 99-95-00

25.03 (20.00) რალფ კნიგი "ETCETERA". დამდგმელი რეჟისორი — ლევან წულაძე.

26.03 (20.00) ბომარშე "**ფიგაროს ქორწინება**". დამდგმელი რეჟისორი — ლევან წულაძე.

27.03 (20.00) ჟან — ჟაკ ბრიკერი, მორის ლეგასი "**ინსტინქტი**". დამდგმელი რეჟისორი — ოთარ ეგაძე.

28.03 (20.00) სამუელ ბეკეტი "**გოდოს მოლოდინში**". დამდგმელი რეჟისორები: ნიკა კიკაჩეიშვილი, გია ბარაბაძე.

29.03 (20.00) ალექსი ოსტროვსკი "**ბალზამინოვის ქორწინება**". დამდგმელი რეჟისორი — ნინო ლიპარტიანი.

30.03 (20.00) რ. აკუტაგავა "**უსიერ ტყეში**". მონო სპექტაკლი ზვიად სხირტლაძის მონაწილეობით. დამდგმელი რეჟისორი — ნინო შოთაძე.

*[illegible] 5 [illegible].*

### ნოდარ დუმბაძის სახელობის ცენტრალური საბავშვო თეატრი
აღმაშენებლის 99/1 ტ. 96-09-03

დიდი დარბაზი

24.03 (12.00) ჰანს კრისტიან ანდერსენი "**თოვლის დედოფალი**", რუსულ ენაზე. დამდგმელი რეჟისორი — გია კიტია.

25.03 (12.00), 26.03 (15.00) ჰანს კრისტიან ანდერსენი "**თოვლის დედოფალი**", ქართულ ენაზე. დამდგმელი რეჟისორი — გია კიტია.

*ფასი 2 ლარი.*



### სანდრო ახმეტელის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი
ვეკუას ქ.8 ტ. 62-61-97

24.03(18.00) ფრიდრიხ დიურენმატი "**მეორედ მოსვლა, ანუ ვიზიტი**". დამდგმელი რეჟისორი — დავით ანდღულაძე.

29.03 (15.00) "**ზღაპარ იყო-ზღაპარ იყო** ". დამდგმელი რეჟისორი — ოთარ ბაღათურია.

*ფასი 3 ლარი.*

### პანტომიმის თეატრი
რუსთაველის გამზ. 37. ტ. 98-25-

25.03 (18.00) ვაჟა — ფშაველას "**სტუმარ — მასპინძელი**". დამდგმელი რეჟისორი — ამირან შალიკაშვილი.

28.03 (18.00) "**კრიმანჭული**", პანტომიმური ნოველები. დამდგმელი რეჟისორი — ამირან შალიკაშვილი.

*[illegible] 3 [illegible].*



### კოტე მარჯანიშვილის სახელობის აკადემიური თეატრი
მარჯანიშვილის ქ. 8 95-55-00

29.03 (18.00) იასმინა რიზა "ART", „**ხელოვნება**". დამდგმელი რეჟისორი — თემურ ჩხეიძე.

30.03 (18.00) თეოდორ დოსტოევსკი "**მარადი ქმარი**". დამდგმელი რეჟისორი — თემურ ჩხეიძე.

### [illegible]
[illegible]. [illegible] [illegible]. 10

**შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სპექტაკლები**

28.03 (18.00) ლაშა თაბუკაშვილი "**მერე რა, რომ სველია სველი იასამანი**". დამდგმელი რეჟისორები: რობერტ სტურუა, დავით სანიკიძე.

29.03 (18.00) ილია ჭავჭავაძე "**კაცია — ადამიანი?!**". დამდგმელი რეჟისორები: რობერტ სტურუა, ანდრო ენუქიძე.

30.03 (18.00) უილიამ შექსპირი "**ჰამლეტი**". დამდგმელი რეჟისორი — რობერტ სტურუა.

*[illegible] 5-10 [illegible].*

### თეატრი "ძველი სახლი"
### თბილისის მუნიციპალური "მეტეხის თეატრი"
მეტეხის აღმართი №1 ტ.77-04-64

28.03(18.00) თეოდორ დოსტოევსკი "**იდიოტი**". დამდგმელი რეჟისორი — სანდრო მრევლიშვილი.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა"!

კალენდარი

# რეგულარული სეზონის ფინიშზე

კალათბურთელ ვაჟთა XII ეროვნული ჩემპიონატი რომ ახალი სისტემით ტარდება, უკვე ცნობილია გულშემატკივართათვის. სამწუხარო მხოლოდ ის გახლავთ, რომ ვერც ნოვატორულმა ნაბიჯმა შეუნარჩუნა ინტრიგა I ეტაპს — კვლავაც ბევრია ისეთი მატჩების რაოდენობა, ცალ კალათში მიმდინარეობსო, რომ იტყვიან. თუმცა, ვიმედოვნებთ, „პლეი-ოფების“ დაწყებასთან ერთად ვერის ბაღის, რუსთაველისა და ბათუმის კოპწია დარბაზებში შეკრებილი ქომაგები საინტერესო სანახაობის მოწმენი გახდებიან — საპრიზო ადგილებზე და, უფრო მეტიც, ოქროს მედლებზე საფუძვლიან პრეტენზიას ხომ 4-5 დაახლოებით თანაბარძალოვანი კლუბი აცხადებს. მანამდე კი გთავაზობთ XII ეროვნული ჩემპიონატის IV წრის კალენდარს.

## კალათბურთში ვაჟთა 2003 წლის XII ჩემპიონატის კალენდარი

IV წრე

**30 მარტი — კვირა**
109. სსუ — სტუ-ჯეოსელი — 13.00
110. დინამო — აკადემია — 14.45
111. აზოტი — მაკაბი — 17.00
112. ბასკო — თსუ — 18.00

**31 მარტი — ორშაბათი**
113. მაკაბი — სსუ — 13.00
114. სტუ-ჯეოსელი — დინამო — 14.45
115. აკადემია — აზოტი — 16.30
116. ქუთაისი — თსუ — 17.00

**7 აპრილი — ორშაბათი**
117. დინამო — სსუ — 11.00
118. აკადემია — ბასკო — 12.45
119. თსუ — სტუ-ჯეოსელი — 14.30
120. მაკაბი — ქუთაისი — 16.15

**8 აპრილი — სამშაბათი**
121. აკადემია — ქუთაისი — 11.00
122. სსუ — თსუ — 12.45
123. სტუ-ჯეოსელი — მაკაბი — 14.30
124. აზოტი — ბასკო — 16.00

**12 აპრილი — შაბათი**
125. მაკაბი — აკადემია — 13.00
126. დინამო — თსუ — 14.45
127. სსუ — აზოტი — 16.30
128. ბასკო — სტუ-ჯეოსელი — 18.00

**13 აპრილი — კვირა**
129. სსუ — აკადემია — 14.00
130. მაკაბი — თსუ — 15.45
131. ქუთაისი — სტუ-ჯეოსელი — 17.00

**15 აპრილი — სამშაბათი**
132. აზოტი — დინამო — 17.00

**18 აპრილი — პარასკევი**
133. სტუ-ჯეოსელი — აკადემია— 13.00
134. თსუ — აზოტი — 14.45
135. მაკაბი — ბასკო — 16.30

**19 აპრილი — შაბათი**
136. აკადემია — თსუ — 11.00
137. დინამო — მაკაბი — 12.45
138. აზოტი — ქუთაისი — 16.00

**22 აპრილი — სამშაბათი**
139. აზოტი — სტუ-ჯეოსელი — 16.00

**23 აპრილი — ოთხშაბათი**
140. ქუთაისი — დინამო — 16.00
141. ბასკო — სსუ — 18.00

**24 აპრილი — ხუთშაბათი**
142. ქუთაისი — სსუ — 15.00
143. ბასკო — დინამო — 17.00

**25 აპრილი — პარასკევი**
144. ბასკო — ქუთაისი — 16.00.

მოულოდნელი რაკურსით

# ფეხბურთის გამო გადადებული ვახშამი



**ეს არწივი ძალიან მაღლა აფრინდაო, სწორედ რომ, საქართველოს კონტროლის პალატის მინიფეხბურთელთა გუნდზეა ნათქვამი, რომელმაც სამშობლოში პირველობა არ იკმარა და უკვე ჩემპიონთა ლიგაშიც მოასწრო ღირსეულად ასპარეზობა. ჩვენი მკითხველი კარგად არის ინფორმირებული, რომ ეს წარმატებები გარკვეულწილად თავმჯდომარის მოადგილის — ზურაბ დვალის სახელს უკავშირდება, რომელიც ერთგვარ კურატორობას უწევს მობურთალ კოლეგებს. მაგრამ პირველი პირის დაინტერესებისა და მზრუნველობის გარეშე საბიუჯეტო ორგანიზაციის წარმომადგენლებს, დაგვეთანხმებით, ასეთ მიღწევებზე ოცნებაც კი გაუჭირდებოდათ.**

— ყველაფერი ჩვენთან გელა ინალიშვილის, ხოლო მოგვიანებით გრიგოლ ცაავას მოსვლით დაიწყო, რომლებმაც საუწყებათაშორისო ტურნირში მონაწილეობისათვის გუნდის შექმნა შემოგვთავაზეს. ეს ხუთი წლის წინათ მოხდა. დებიუტანტის კვალობაზე დაკავებულმა საპატიო მეორე ადგილმა (გამარჯვება ტრადიციულმა ფავორიტებმა — რკინიგზელებმა მოიპოვეს) საკუთარი ძალების რწმენა შეგვმატა და დასაბამი მისცა შემდგომ აღიარებას — მეუბნება ქვეყნის კონტროლის პალატის თავმჯდომარე, მთავრობის ერთ-ერთი ყველაზე ახალგაზრდა წევრი **სულხან მოლაშვილი,** რომელიც სპორტის ამ სახეობის ეროვნული ფედერაციის საპატიო პრეზიდენტიც გახლავთ.

— ლონდონის „ჰაიბერის“ სტადიონზე „არსენალის“ თამაში მაქვს ნანახი, გერმანიაში კი იქაურ კოლეგას ვახშამი გადავადებინე, რათა დორტმუნდში „ბორუსიასა“ და ჩემი საყვარელი კლუბის — მიუნხენის „ბაიერნის“ მატჩს დავსწრებოდი. წარმოიდგინეთ, როგორ გავოცდებოდი, როცა ბავარიელთა ფანატებმა გუცაევისა და შენგელიას გვარები დამისახელეს — ესეც ბატონი სულხანის სიტყვებია.

**— გულშემატკივრობა როდიდან იღებს სათავეს?**

— ბავშვობიდანვე. დიდუბეში, ფოთის ქუჩაზე ვცხოვრობდით და როცა მამას არ მივყავდი სტადიონზე, მაშინდელი გაბარიტები საშუალებას მაძლევდა გისოსების წინაღობა თავისუფლად დამეძლია. კოლექციაში „ჰამბურგის“ განთქმული მცველის მანფრედ კალტცის სავარჯიშო მაისურიც მაქვს, ხოლო როცა ყიფიანი იღებდა ტრავმას, გულამოსკვნილი ვტიროდი. აღარაფერს ვამბობ მატჩისწინა პერიოდზე, როცა ჩვენს ოჯახში შეკრებილი ნათესავები ნარდითა და „მსუბუქი ვახშმით“ იქცევდნენ თავს. ალბათ, მიხვდებით, როგორი სერიოზული დატვირთვით უწევდა სტუმართა გამასპინძლება დედაჩემს. აქვე ერთ ფაქტსაც გავიხსენებ: ცნობილი ამბავია, თუ როგორი აჟიოტაჟი მოჰყვა საქართველოში ვლადიმერ მასლაჩენკოს გამონათქვამს — ყიფიანი გავრილოვის სტილში თამაშობსო. მოხდა ისე, რომ მალე ეს კომენტატორი დედის მეგობრის შვილმა, საკავშირო ტელევიზიის სპორტული რედაქციის თანამშრომელმა ვალერი კუზნეცოვმა გაგვაცნო. ბუნებრივია, მამამ ისარგებლა შემთხვევით და უკვე ნახსენები შედარებისათვის მასლაჩენკოს უსაყვედურა კიდეც. ეტყობა, მასში სინდისის ქენჯნამ გაიღვიძა და ერთ-ერთ უახლოეს „ფუტბოლნოე ობოზრენიეში“ საკუთარი დანაშაულის გამოსასყიდად მტკნარი სიცრუე იკადრა — თბილისიდან თამაზ მოლაშვილი რეკავს და შუმახერის (იმხანად ტრავმირებული გერმანელი მეკარის) ჯანმრთელობის მდგომარეობას კითხულობსო. მეზობლები გაკვირვებულნი იყვნენ და მამაჩემს ეუბნებოდნენ — გაბელია მაინც მოგეკითხა, შუმახერი რამ გაგახსენაო.

**— ეს, ასე ვთქვათ, თეორია. პრაქტიკულ სპორტულ წარსულზე რას გვეტყვით?**

— თავიდან მცირე ხნით ნიკა ამირეჯიბი მავარჯიშებდა ფეხბურთში, შემდეგ ცურვაზე დავდიოდი „დინამოზე“ და ბრასში I თანრიგის ნორმატივი შევასრულე, ყველაზე დიდი სტაჟი კი საკალათბურთო ცხოვრებაში დავაგროვე — „ლოკომოტივში“ ჩემი მწვრთნელები რომა ჩალაბოვი და შალვა ცომაია იყვნენ. საერთო ფიზიკურ მომზადებას რკინიგზელთა სახლში გავდიოდით, თამაშები კი სპორტის სასახლის მცირე დარბაზში გვქონდა. მე სასტარტო ხუთეულის წევრი ვიყავი და შეუპოვრად ვებრძოდით როგორც „ნორჩ დინამოელს“, ისე „მართვეს“. მეტიც — ძალებს საკავშირო სარბიელზეც ვცდიდით. ეს თავისებური ცხოვრებისეული აკადემია იყო — გვიძლიერდებოდა პასუხისმგებლობის გრძნობა, გვიყალიბდებოდა ურთიერთგატანის უნარი და ვეჩვეოდით დამოუკიდებლად აზროვნებას. ასევე ტკბილად ვიხსენებ „ნორჩ დინამოელში“ გატარებულ პერიოდს, სადაც ლევან ინწკირველი და ჯამლეტ ხუხაშვილი მავარჯიშებდნენ. იქვე პარალელურად თბილისის „დინამოს“ ვარჯიშებსაც ვესწრებოდი. ამასობაში უმაღლესი განათლების მიღების დროც მოვიდა — სარატოვის იურიდიულ ინსტიტუტშიც კალათბურთს ვუერთგულე (რასაკვირველია, სტუდენტურ დონეზე), ხოლო შემდეგ ჯარი — ჩემით მოვინდომე ავღანეთში წასვლა. ოჯახში ატეხილი აურზაურის შემდეგ ყველაფერი სადესანტო ნაწილში ჩარიცხვით დასრულდა, თუმცა მანამდე ბოლნისის აეროპორტში სამჯერ გადმოვხტი „ღ5“ საბჭოთა პარაშუტით (სხვათა შორის, ათამდე ნახტომი სამხედროშიც განვახორციელე). ასე რომ, თანრიგოსნის ნორმატივი სპორტის ამ სახეობაშიც მაქვს შესრულებული (საამისოდ 3 ნახტომია საჭირო).

**— თქვენი ვაჟები — ბაკური და ბუბა თუ არიან ჩაბმულნი სპორტში?**

— ორივენი ცურავენ, უფროსი კალათბურთზეც დადის. მოკლედ, ოჯახური ტრადიცია გრძელდება.

* * *

**საუბრის ბოლოს კონტროლის პალატის შეფმა უახლოესი პროექტიც გამანდო:**

**— ჩემი უკრაინელი კოლეგის, მეგობარი ქვეყნის ალპინიზმის ფედერაციის თავკაცის, ევერესტის დამპყრობ ვალენტინ სიმონენკოს წინადადებით წლეულს ზაფხულში განზრახული გვაქვს მყინვარწვერზე ერთობლივი ქართულ-უკრაინული ექსპედიციის მოწყობა.**

**გია პლატონიშვილი.**

ათლეტიზმი

# ივარჯიშეთ ჩვენთან ერთად

## დიპლომირებული სპეციალისტი II ნაწილი

ათლეტიზმი საქართველოში სპორტის შედარებით ახალი სახეობაა. მის მწვრთნელებად ძირითადად ძალოსნობის მწვრთნელები და თვითნასწავლი ათლეტები, მათ შორის წარსულში ცნობილი სპორტსმენები მუშაობენ.



1

უკანასკნელ წლებში მწვრთნელთა რიგები საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიის კურსდამთავრებულებით შეივსო. ერთ-ერთი მათგანი **გრიგოლ ნიკოგოსოვი** (დაიბადა 1980 წელს) საკუთარ ოსტატობასა და გამოცდილებას თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ათლეტიზმის სექციის მოყვარულ სპორტსმენებს უზიარებს.

გთავაზობთ მხრის სამთავა კუნთების (ტრიცეპსების) ვარჯიშს გრიგოლ ნიკოგოსოვის შესრულებით.

**1. ტრენაჟორის ბლოკის სახელურის აქაჩვა ტრიცეპსების ძალით (სურ. 1).** სრულდება 6 მისვლა 12-12 გამეორებით.

**2. ტრენაჟორის ბლოკის დერძის ჩამოწევა ვიწრო ჭიდით (სურ. 2).** სრულდება 6 მისვლა 10-10 გამეორებით.

**3. ტრენაჟორის ბლოკის სახელურის ჩამოწევა ხელების მონაცვლეობით (სურ. 3).** თითოეული ხელისათვის სრულდება 4-4 მისვლა 12-12 გამეორებით.

**4. ტრენაჟორის ბლოკის სახელურის ამოწევა ხელების მონაცვლეობით (სურ. 4).** თითოეული ხელისათვის სრულდება 4-4 მისვლა 12-12 გამოერებით.

**ზურაბ ჭავჭანიძე.**
**გენადი სანაიას ფოტო.**



2



3



4

ფეხბურთი

# მხოლოდ შედეგები

**საქართველოს ჩემპიონატი. საუკეთესო ექვსეული.** „დინამო“ — „ვიტ ჯორჯია“ 3:1, „ტორპედო“ — „კოლხეთი“ 0:0, „სიონი“ — „ლოკომოტივი“ 2:1. **VII-XII ადგილები.** „დილა“ — „გორდა“ 0:0, „ბათუმი“ — „მილანი“ (წნორი) 2:0, „მეტალურგი“ — „მერანი“-ოლიმპი“ 0:4.

**იტალია.** „მილანი“ — „იუვენტუსი“ 2:1, „მოდენა“ — „რეჯინა“ 2:1.

**ესპანეთი.** „რაიო ვალეკანო“ — „ატლეტიკო“ 0:0.

**გერმანია.** „ბაიერნი“ — „ჰანზა“ 1:0, „შალკე“ — „მიუნხენი“ 1:1, „გლადბახი“ — „ჰამბურგი“ 2:0, „ვერდერი“ — „ჰანოვერი“ 1:2, „ვოლფსბურგი“ — „ბოხუმი“ 2:0, „ბილეფელდი“ — „ბორუსია“ 0:0, „კაიზერსლაუტერნი“ — „ლევერკუზენი“ 1:0.

**ინგლისი.** „მანჩესტერი“ — „ფულჰემი“ 3:0, „ჩელსი“ — „სიტი“ 5:0. „მიდლსბრო“ — „ჩარლტონი“ 1:1, „ვესტ ჰემი“ — „სანდერლენდი“ 2:0, „ბირმინგემი“ — „ვესტ ბრომვიჩი“ 1:0, „საუთჰემპტონი“ — „ასტონ ვილა“ 2:2, „ნიუკასლი“ — „ბლექბერნი“ 5:1.

**საფრანგეთი.** „მონპელიე“ — „მარსელი“ 1:2, „ლილი“ — „ბასტია“ 1:1, „ოსერი“ — „ლანსი“ 0:0, „ჰავრი“ — „მონაკო“ 0:3, „ბორდო“ — „ნანტი“ 0:0, „აიაჩო“ — „რენი“ 1:0, „პარი სენ-ჟერმენი“ — „სედანი“ 2:0, „სტრასბური“ — „სოშო“ 1:3, „გენგამი“ — „ტრუა“ 2:0.

**პორტუგალია.** „ბენფიკა“ — „სანტაკლარა“ 1:0.

**ჰოლანდია.** „ფეიენოორდი“ — „ჰერენვენი“ 5:0, „როდა“ — „ნაიმეგენი“ 2:1, „როზენდალი“ — „ვიტესი“ 3:1, „ტვენტე“ — „ვალვაიკი“ 2:1, „ალკმაარი“ — „გრააფსხაფი“ 3:1.

**ბელგია.** „ანტვერპენი“ — „ლოკერენი“ 1:2, „გენტი“ — „ბეერსხოტი“ 1:0, „სტანდარდი“ — „ლომელი“ 4:0, „შარლერუა“ „ლიერსი“ 0:1, „გენკი“ — „მონსი“ 2:0, „მუსკრონი“ — „სენტ ტრუიდენი“ 1:2.

**საბერძნეთი.** „აკრატიტოსი“ — „იონიკოსი“ 1:0, პაოკ-აეკ 0:1.

**ჩეხეთი.** „ზლინი“ — „სლავია“ 1:1.

**პოლონეთი.** „პოლონია“ — „ვიძევი“ 1:0, „ოდრა“ — „გარბარნია“ 4:0, „ამიცა“ „პლოცკი“ 2:2, „ვისლა“ — „ზაგლემბიე“ 4:1, „ოსტროვეცი“ — „რუხი“ 0:2, „კატოვიცე“ — „ლეხი“ 1:0, „პოგონი“ — „ლეგია“ 0:4. დანია. „ბრონდბიუ“ — „სილკებორგი“ 2:0.

**თურქეთი.** „მალათია“ — „ადანა“ 1:0, „ანკარა“ — „სამსუნი“ 3:2, „დიარბაქირი“ — „ისთანბული“ 1:1, „ფენერბახჩე“ — „ალთაი“ 0:1.

**ავსტრია.** „ადმირა“ — „რიდი“ 0:1, „ბრეგენცი“ — „აუსტრია“ 1:2, „გრაცერი“ — „კერნტენი“ 3:0, „პაშინგი“ — „ზალცბურგი“ 0:1.

**შვეიცარია.** „ვილი“ — „სერვეტი“ 1:1, „იანგ ბოიზი“ — „ქსამაქსი“ 3:1, „ბაზელი“ — „გრასხოპერსი“ 2:2.

**რუსეთი.** „როტორი“ — ცსკა 1:2, „რუბინი“ — „ტორპედო-მეტალურგი“ 1:0, „ჩერნომორეცი“ — „ურალანი“ 1:1, „ლოკომოტივი“ — „ზენიტი“ 1:2.

გამოი რეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

## სიმართლე კი ასეთია

# 60 წლის წინათ

*პლატონი ჩემი მეგობარია, მაგრამ ჭეშმარიტება უფრო დიდი მეგობარია.*
**არისტოტელე**

**გერმანელმა ფაშისტებმა ოთხი კიევის დინამოელი ფეხბურთელი ნიკოლოზ ტრუსევიჩი, ალექსი კლიმენკო, ივან კუზმენკო და ნიკოლოზ კოროტკიხი დახვრიტეს. ამ ფეხბურთელებს მძიმე განაჩენი ფაშისტებმა მას შემდეგ გამოუტანეს, როცა კიევის „დინამომ" 1942 წლის ზაფხულში, ოკუპირებულ კიევში ერთ-ერთ სტადიონზე (შემდეგში ამ სტადიონს „ავანგარდი" ეწოდა) გერმანელთა სამხედრო ავიაციის საფეხბურთო კლუბი „ლიუფტვაფფე" დაამარცხა, ანგარიშით — 5:3. ამ მატჩს შემდეგ „სიკვდილის მატჩი" უწოდეს.**

* * *

ბატონ გიორგი ბეზირგანს — ჟურნალისტს, ისტორიული მემუარების ავტორს დიდ პატივს ვცემ. ყურადღებით ვეცნობი მის ნაწერებს პრესის ფურცლებიდან. მისი ნამოღვაწარი დიდი ინტერესით იკითხება. იგი ამ რამდენიმე წლის წინათ გავიცანი კიდეც თბილისში, გაზეთ „ასავალ-დასავალის" რედაქციაში. დიდხანს ვისაუბრეთ.

...გასული წლის ოქტომბერში ბატონმა გიორგიმ „რაო-რაო?"-ს №39 ფურცლებზე პასუხი გასცა ფეხბურთის გულშემატკივარს. ბატონ ლეონიდ შენგელაიას შეკითხვას „სიკვდილის მატჩთან" დაკავშირებით. ფეხბურთის გულშემატკივარი ასეთ კითხვას სვამს:

— „ამას წინათ რუსეთის ტელევიზიის ერთ-ერთი არხით ვნახე სიუჟეტი, რომელიც ოკუპირებულ კიევში გენმანელთა გუნდის და კიევის „დინამოს" ფეხბურთელთა შეხვედრის — ე. წ. „სიკვდილის მატჩის" 60 წლისთავს ეძღვნება. ფაშისტების მხეცობაზე ბევრი რამ არის ცნობილი, მაგრამ ნუთუ ეს ფეხბურთელები მხოლოდ იმიტომ დახვრიტეს, რომ გერმანელებს მოუგეს?"

ბატონი გიორგის პასუხის (სტატიის) სათაურია „ჩატარდა კი „სიკვდილის მატჩი?"

სათაურიდან ჩანს, რომ ბატონი გიორგი ეჭვქვეშ აყენებს აღნიშნული მატჩის რეალობას. მოვიყვან ნაწყვეტებს აღნიშნული პასუხიდან და შემდეგ შევეცდები მათზე საფუძვლიან კომენტარს. მაშ ასე, მოვუსმინოთ ბატონ გიორგის:

— „ე. წ. „სიკვდილის მატჩი" ისეთივე საბჭოთა მითია, როგორც, მაგალითად, პავლიკ მოროზოვის ისტორია (დღესაც არავინ იცის, სინამდვილეში ვინ და რისთვის მოკლა ეს ბიჭუნა).

...მატჩს, რომელზეც ჩვენ ვსაუბრობთ, გერმანელებმა „მატჩ-რევანში" უწოდეს. იგი 1942 წლის ზაფხულში გაიმართა და კიეველებისათვის მართლაც მძიმე ვითარებაში მიმდინარეობდა — გერმანელი ოფიცრებითა და ჯარისკაცებით სავსე, თითქოს დენით დამუხტული ტრიბუნები, გერმანელი მსაჯი და საოკუპაციო ხელისუფლების ზეწოლა, რომელიც კიეველებისაგან მატჩის წაგებას მოითხოვდა. ტრუსევიჩმა, ამის მიუხედავად, მართლაც აიღო „სასიკვდილო" პენალტი, მაგრამ „მესამე ტაიმი" ანუ დახვრეტა ამ თამაშს არ მოჰყოლია. ფეხბურთელები პურის ქარხანაში დააბრუნეს, სადაც მუშაობა გააგრძელეს.

გამოდის, არავინ დაზარალებულა? არა, დაზარალდა. მაგრამ ეს მატჩიდან რამდენიმე თვის შემდეგ მოხდა. ტრუსევიჩი და „დინამოს" კიდევ სამი მოთამაშე პარტიზანების მორიგი დივერსიის შემდეგ ათეულობით მშვიდობიან კიეველებთან ერთად მძევლებად დახვრიტეს.

...ყველაზე საინტერესო ამბები კიევის გათავისულების შემდეგ მოხდა. „დინამოს" ფეხბურთელები „სიკვდილის შემდეგ" გმირებად გამოაცხადეს, მაგრამ... ისინი ცოცხლები იყვნენ. და აი, დაიწყო მთელ უკრაინაში დინამოელთა ძებნა. საქმეში შინსახკომიც ჩაერთო, გასაგებია, რა მიზნით. ამ „ნადირობამ" ნაწილობრივ შედეგი გამოიღო — რამდენიმე ადამიანი აღმოაჩინეს. ისინი, სავარაუდოდ, შორეულ ბანაკებში დაიღუპნენ. სხვები საგულდაგულოდ შეინიღბნენ, გვარები გამოიცვალეს და წლების განმავლობაში გამუდმებით იცვლიდნენ ადგილ-სამყოფელს. ამჟამად „მატჩ-რევანშის" მონაწილე არც ერთი კიეველი ფეხბურთელი ცოცხალი აღარ არის".

ვეთანხმები ჩემს კეთილ და განათლებულ ოპონენტს იმ საკითხში, რომ აღნიშნული მატჩი („სიკვდილის მატჩი") კიეველი ფეხბურთელებისათვის მეტად არახელსაყრელ ვითარებაში გაიმართა (ოკუპირებული კიევი, დღე და ღამე თავდაუზოგავად მომუშავე, არაქათგამოცლილი კიეველი ფეხბურთელები, გერმანელი მსაჯი, ზეწოლა ფაშისტებისაგან), მაგრამ ამ სიტუაციაში გამარჯვების მოპოვება ხომ კიევის დინამოელთა მედგარ სულზე და შეუდრეკელობაზე მეტყველებს?! (და არა მარტო კიეველთა პროფესიონალობაზე და გერმანელთა მოყვარულობაზე, როგორც ამას ბატონი გიორგი ბრძანებს).

მატჩი გაიმართა. ამის ალტერნატივა არ არსებობს. ეს იყო რეალობა.

ვერ დავეთანხმები ბატონ გიორგის ვერც ერთი მის მიერ ჩამოთვლილი საკითხების მოტივირებაში, რომელიც კიეველ ფეხბურთელთა შემდგომ ბედიღბალს უკავშირდება. ეს ისტორიის აშკარა გაყალბებაა. არავითარი დევნა ფეხბურთელთა მიმართ არ ყოფილა; არავითარ შენიღბვასა და გვარების გამოცვლას ადგილი არ ჰქონია. არავინ გადაუსახლებიათ და არც არავინ შორეულ ბანაკებში გარდაცვლილა. მე შევეცდები ყველა აღნიშნული საკითხი დავაკონკრეტო, ყველაფერს თავისი ადგილი მივუჩინო.

**პირველი:** აღნიშნული საფეხბურთო შეხვედრა — „სიკვდილის მატჩი" შედგა კიევში, 1942 წლის ზაფხულში და დამთავრდა იგი კიეველთა გამარჯვებით — 5:3, წარმოგიდგენთ ამ მატჩში კიეველთა შემადგენლობას: ნიკოლოზ ტრუსევიჩი, ალექსი კლიმენკო, ივან კუზმენკო, მიხეილ სვირიდოვსკი, ნიკოლოზ კოროტკისი, თევდორე ტიუტჩევი, მიხეილ პუტისტინი, ვასილ სუხარევი, ვლადიმერ ბალაკინი, მიხეილ მელნიკი და მაკარ გონჩარენკო.

აქედან ოთხი ფეხბურთელი, როგორც უკვე მოგახსენეთ, 1943 წელს დახვრიტეს.

**მეორე:** სწორედ ამ ოთხი ფეხბურთელის (ნ. ტრუსევიჩი, ა. კლიმენკო, ი. კუზმენკო, ნ. კოროტკიხი) ძეგლი-ჰორელიეფია აღმართული კიევის „დინამოს" შესასვლელთან. მე ეს სკულპტურული ნამუშევარი ნანახი მაქვს უკრაინის დედაქალაქში.

**მესამე:** არავითარი დევნა სიკვდილსგადარჩენილი ფეხბურთელების მიმართ არ ყოფილა, უფრო მეტიც. 1966 წლის 5 აგვისტოს გაზეთმა „სოვეტსკი სპორტმა" (№182) გამოაქვეყნა სტატია სათაურით „ჯილდო გმირებს", რომელშიც ნათქვამია, რომ „სიკვდილის მატჩის" მონაწილე დახვრეტილი ფეხბურთელები საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით დაჯილდოვდნენ მედლებით „მამაცობისათვის", ხოლო მაკარ გონჩარენკო, მიხეილ მელნიკი, მიხეილ სვირიდოვსკი, ვლადიმერ ბალაკინი და ვასილი სუხარევი დაჯილდოვდნენ მედლებით „საბრძოლო დამსახურებისათვის".

**მეოთხე:** 1948 წელს კიევის გამომცემლობამ „მისტეცტვო" გამოსცა შესანიშნავად ილუსტრირებული წიგნი „დინამო კიევი". სხვა ფოტოებთან ერთად ამ წიგნში წარმოდგენილია ფოტო, რომელიც გადაღებულია 1968 წელს კიევის ერთ-ერთ სპორტულ გაზეთის რედაქციაში. მასზე, სხვებთან ერთად, აღბეჭდილნი არიან „სიკვდილის მატჩის" მონაწილე, ჭეშმარიტად გმირი ფეხბურთელები მაკარ გონჩარენკო და ვლადიმერ ბალაკინი.

**მეხუთე:** ამავე წიგნში არის ფოტო, რომელზეც ასახულია მაკარ გონჩარენკო (შუაში) ვ. პრავოვეროვთან (მარცხნივ) და ა. იძკოვსკისთან (მარჯვნივ) ერთად, სწორედ დაღუპული მეგობრების ჰორელიეფთან **(ფოტო №1)**.

**მეექვსე:** მე პირადად შენახვედრი ვარ „სიკვდილის მატჩის " მონაწილე მაკარ გონჩარენკოსთან. ეს მოხდა 1971 წლის 18-21 ნოემბერს, თბილისში „ლოკომოტივის" სტადიონზე შოთა იამანიძის ხსოვნისადმი მიძღვნილ ტურნირზე. ამ ღონისძიებაში მონაწილეობდნენ თბილისის, მოსკოვის, ლენინგრადისა და კიევის ფეხბურთელთა გუნდები. გამარჯვებულები გახდნენ თბილისელები. ამ ტურნირზე კიეველ მაკარ გონჩარენკოს გადაეცა სპეციალური პრიზი (საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის სპეციალური პრიზი), როგორც ტურნირის ყველაზე ხნიერ წევრს (იგი მაშინ 59 წლის გახლდათ). წარმოგიდგენთ ორ ფოტოს, რომელიც 1971 წლის ნოემბერშია გადაღებული. ისინი ჩემმა მეგობარმა, თანაკლასელმა და ნათლულმა შოთა ნადირაძემ გადაიღო. **№2 ფოტოზე** თეთრ მაისურში მაკარ გონჩარენკოა. **№3 ფოტოზე** ეს ფეხბურთელი მჯდომარე ოთხეულთა შორის მარცხნიდან მეორეა. ეს ფოტოსურათები ახლა ჩემს საოჯახო არქივშია.

აღნიშნულ ტურნირზე, მე (მაშინ 22 წლის გახლდით) ინტერვიუ ავიღე მასში მონაწილე ფეხბურთელებისაგან. ჩემი ინტერვიუერები გახლდნენ სლავა მეტრეველი, მიხეილ მესხი, სერგო კოტრიკაძე, ანატოლი მასლიონკინი, ანატოლი კრუტიკოვი და ვლადიმერ კესარევი. სტატია სათაურით „სამი შეკითხვა ვეტერან ფეხბურთელებს" გამოქვეყნდა იმავე წლის პირველ დეკემბერს გაზეთ „ქუთაისში" და შემდეგ შევიდა ჩემს წიგნში „რეტრო"... სხვებთან ერთად მეც დიდხანს ვესაუბრე მაკარ გონჩარენკოს. სამწუხაროდ, ამ საუბრისათვის საგაზეთო ინტერვიუს სახე არ მიმიცია.

ეს გახლავთ რეალური სურათი ამ ისტორიული გმირული მატჩისა და მისი შემდგომი პერიპეტიებისა.

**ნუგზარ მჭედლიშვილი.**



1



2



3

## ფარიკაობა

# კეთილი ადამიანები ეიმედებათ

**გუშინწინ თბილისის ფარიკაობის დარბაზში დამთავრდა 1983 წელს და უფრო გვიან დაბადებულ მოფარიკავეთა საქართველოს პირველობა. უკვე გაუწყეთ რაპირაში გამარჯვებულთა და პრიზიორთა ვინაობა როგორც გოგონებში, ისე ვაჟებში.**

ფრიად დაძაბული გამოდგა მოხმალავეთა ორთაბრძოლები. ნახევარფინალში ბათუმელმა ირაკლი ზამბახიძემ მხოლოდ ქულით (15:14) აჯობა თბილისელ დავით მთვარელიძეს. ასევე ერთი ჩხვლეტით მოუგო თბილისელმა ნიკოლოზ ბასხოლიანმა ბათუმელ ლაშა მიქელაძეს, სამაგიეროდ, საკმაოდ იოლად სძლია ზამბახიძეს — 15:8 და კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა. ბრინჯაოს მედლები მთვარელიძეს და მიქელაძეს ხვდათ.

დაშნაში პაექრობა გოგონათა შორის ქუთაისელთა უპირატესობით წარიმართა. ნახევარფინალში რიონისპირელებს ერთბაშად სამი წარმომადგენელი ჰყავდათ. ფინალშიც ისინი შეხვდნენ ერთმანეთს. ნანა დეისაძემ თბილისელ ქეთი სილაგაძეს სძლია — 15:12, ანა აბრამიშვილმა თამარ მურღულია დაამარცხა — 15:5. გამოცდილმა აბრამიშვილმა გადამწყვეტ ორთაბრძოლაში დეისაძესაც დააყრევინა ფარხმალი (15:8) და პირველობაც მას ერგო. სილაგაძე და მურღულია მესამე ადგილებზე გავიდნენ.

ვაჟებში საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: 1. თამაზ თევზაძე (თბილისი), 2. გიორგი ნადარაია (ქუთაისი), 3. ზურაბ შენგელია (ბათუმი) და ლევან გიორგაძე (ქუთაისი).

— მართალია, ჩვენს მოფარიკავეებს ნორმალური სავარჯიშო პირობებიც არა აქვთ, მაგრამ ყოველმხრივ ცდილობენ წინაპართა ტრადიციები შეინარჩუნონ. — გვითხრა საქართველოს ფარიკაობის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა **მორის სახვაძემ.** უსახსრობის მიუხედავად, ამ შეჯიბრებაზე ასამდე გოგონამ და ვაჟმა მოიყარა თავი. თითოეული ორთაბრძოლა გამოირჩეოდა უშეღავათობით, თუმცა, სპორტსმენთა მომზადებაში ბევრი წუნიც შეიმჩნეოდა, რაც სულაც არ არის მათი ბრალი. მთელი ზამთრის განმავლობაში გაყინულ დარბაზში წვრთნა დადებით შედეგს ვერ იძლევა.

ერთიც მინდა დავძინო: 4-12 აპრილს იტალია კადეტ და ახალგაზრდა მოფარიკავეთა მსოფლიო პირველობას უმასპინძლებს, ერთი-ორი სპორტსმენის წაყვანა გვინდა ამ შეჯიბრებაზე, თუ სათანადო სახსრები იქნა. სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის დახმარების იმედი გვაქვს. ჭაბუკებს თუ აქედანვე გადავუწყურეთ მნიშვნელოვან ტურნირებში მონაწილეობის იმედი, მრავალწლიანი შრომა წყალში ჩაგვეყრება...

საქართველოში კეთილ ადამიანებს რა დალევს. მუშკეტერებსაც სწორედ მათი თანადგომის იმედი აქვთ.

**იზა პირველი,**
**მირანდა ჭოჭუა.**

## ფეხბურთი

# ისინი თბილისში ჩამოვლენ

**ირლანდიის ფეხბურთელთა ახალგაზრდული ნაკრების ხელმძღვანელობამ დაასახელა იმ ფეხბურთელები, რომლებიც 28 მარტს თბილისში საქართველოს ნაკრების წინააღმდეგ იასპარეზებენ „ევრო-2004"-ის შესარჩევი ეტაპის შეხვედრაში.**

ესენია: **მეკარეები** ჯოზეფ მერფი („ვესტ-ბრომვიჩ-ალიონი") და გრეჰემ სტაკი („ბევერენი", ბელგია), **მცველები** ჯეიმს გუდვინი („სტოკპორტი"), ჯონ ტომპსონი („ნოტინგემ ფორესტი"), კლიფორდ ბირნი („სანდერლენდი"), დევიდ ბატლერი („სანდერლენდი") და როი ბრენანი („ნიუკასლი იუნაიტედი"), **ნახევარმცველები** ლაიამ მილერი („სელტიკი", შოტლანდია), ჯონ პეისლი („მანჩესტერ-სიტი"), შონ ბირნი („ქრიუ"), ალან დემპასი („დანფერმლაინი", შოტლანდია), ალან ტორნტონი („სანდერლენდი") და კრის დელი („სტოკპორტი"), **თავდამსხმელები** ანდრე რიდი („ნოტინგემ ფორესტი"), ჯეიმს ბარეტი („ბრაიტონი"), კევინ ჰუაჰანი („შელბურნი"), ნოელ პარტი („დანფერმლაინი"), კრის როჯერსი („შრუსბერი") და ჯორჯ ო,კონორი („ბრედფორდი").

ირლანდიის ახალგაზრდული ნაკრების ცხრამეტივე ფეხბურთელი უცხოეთის ქვეყნების ჩემპიონატებში ასპარეზობს. გრეჰემ სტაკის, ლაიამ მილერის, ალან დემპსისა და ნოელ პარტის გარდა, ყველა დანარჩენი ფეხბურთელი ინგლისის პრემიერლიგის I და II დივიზიონის გუნდებში თამაშობს.

**„ინტერ-პრესი".**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა"!

ალბომი

# ყველას რაიმე აქვს სახსოვარი



ვანის რაიონის ინტელიგენციის წარმომადგენლები: გ. ჩახუნაშვილი (პირველი მარცხნიდან), პ. ნადირაძე, ნ. ლორთქიფანიძე. სურათი გადაღებულია 1965 წელს.

ფოტო მოგვაწოდა ა. ნადირაძემ.

ჩვენებურები

# ქართველები „თეატრალურ ოსკარზე“

ჩვენმა მკითხველმა უკვე იცის, რომ ამერიკის ქალაქ ვაშინგტონის ცენტრში თითქმის ორი წელია, რაც არსებობს სტანისლავსკის სახელობის თეატრ-სტუდია, რომელშიც ქართველი თეატრალები მოღვაწეობენ. იგი ტოლს არ უდებს ვაშინგტონის სხვა წამყვან თეატრებს. მის სპექტაკლებზე დადებითად ალაპარაკდნენ კრიტიკოსები და თეატრმცოდნეები და თვით ტენდენციურობით გამორჩეული „ვაშინგტონ პოსტიც“ კი. უფრო კონკრეტულად თეატრი „სინეტიკ თეატერ სტუდიოდ“ მოინათლა, როგორც მისი სამხატვრო ხელმძღვანელი პაატა ციქურიშვილი (ამერიკაში გამგზავრებამდე თბილისის პანტომიმის სახელმწიფო თეატრში მუშაობდა) ამბობს: „თეატრი სინთეზურია და გამოხატვის ანუ სახიობის ყველა ფორმას აერთიანებს: ვიზუალურს, ვოკალურს, პანტომიმას, დრამას, მხატვრობას...

ამ თეატრში მუშაობს პაატა ციქურიშვილის მეუღლე ირინე ციქურიშვილიც, რომელიც სტუდიის მთავარი ქორეოგრაფია და მსახიობის ამპლუასაც წარმატებით ირგებს. მთავარ როლებს ასრულებს შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის ყოფილი მსახიობი ირაკლი კავსაძე, მან წარმატებით ითამაშა „ფაუსტში“, „სალომეაში“, „ჰამლეტსა“ და „სტუმარ-მასპინძელში“. იმის შესახებ, თუ რა გამოხმაურება მოჰყვა ამ თეატრ-სტუდიაში დადგმულ სპექტაკლ „სტუმარ-მასპინძელს“, რომლის საპრემიერო სპექტაკლებში ცნობილი მსახიობი კახი კავსაძე მონაწილეობდა, ჩვენს მკითხველებს, ამას წინათ, ვაცნობეთ.

ახლა კი იმის შესახებ, რომ ამ თეატრ-სტუდიის ბოლო ორი დადგმა – „ჰამლეტი“ და „სტუმარ-მასპინძელი“ წარდგენილია 2002 წლის ჰელენ ჰეიზის თეატრალურ პრემიაზე შვიდ ნომინაციაში (ორივე სპექტაკლი დადგა პაატა ციქურიშვილმა).

რას წარმოადგენს ეს პრემია?

როგორც ამბობენ, ჰელენ ჰეიზის სახელობის პრიზი თეატრალური „ოსკარია“ და ამერიკულ თეატრალურ სამყაროში ერთობ პრესტიჟულ ჯილდოდ ითვლება. ჰელენ ჰეიზი გამოჩენილი მსახიობი ქალი ყოფილა, რომელსაც ვაშინგტონში დაუარსებია თეატრალური საზოგადოება და პირველი თეატრიც.

ჰელენ ჰეიზის პრიზით დაჯილდოებისა და პრიზების გადაცემის ცერემონიალი კენედის ცენტრში ეწყობა და როგორც მონაწილენი, ისე დამსწრე საზოგადოებრიობა საგანგებოდ ემზადებიან ამ დიდი საზეიმო შოუსათვის.

საგულისხმო ფაქტია, რომ 2001 წლის ჰელენ ჰეიზის სახელობის პრიზის ორგზის მფლობელი გახდა ირინე ციქურიშვილი სპექტაკლისთვის „იდიოტი“. ასე რომ, ირინე ციქურიშვილი ამ ჯილდოს მფლობელი პირველი ქართველია.

შარშან გაზაფხულზე, აპრილში, თეატრ-სტუდიამ მაყურებელს უჩვენა „ჰამლეტის“ პრემიერა საკმაოდ განსხვავებული ვერსიით, მსახიობები სპექტაკლს უსიტყვოდ თამაშობდნენ. ოქტომბერში კი ვაჟა ფშაველას „სტუმარ-მასპინძელი“ გაითამაშეს დევიდ რენდვილისეული თარგმანით, რომელსაც ვაშინგტონის ეროვნულ ბიბლიოთეკაში მიაკვლიეს. იგი გაასცენიურა როლანდ რიდმა. სპექტაკლის მხატვრობა ეკუთვნის გოგი ალექსი-მესხიშვილს, კომპოზიტორები არიან ვახტანგ კახიძე და გია ყანჩელი...

„ჰამლეტი“ წარდგენილია ჰელენ ჰეიზის პრიზზე სამ ნომინაციაში: საუკეთესო რეჟისურისათვის, საუკეთესო სპექტაკლისათვის და საუკეთესო ქორეოგრაფიისათვის, „სტუმარ-მასპინძელი“ კი ოთხ ნომინაციაში იპაექრებს: საუკეთესო სპექტაკლისა და რეჟისურისათვის, საუკეთესო ქორეოგრაფიისათვის და საუკეთესო მუსიკალური გაფორმებისათვის.

ყოველივე ამის შესახებ საქართველოს კულტურის სამინისტროში გამართულ ბრიფინგზე ჟურნალისტებს უამბო მსახიობმა კახი კავსაძემ.

დაველოდოთ მარტის ბოლო რიცხვებს.

რუსუდან მუხიგულაშვილი.

ღიმილის დოზა



ებრძოლო ლოთობას იმით, რომ შეზღუდო არყის გაყიდვა, იგივეა, რაც ტუალეტში შესვლის შეზღუდვა ფაღარათის დროს.

* * *

ინგლისელი ლედი მსახურს ეძახის:

– ახლა თქვენ წახვალთ ჩემს დედამთილთან ქალბატონ ჩატერლის სანახავად საავადმყოფოში, იგი ძალიან ცუდად არის, და გაიგებთ, თავს როგორა გრძნობს.

მსახური წავიდა. სამი საათის შემდეგ დაბრუნდა.

– როგორ არის საქმე? ნახეთ ქალბატონი ჩატერლი? ჰკითხეთ, თავს როგორა გრძნობს?

– დიახ, ქალბატონო.

– კარგით, თავისუფალი ხართ.

* * *

ორი ინგლისელი გოლფს თამაშობს. ერთ-ერთი მათგანი დიდხანს ემზადება და დარტყმას ვერა და ვერ ახერხებს.

– დღეს ჩემს თავში დარწმუნებული არა ვარ, – თავს იმართლებს პარტნიორის წინაშე, – ვეჭვობ, რომ მოვარტყამ – იქ, მოშორებით ჩემი ცოლი დგას...

– მართალი ხართ, – ეთანხმება მეორე, – ამ სიშორიდან მართლაც ძნელია მოახვედროთ თქვენს ცოლს.

სააქციო საზოგადოება რუსთავის „აზოტის" კოლექტივი დაბადებიდან 70 წლის იუბილეს ულოცავს სამეთვალყურეო საბჭოს წევრს, საქართველოს ქიმიური საზოგადოების თავმჯდომარეს, ქიმიის მეცნიერებათა დოქტორს ბატონ შოთა სიდამონიძეს.

მოდა

# [illegible]

მოდის კანონმდებელ ქვეყანაში საფრანგეთში, კერძოდ, პარიზში გაზაფხული-ზაფხულის სეზონის ჩვენება, ამჯერად, დიზაინერთა სიუხვით არ გამოირჩეოდა, კოლექციები მხოლოდ რამდენიმე ცნობილმა მოდელიორმა წარმოადგინა. აღსანიშნავია, რომ ისინი განსაკუთრებულს, ახალს ვერაფერს გვთავაზობენ, თუმცა, ამ სეზონის მოდის მთავარი მიმართულებები პარიზის დეფილით მაინც გამოიკვეთა... კერძოდ, ელეგანტურობისა და სისადავის სიმბოლო – შავი ფერი კვლავ მოდურია. ჟან პოლ გოტიემ საბანაო კოსტიუმები და შიდა საცვლები სწორედ ამ ფერში წარმოადგინა, მაგრამ პოდიუმზე ღია და მკვეთრმა ფერებმაც გამოანათა – კელვინ კლაინმა, გუჩმა, ჟივენშიმ და შანელმა, ძირითადად, ვარდისფერსა და ცისფერს მიანიჭეს უპირატესობა, რაც ბუნებრივია, სიხალისესა და ერთგვარ მხიარულ განწყობას შემატებს მომხმარებელს.

ამჯერად, მოდის ამ კანონმდებლებს არანაირი ქალის პიჯაკი არ შეუქმნიათ, სამაგიეროდ, მათ ბლუზონები და ქურთუკები შემოგვთავაზეს, ანუ უფრო თავისუფალი და შეიძლება ითქვას, მსუბუქი სტილი დაიცვეს.

გუჩის შემოქმედება გამოირჩეოდა ეგზოტიკური ელემენტებით, მან ზაფხულისთვის მანეკენებს მოლუსკების მსგავსი ქვედატანები ჩააცვა და მკერდი სხვადასხვა ფორმისა და ფერის ნიჟარებით შეუმოსა. ამ კოლექციამ მაყურებელთა განსაკუთრებული მოწონება დაიმსახურა.

მამაკაცის კოსტიუმებში თანდათან დაიკარგა მკაცრი, კონსერვატული სტილი და ფერები. ელეგანტურობისა და ესთეტიურობის შესანარჩუნებლად კი, დიზაინერები მამაკაცებს, უპირველესად, ქათქათა, თეთრ პერანგებს სთავაზობენ.







ძლიერი სქესის წარმომადგენლების კოსტიუმების მკაცრი სტილისგან განთავისუფლებას, ჟან პოლ გოტიემ, მამაკაცურობისა და მიმზიდველობის მეტად გამოხატვისათვის, ისეთი აქსესუარები დაუპირისპირა, რომლებშიც უხეში, აგრესიული ელემენტები აშკარად შეინიშნება.

ამ სეზონისთვის კიდევ უფრო გამოიკვეთა ისიც, რომ ქალისა და მამაკაცის ჩაცმულობებს შორის, წლების განმავლობაში დამკვიდრებული მსგავსება თითქმის გაქრა. მთავარი კი ისაა, რომ მსოფლიო მოდა თანდათან კარგად დავიწყებულ ძველს უბრუნდება...

ლელა დონაძე.

სურათებზე: გაზაფხული-ზაფხულის მოდელები.

დაიკარგა ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, სარეგისტრაციო ნომერი № 1/15/4/7/1, განაცხადის რეგისტრაციის ნომერი: № 879/99, თარიღი 25.03.99. მენაშენეთა ამხანაგობა „მეგობრობის“ საკუთრება 580 კვ.მ. თბილისი, ჭანტურიას ქ. № 5. გაცემის თარიღი 15.02.2002.
მპოვნელი დასაჩუქრდება.
8 (99532) 44-19-01
8 (99593) 32-45-31
8 (99599) 10-50-25.

გოგი კოპალიანის ოჯახი სამძიმარს უცხადებს კოკა, მურთაზ და ჟუჟუნა კუტუბიძეებს დედის ფაცია წულაია-კუტუბიძის გარდაცვალების გამო.

საქართველოს კონტროლის პალატის მე-5 დეპარტამენტის თანამშრომლები სამძიმარს უცხადებენ კოკა კუტუბიძეს დედის ფაცია ტიტიკოს ასულ წულაია-კუტუბიძის გარდაცვალების გამო.

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალების პუბლიკაციისთვის ჰონორარი არ გაიცემა.

ავტორებს ვთხოვთ, კომპიუტერზე ანაწყობ 2-2,5 ნაბეჭდ გვერდზე მეტი მოცულობის სტატიებს ნუ შემოგვთავაზებენ.

რედაქცია მადლობას უხდის ყველას, ვინც გაზეთის ეს ნომერი შეიძინა და წაიკითხა!

საქართველოს რესპუბლიკა
САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გამოცემას უზრუნველყოფს შპს „პრესა-2002“
მთავარი რედაქტორი არმაზ სანებლიძე.
სარედაქციო კოლეგია: ალეკო ასლანიშვილი, ვახტანგ ზელაშვილი, გურამ გოგიაშვილი, ბონდო გულიაშვილი, რუსუდან ლორთქიფანიძე, ბონდო მძინარაშვილი, რუსლან რუსია, სპარტაკ ქობულია, ოთარ ხუციშვილი.
დამფუძნებლები - გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ ჟურნალისტები
ნომრის მორიგე რედაქტორი რუსლან რუსია.
ინდექსი 66434
მისამართი: 380008, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14.
ტელ: 99-73-24. სარეკლამო განყოფილება - ტელ: 93-28-13.
ელექტრონული ფოსტა – sakresp@gol.ge